- Co-founder of the center, a member of the editorial board of the journal "Criminologist", retired police colonel, honored worker of the Interior Ministry of Georgia, many state award holder, deputy dean of the faculty of Law and International Relations of Georgian Technical University, doctor of law, professor **Jemal Gabelia's** 65th anniversary from birth;
- The main consultant of the center of study and prediction of crime, the member of the editorial board of the journal "Criminologist", honored worker of the Georgian Interior Affairs, many state prize chevalier, police general – major, doctor of law **Temur Murgulia's** 60th anniversary from birth;
- Selected as a rector of Sokhumi university **Zurab Khonelidze** the doctor of politics, professor, Extraordinary and Plenipotentiary Ambassador;

In the title "**Farewell**"

The center of study and prediction of crime and the editorial board of journal "Criminologist" sadly reports:

- The death of the famous state and public figure, ex-Minister of Internal Affairs, retired police colonel-major **Roman Gventsadze** and joins the letter of the well-known state and public figure, professor **Nugzar Popkhadze**;
- The death of the famous state and public figure, ex-Minister of Security of Georgia, major-general **Anzor Maisuradze** and joins the letter of the well-known state and public figure, academician **Roin Metreveli**;
- The death of the famous scientist, emeritus of Ivane Javakhishvili Tbilisi State University, doctor of legal sciences, professor **Guram Nachkebia** and publishes from his book "**The subject of criminal science**" research "**Criminal Science Boundaries**";
- The death of the honored worker of Internal Affairs, police colonel **Revaz Chanturia** and publishes from his unpublished book "**Storm**" fragment "**Theft from gold shops**".

Also are published the 2016th January-December registered crime statistics in all investigative agencies of Georgia

The Editorial Board:

Malkhaz Badzagua – Editor-in-chief
Mamuka Tavkhelidze
Otar Kvachadze
Mikheil Badzagua – Executive Editor
Tsira Chanturia
Roman Shengelia
Ramaz Beridze – USA
Jemal Janashia
Marina Kvachadze
Chris Eskridge – USA
George Glonti
George Tordia
Otar Gamkrelidze
Jemal Gakhokidze
Nino Gvenetadze
Temur Murgulia
Jemal Gabelia
Irakli Gabisonia
Mikheil Mamniashvili
Givi Abashidze
Guram Gvetadze
Davit Gugava
Eka Beselia
Nana Lomaia
Tinatin Asatiani – Executive Secretary

© Grigol Robakidze University

© The Center of Study and Prediction of Crime

Editorial Office Address: Tbilisi, Jano Bagrationi St. №6.

malkhaz_badzagua@yhoo.com

www.gruni.edu.ge

www.cspc.org.ge

სარჩევი

წინასიტყვაობა ჟურნალ „კრიმინოლოგის“ მეთერთმეტე –მეთორმეტე ნომრის გამოცემისთვის	3
რედაქტორის გვერდი	44
წერილი საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს, ბატონ გიორგი მღებრიშვილს	47
რომან შენგელია - პროფესორი ზაურ წულაია – გამოჩენილი კრიმინოლოგი	50
მალხაზ ბაძაღვა - პროფესორი ანზორ გაბიანი – ქართული კრიმინოლოგიის მამამთავარი	56
გურამ ნაჭყებია - სისხლის სამართლის მეცნიერების საგანის საზღვრები წიგნიდან სისხლის სამართლის მეცნიერების საგანი	60
კრის ესკრიჯი – კრიმინოლოგიის როლი გლობალურ დონეზე	66
დავით სუჯაშვილი - ტერორიზმი – საქართველოს საკანონმდებლო ჭრილში	78
მალხაზ ბაძაღვა, მიხეილ ბაძაღვა - თანამედროვე კრიმინოლოგიის თეორიულ საკითხებზე ერთიანი ხედვის აუცილებლობა	85
ჯემალ გაბელია – ადვოკატის სისხლისსამართლებრივი დაცვის გარანტიები	94
მალხაზ ბაძაღვა – ეთიკა და კრიმინოლოგიის ურთიერთკავშირის საკითხები	100
ოთარ კვაჭაძე – წვრთვნა და აღჭურვა (ანტიტერორისტული ღონისძიებების აღქმა იუმორისტულ ჭრილში)	104
რევაზ ჭანტურია – ნაწყვეტი გამოუქვეყნებელი მოთხრობიდან „ქარტახილები“	116
ახალი წიგნი	124
გიორგი ღლონტი – პროფესორ ეკა ბესელიას წიგნი „ძალადობის მსხვერპლთა უფლებების დაცვის პრობლემა საქართველოში“	124
მილოცვები	126
რედაქციისაგან – „ცხოვრების გაკვეთილი“ – ელგუჯა ბადრიძე 80	126
ნუგზარ ფოფხაძე – „შეუშლელი კ ა ც ი!!!“ – დავით სალარიძე 70	128
ნანა ლომია – „კაცი საქმითა იცნობის“ – ჯემალ გაბელია 65	131
რედაქციისაგან – „სახალხო გენერალი“ – თემურ მურღულია 60	134
წერილი – სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს ზურაბ ხონელიძეს	136
გამოსათხოვარი	137
ნუგზარ ფოფხაძე – ამ დილით გარდაიცვალა რომან გვენცაძე, კაცი!	137
როინ მეტრეველი – „ის ქვეყნის ისტორიაზეც ფიქრობდა“ – ანზრო მაისურაძე	139
საქართველოს ყველა საგამომიებო უწყებაში რეგისტრირებული დანაშაულის 2016 წლის სტატისტიკა	141

Содержание

Предисловие к девятому и десятому изданиям журнала “Криминолог”	17
Страница Редактора	44
Письмо Министру Внутренних дел Грузии, Г-на Георгий Мгебришвили	47
Роман Шенгелия - Профессор Заур Цулаия – Известный криминолог	50
Малхаз Бадзага - Профессор Анзор Габияни – основатель грузинской криминологии	56
Гурам Начкебия – Границы предмета науки уголовного права из книги «Предмет уголовной науки»	60
Крис Ескридж – Роль криминологии на глобальном уровне	66
Давид Суджашвили - Терроризм – в Грузинском законодательном контексте	78
Малхаз Бадзага, Михеил Бадзага - Необходимость общего взгляда на теоретические вопросы современной криминологии.....	85
Джемал Габелия -Гарантии уголовной защиты адвоката.....	94
Малхаз Бадзага - Вопросы взаимосвязи этики и криминологии.....	100
Отар Квачадзе - Тренировка и Вооружение (восприятие антитеррористических мер в юмористическом контексте).....	104
Реваз Чантурия –Отрывок из неопубликованного рассказа «Буря».....	116
Новая Книга	124
Георги Глонти - Книга профессора Еки Беселии «Проблема защиты прав жертв насилия в Грузии»	124
Поздравления	126
От Редакции – „Жизненный урок“ - Елгуджа Бадридзе – 80	126
Нугзар Попэадзе – „Человек Безошибок“ - Давид Саларидзе – 70	128
Нана Ломаия – „Человека можно опознать и в работе“ - Джемал Габелия – 65	131
От Редакции – „Народный генерал“ - Темур Мургулия – 60	134
Письмо Ректору Сухумского государственного университета, Г-на Зураба Хонелидзе.....	136
Прощание.....	137
Нугзар Попхадзе - Сегодня утром умер Роман Гвенцадзе, Человек!	137
Роин Метревели – „Он и про историю страны думал“ - Анзор Маисурадзе.....	139
Статистические данные 2016 года январь-декабрь о зарегистрированных преступлениях во всех следственных органах Грузии	141

Contents

Introduction to the eleventh and twelfth editions of the Journal “Criminologist”	30
Editor’s Page	44
Letter to Mr. Giorgi Mgebrishvili, the Minister of Internal Affairs of Georgia	47
Roman Shengelia - Professor Zaur Tsulaia – Famous Criminologist	50
Malkhaz Badzagua - Professor Anzor Gabiani – The founder of Georgian criminology	56
Guram Nachkebia –The borders of the criminal science subject from the book The subject of criminla science	60
Chris Eskridge – The Role of Criminology on the Global Stage	66
Davit Sujashvili - Terrorism – in the legislative context of Georgia	78
Malkhaz Badzagua, Mikheil Badzagua - The need for a common view on the theoretical issues of modern criminology	85
Jemal Gabelia - Criminal lawyer protection guarantees	94
Malkhaz Badzagua - Ethic and criminology intercommunication issues	100
Otar Kvachadze - Training and equipping (Perception of Anti-Terrorist Activities in the Humorous section)	104
Revaz Chanturia - Fragment from unpublished book “Storm”	116
New Book	124
Giorgi Glonti - The book of professor Eka Beselia “The problem of protection of victims’ rights in Georgia”	124
Congratulations	126
From the Editorial Office – „The lesson of the life „ – Elguja Badridze -80	126
Nugzar Popkhadze – „Faultless man!!!“ – Davit Salaridze – 70	128
Nana Lomaia – „The man can be recognized through the work“ - Jemal Gabelia – 65	131
From the Editorial Office – „Public General“ – Temur Murgulia – 60	134
The Letter to Mr. Zurab Khonelidze, the Rector of Sokhumi State Universtiy	136
Farewell	137
Nugzar Popkhadze - This morning, died Roman Gventsadze, A man!	137
Roin Mtereveli – „He was also thinking about the history of the country“ – Anzor Maisuradze	139
2016th January-December registered crime statistics in all investigative agencies of Georgia	141

რედაქტორის გვერდი

სამეცნიერო-პრაქტიკულ ჟურნალს „კრიმინოლოგი“ დაარსებიდან 10 წელი შეუსრულდა. ყველაფერი დაიწყო იმით, რომ XX საუკუნის მიწურულს მეცნიერებისა და პრაქტიკოსების მიერ გადაიდგა ნაბიჯი, რომელიც იმ დროისათვის, წარმოუდგენელ გამირობად შეიძლება შეფასდეს. სამართლის დარგის მეცნიერებთან თანამშრომლობით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში ჩამოყალიბდა რეფორმატორ – პროფესიონალთა არაფორმალური გუნდი, რომელმაც მიზნად დაისახა ქვეყანაში არსებული კორუფციის და სხვა ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ თეორიული და პრაქტიკული გამოცდილებით ბრძოლა. ამ იდეის გარშემო გაერთიანდნენ იმ დროისათვის პროგრესულად მოაზროვნე შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები: **მალხაზ ბაძაღუა, ოთარ კვაჭაძე, მანანა ხვედელიძე, სერგო უზარაშვილი, ჯემალ გაბელია, ლიანა ბიბილაშვილი, მაია მოსიძე**; ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი **რომან შენგელია**; საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ – კორესპონდენტი, პროფესორი **გივი ინჭვირველი**; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი **ზაურ წულაია**; საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი **გიორგი ხუბუა**, ამავე ინსტიტუტის მეცნიერები: **გიორგი თოდრია, გიორგი ღლონტი**; სახელმწიფო კანცელარიის უფროსის მოადგილე **თამაზ ყიფიანი**; საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, პოლიციის გენერალ-მაიორი **თემურ მურღულია**; დუშეთის რაიონის პროკურორი **ელგუჯა ბადრიძე**; ქალაქ თბილისის პროკურორის უფროსი თანაშემწე **ნანა ლომია**; ახალგაზრდა იურისტი **მიხეილ ბაძაღუა** და სხვები, რომლებმაც 2001 წლის 28 ივნისს შინაგან საქმეთა სამინისტროს კედლებში დააფუძნეს ქვეყანაში პირველი და ჯერ-ჯერობით ერთადერთი არასამთავრობო ორგანიზაცია, არასამეწარმეო, არაკომერციული, იურიდიული პირის სახით „**დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრი**“. ცენტრის ინიციატივით ქვეყნის უსაფრთხოების მიმართულებით განხორციელებული სამეცნიერო-პრაქტიკული ღონისძიებებით შესაძლებელი გახდა მეცნიერებისა და პრაქტიკოსი იურისტების გაერთიანება და ურთიერთთანამშრომლობა. მათ შორის არაერთი პრაქტიკოსი იურისტი ეზიარა მეცნიერებას, დაიცვა სამეცნიერო ხარისხი, ხოლო მეცნიერი მართლმსაჯულების, სამართალდამცავი და სპეციალური სამსახურების სისტემაში შეთავსებით პრაქტიკული საქმიანობით დაკავდა.

გაზეთ „**გაუხმაურებელი ფაქტების**“ რედაქციისა და პირადად მისი რედაქტორის **ნანა ლომიას** მხარდაჭერით „**დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრის**“ საქმიანობას დაეთმო სპეციალური გვერდი - „**პროფესიონალი**“, რომელიც შემდგომში საფუძვლად დაედო ჟურნალ „**კრიმინოლოგი**“-ს დაარსებას.

„**დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრის**“ ინიციატივით გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტთან თანამშრომლობით 2007 წელს შეიქმნა სამუშაო ჯგუფი – სარედაქციო კოლეგია : **მალხაზ ბაძაღუას** (ხელმძღვანელი), **მამუკა თავხელიძის, ოთარ კვაჭაძის, მიხეილ ბაძაღუას, ცირა ჭანტურიას** შემადგენლობით და გამოიცა სამხრეთ-კავკასიაში და პოსტსაბჭოურ სივრცეში ამ თემატიკის პირველი და ერთადერთი სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალის „**კრიმინოლოგი**“ პირველი ნომერი.

2011 წლის 12 ოქტომბრიდან „**დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრის**“ ინიციატივით, **გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში შექმნილი კრიმინოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის** ბაზაზე „**დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრთან**“ ერთობლივად გამოდის აღნიშნული ჟურნალი. დღეისათვის გამოცემულია ათი ნომერი, სადაც გამოქვეყნებულია მეცნიერთა, პრაქტიკოსთა და სტუდენტთა შრომები თანამედროვე სამართლისა და კრიმინოლოგიის აქტუალურ საკითხებზე, ამ მიმართულებით

განხორციელებული პროექტები, წერილები, მილოცვები, მოგონებები და დანაშაულის სტატი-
სტიკა.

გადავწყვიტეთ ჟურნალის საიუბილეო ნომერი მიგვეძღვნა, ქართული კრიმინოლოგიის
სათავეებთან მდგომი პროფესორების **ზაურ წულაიასა** და **ანზორ გაბიანის** ხსოვნადმი,
რომლებმაც უდიდესი წვლილი შეიტანეს ქართული კრიმინოლოგიის სკოლის ჩამოყალიბებასა
და განვითარებაში, ასევე აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ „დანაშაულობის კვლევისა და
პროგნოზირების ცენტრისა“ და ჟურნალის „**კრიმინოლოგი**“ დაარსებასა და ყოველდღიურ
საქმიანობაში, როგორც ცენტრის მეცნიერ-კონსულტანტები და ჟურნალის სარედაქციო
კოლეგიის წევრები.

პირადად მე მეამაყება, რომ ეს ორი ღვაწლმოსილი მეცნიერი, ჩემი დისერტაციის ოფიციალური
ოპონენტები იყვნენ. მაღლიერებით, უნდა აღვნიშნო, რომ მათთან საქმიანმა ურთიერთობამ
კრიმინოლოგიის მიმართ დიდი ინტერესი გამიღვივა.

პროფესორი **ზაურ წულაია**, ფუნდამენტალურ ნაშრომში „კრიმინოლოგია“, აღნიშნავს -
„ქართული კრიმინოლოგიის განვითარებაში დიდი წვლილი აქვს შეტანილი პროფესორ **ანზორ
გაბიანს**, იგი ქართული კრიმინოლოგიის მამამთავრადაც შეიძლება მივიჩნიოთ“.

ამ მოსაზრებიდან გამომდინარე ვაქვეყნებთ წერილს „**პროფესორი ანზორ გაბიანი – ქართული
კრიმინოლოგიის მამამთავარი**“ და პროფესორ **რომან შენგელიას** წერილს „**პროფესორი ზაურ
წულაია – გამოჩენილი კრიმინოლოგი**“.

სასიხარულოა ის ფაქტი, რომ მივიღეთ შემოთავაზება ამერიკის კრიმინოლოგიური
საზოგადოების მხრიდან ჟურნალ „კრიმინოლოგი“-ს მათ ვებგვერდზე მსოფლიოს წამყვან
კრიმინოლოგიურ ჟურნალებთან ერთად განთავსების თაობაზე, რაც ჩვენი საქმიანობის და
ჟურნალის საერთაშორისო აღიარებას ნიშნავს, რომელიც გვისახავს ახალ ამოცანებს.

სარედაქციო კოლეგიის სახელით საზოგადოებას ვულოცავთ ჟურნალის საიუბილეო ნომრის
გამოცემას და მადლობას მოვახსენებთ გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტს, მის
რექტორს, პროფესორ **მამუკა თავხელიძეს**, განხორციელებული პროექტების მხარდამჭერებსა და
მონაწილეებს, თითოეულ ავტორს და კრიმინოლოგიის პრობლემებით დაინტერესებულ ფართო
საზოგადოებას გაწეული თანამშრომლობისათვის.

მალხაზ ბაძაღუა

პროფესორი

რედაქტორის გვერდი

რეზიუმე

ჟურნალის „კრიმინოლოგი“ მთავარი რედაქტორი მისი გამოცემიდან 10 წლის იუბილეს ჟურნალის დაარსების ისტორიით იწყებს და აღნიშნავს, რომ საიუბილეო გამოცემა ეძღვნება ქართული კრიმინოლოგიის სათავეებთან მდგომი პროფესორების **ანზორ გაბიანისა და ზაურ წულაიას** ხსოვნას, რომლებმაც უდიდესი წვლილი შეიტანეს ქართული კრიმინოლოგიის სკოლის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში.

რედაქტორი, სარედაქციო კოლეგიის სახელით მადლობას უხდის გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტს, მის რექტორს, პროფესორ **მამუკა თავხელიძეს**, განხორციელებული პროექტების მხარდამჭერებსა და მონაწილეებს, თითოეულ ავტორს და კრიმინოლოგიის პრობლემებით დაინტერესებულ ფართო საზოგადოებას, გაწეული თანამშრომლობისათვის.

Малхаз Бадзагуа

Страница Редактора

Резюме

Главный редактор журнала «Криминолог» в связи с 10-летием, рассказывает нам об истории создания журнала и юбилейный номер посвящает памяти профессоров **Анзора Габияни** и **Заура Цулая**, которые внесли большой вклад в развитие грузинской криминологической школы.

О также, от имени редакционной коллегии поздравляет юбилейную дату и благодарит за сотрудничества и поддержку Университета Григола Робакидзе, его ректора, профессора **Мамука Тавхелидзе**, сторонников и участников реализованных проектов, каждому автору и сообществу заинтересованных проблемах криминологии.

Malkhaz Badzagua

Editors page

Summary

The editor-in-chief of the journal “Criminologist” in connection with the 10th anniversary, tells us about the history of the journal's creation and the anniversary issue dedicates to the memory of professors **Anzor Gabiani** and **Zaur Tsulaia**, who have contributed greatly in creation and development of the criminology school.

Also, on behalf of the editorial board congratulates the anniversary date and thanks for the cooperation and support Grigol Robakidze University, its rector, professor **Mamuka Tavkhelidze**, supporters and participants of the implemented projects, to each author and wide community interested in criminology problems.

ბატონო გიორგი,

გულისტკივილით გვინდა გითხრათ, რომ ძალიან მოხშირდა სრულიად დაუმსახურებელი „შეტევები“ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროზე. მავანნი შეგნებულად ცდილობენ მისი სახელის შებღალავას. შესაძლებელია ვერ ახერხებენ, მაგრამ მოარული ხმები უარყოფით ზეგავლენას მაინც ახდენენ ადამიანების ცნობიერებაზე. არადა, ისე ჩანს მის გასაქარწყლებლად და მოქალაქეებისათვის რეალობის დასანახად არაფერი კეთდება. ვფიქრობთ არის საფრთხე, საბოლოოდ არასწორი აზრი ჩამოყალიბდეს საზოგადოებაში.

გვინდა გითხრათ, რომ ზოგადი განცხადებები არ იძლევა სასურველ შედეგს. საჭიროა შინაგან საქმეთა სამინისტრომ პასუხი გასცეს იმ პრობლემურ საკითხებს, რომლებიც აინტერესებს საზოგადოებას, გაშუქდეს პრესაში ანალიტიკური პუბლიკაციებით გახმაურებული (გაუხმაურებელი) კრიმინალური ფაქტები, დამნაშავეობასთან ბრძოლის თანამედროვე პრობლემები და მეთოდები. ალბათ, შექმნილ ვითარებას განაპირობებს ის გარემოებაც, რომ ამჟამად შინაგან საქმეთა სამინისტროს არ გააჩნია საკუთარი ბეჭდვითი ორგანო, როგორც ეს იყო წლების განმავლობაში.

მართალია, ვეტერანები პოლიტიკაში არ ვერევიან, მაგრამ ეს პრობლემები გვალეღვებს და მზად ვართ ჩვენი გამოცდილებით მხარში დგომისათვის. სამწუხაროდ, სრულიად გაუგებარი მიზეზით ჩვენას და სამინისტროს შორის კავშირი გაწყვეტილია. მიუხედავად ამისა, უფროსი თაობა ვცდილობთ შეძლებისდაგვარად გვერდში დაგიდგეთ.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო დღეს ახალი გამოწვევების წინაშე დგას. გლობალიზაციის პროცესების განვითარების, ევროკავშირის ქვეყნებში უვიზო მიმოსვლის, და საერთოდ, ტურიზმის სწრაფ განვითარებასთან დაკავშირებით, აუცილებელია შინაგან საქმეთა სამინისტროს უცხოეთის ქვეყნების კოლეგებთან საგარეო ურთიერთობების გაფართოება და დამნაშავეობასთან ბრძოლის ერთობლივ - კოორდინირებულ- ოპერატიული გეგმების შემუშავება.

დღის წესრიგში დგას ბრძოლის გაძლიერება ტერორიზმთან, სეპარატიზმთან, ნარკობიზნესთან, ტრეფიკინგთან, კომპიუტერულ დანაშაულებებთან, შეკვეთილ მკვლელობებთან, ელიტარულ კორუფციასთან.

გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს შინაგან საქმეთა ორგანოების კადრების კვალიფიკაციის ამაღლება და მათი პროფესიული მომზადების პროცესის სრულყოფა, სასწავლო – მეთოდური სახელმძღვანელოების ახლებურად მომზადება, კანონმდებლობის ჰარმონიზაცია და სრულყოფა.

ზემოაღნიშნული პრობლემების გადაწყვეტის და დამნაშავეობასთან ბრძოლის საერთაშორისო პრაქტიკის განზოგადოების მიზნით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია საქართველოში ჩატარდეს საერთაშორისო სამეცნიერო – პრაქტიკული კონფერენცია.

2018 წლის 26 მაისს სრულდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 100 წლისთავი. კონფერენცია შესაძლებელია მიეძღვნას აღნიშნულ თარიღს და ჩატარდეს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში, რომელსაც აქვს შესაფერისი მატერიალურ – ტექნიკური ბაზა და სამეცნიერო პოტენციალი.

აღნიშნული ღონისძიება ხელს შეუწყობს დანაშაულობებთან ბრძოლის საერთაშორისო პრაქტიკის სრულყოფას, თანამედროვე სამართალდამცავი სისტემის განმტკიცებას, გაეროს,

ინტერპოლის და ევროპოლის როლის ამღლებას დამნაშავეობასთან ბრძოლის ორგანიზაციის მსოფლიო პრაქტიკის გაუმჯობესებას.

საჭიროების შემთხვევაში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ვეტერანებს შეგვიძლია მონაწილეობა მივიღოთ საერთაშორისო კონფერენციის მუშაობასა და მისი მომზადების პროცესში.

პატივისცემით,

გურამ გვეტაძე – გენერალ-ლეიტენანტი;

ჯემალ გახოკიძე – გენერალ-ლეიტენანტი, პროფესორი;

ჯემალ ჯანაშია – გენერალ-მაიორი, პროფესორი;

დემურ მიქაძე – გენერალ-მაიორი;

გივი ლოზჯანიძე – გენერალ-მაიორი, პროფესორი;

მალხაზ ზამალუა – პოლკოვნიკი, პროფესორი.

11 მაისი 2017 წ.

წერილი საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს

რეზიუმე

წერილში, რომლითაც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილი ხელმძღვანელები, შინაგან საქმეთა ორგანოების დამსახურებული მუშაკები, მეცნიერები მიმართავენ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს გამოკვეთილია, პოლიციასა და საზოგადოებას შორის თანამშრომლობის ჩამოყალიბების აუცილებლობა.

მიუხედავად იმისა, რომ გაუგებარი მიზეზებით კავშირი შინაგან საქმეთა ორგანოების ვეტერანებსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის გაწყდა, წერილის ავტორები გამოხატავენ მზადყოფნას ურთიერთთანამშრომლობისათვის.

2018 წლის 26 მაისს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემას უსრულდება დაარსებიდან 100 წლის იუბილე. წერილის ავტორები თავაზობენ აღნიშნულ თარიღთან დაკავშირებით ერთობლივ საერთაშორისო სამეცნიერო – პრაქტიკული კონფერენციის ჩატარებას, დამნაშავეობასთან ბრძოლის საერთაშორისო პრაქტიკის განზოგადოებასთან დაკავშირებით.

Письмо Министру Внутренних дел Грузии

Резюме

В письме, в котором бывшие руководители Министерства Внутренних дел Грузии, ученые обращаются министру внутренних дел Грузии, отмечается, о необходимости налаживания сотрудничества между полицией и общественностью.

Несмотря на неясные причины, связ между ветеранами и Министерством Внутренних дел Грузии неясны, тем не менее авторы письма выражают свою готовность к сотрудничеству.

26 мая 2018 года системе Министерствo Внутренних дел Грузии исполняется 100 лет с момента основания. Авторы письма предлагают провести совместную международную научно-практическую конференцию в указанную дату, касающуюся обобщению международной практики борьбы с преступностью.

Letter to the Minister of Internal Affairs of Georgia

Summary

In a letter in which former leaders of the Ministry of Internal Affairs of Georgia, honored workers of internal bodies, scientists addresses to the Minister of Internal Affairs of Georgia. Is noted that there is a need to establish cooperation between the police and the public.

Despite of the fact that the connection between veterans of Internal Affairs bodies and the Ministry of Internal Affairs of Georgia is insufficient, the authors of the letter express their willingness to cooperate.

On 26th of May 2018 is the 100th anniversary from the establishment of the Ministry of Internal Affairs of Georgia. The authors of this letter regarding to this date are offering to conduct joint International Scientific - Practical Conference relative to the generalization of International Practice of fight against crime.



პროფესორი ზაურ წულაია – გამოჩენილი კრიმინოლოგი

პროფესორი ზაურ წულაია დამსახურებულად არის აღიარებული იმ მეცნიერად, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოში კრიმინოლოგიის, როგორც სამართლებრივი მეცნიერების დამოუკიდებელი დარგის, დამკვიდრებასა და განვითარებაში. ამის უდავო დასტურად მარტო მისი ღრმა მეცნიერული მონოგრაფიული გამოკვლევები და სახელმძღვანელოები გამოდგება, რომ არაფერი ითქვას მრავალრიცხოვანი სამეცნიერო სტატიების, საერთაშორისო კონფერენციებზე წაკითხული მოხსენებების და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებთან ჩატარებული პროგრამული თუ საჯარო ლექციების შესახებ. იგი

სისხლისსამართლებრივი მიმართულების ცალკეული დარგებისა და სასწავლო დისციპლინების შესაბამისი სამართლებრივი აქტების უზადლო ინტერპრეტატორი იყო, რაც მის დასკვნებსა და პრობლემის გადაწყვეტის შემოთავაზებულ წინადადებას სანდო ხასიათს ანიჭებდა. ზოგიერთი საკანონმდებლო აქტის მიღებაში თავადაც უხდებოდა მონაწილეობის მიღება. ამ ფონზე დღითიდღე იზრდებოდა ზაურ წულაიას მეცნიერულ-პედაგოგიური ავტორიტეტი. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი მოღვაწეობა კრიმინოლოგიის სფეროში. ამიტომ მიზანშეწონილია პროფესორ ზაურ წულაიას დამსახურებაზე მეცნიერების მხოლოდ ამ მიმართულებით იქნეს ყურადღება გამახვილებული.

უკანასკნელ პერიოდამდე პოსტსაბჭოურ სივრცეში კრიმინოლოგიას საერთოდ არ მიაკუთვნებდნენ მეცნიერების სფეროს ან სისხლის სამართლის ნაწილად თვლიდნენ. ეს იყო სრული ულოგიკობა. სისხლის სამართლის საგნად სწორად მიიჩნევა დანაშაულთან და მის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებთან დაკავშირებული საზოგადოებრივი ურთიერთობები. ასეთ ვითარებაში ყურადღების მიღმა რჩება დანაშაულის ცალკეული სახეობების ანუ დანაშაულობათა გამომწვევი მიზეზებისა და პირობების პრობლემები. არადა ეს საკითხი უმნიშვნელოვანესია იურისპრუდენციისათვის, თუმცა მეცნიერების არცერთი დარგი მას სპეციალურად და სრულყოფილად არ შეისწავლიდა. აღნიშნული ხარვეზების ამოვსების სამსახურში უნდა ჩამდგარიყო კრიმინოლოგია, რომელიც ეტიმოლოგიურად სწორედ მოძღვრებას ნიშნავს დანაშაულობათა მიზეზებისა და მისი თავიდან აცილების გზების შესახებ. კრიმინოლოგია აღიარებულ უნდა ყოფილიყო სამართლებრივი მეცნიერების დამოუკიდებელ დარგად და გამიჯვნოდა იმ არასწორ დებულებას, რომ დანაშაულობა არ არსებობს ისეთ მაღალგანვითარებულ საზოგადოებაში, როგორც სოციალისტურია. ამიტომ მის მიზეზებზე ყურადღების გამახვილება ზედმეტია. სინამდვილეში დანაშაულობა, როგორც სოციალური მოვლენა, ნებისმიერი საზოგადოებისთვისაა დამახასიათებელი. რა იწვევს მათ და როგორ შეიძლება მათი პრევენცია – ესაა კრიმინოლოგიის გადასაწყვეტი. დანაშაულობათა მიზეზებისა და მათი პრევენციის პრობლემატიკა, რომელთა სწორად გადაწყვეტა სახელმწიფოსა და საზოგადოების უპირველეს საზრუნავს წარმოადგენს, არა მარტო იურისტთა, არამედ ფილოსოფოსთა, ფსიქოლოგთა, სოციოლოგთა და სხვა მეცნიერების წარმომადგენელთა ინტერესების სფეროს განეკუთვნება. მართალია, მეცნიერების აღნიშნულმა დარგებმა, როგორც სამართლიანად აღნიშნავს პროფესორი ზაურ წულაია, მთლიანობაში ვერ მოიცვა დანაშაულობა, როგორც მოვლენა, მაგრამ მათმა მიღწევებმა, მათ მიერ შემუშავებული კვლევის მეთოდებისა და რეკომენდაციების სინთეზირებამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი კრიმინოლოგიის მეცნიერების ცალკე დარგად ჩამოყალიბებას.

კრიმინოლოგიის, როგორც მეცნიერების დამოუკიდებელი დარგის, ჩამოყალიბებისა და განვითარების ცალკეული ეტაპების, საბჭოთა და უცხოური კრიმინოლოგიური კონცეფციებისა და ქართული კრიმინოლოგიის არსისა და თავისებურებების შესახებ სრულყოფილ წარმოდგენას ქმნის პროფესორ ზაურ წულაიას ფუნდამენტური შრომა „კრიმინოლოგია“, რომელიც 2003 წელს გამოქვეყნდა და წარმოადგენს ქართულ ენაზე მანამდე არსებულ სამეცნიერო, სასწავლო და საინფორმაციო წყაროებს შორის გამორჩეულსა და არა მარტო სტუდენტების, არამედ კრიმინოლოგიის პრობლემატიკით დაინტერესებული ფართო მკითხველის მეტად საინტერესო წიგნს. მასში სამამულო და უცხოური ლიტერატურის, შესაბამისი პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე მოცემულია კრიმინოლოგიის, როგორც მეცნიერების და სასწავლო დისციპლინის ზოგადი და კერძო ნაწილების უმნიშვნელოვანესი საკითხები: კრიმინოლოგიის ცნება და საგანი, მისი სისტემა; კრიმინოლოგიური კვლევის მეთოდების დახასიათება; დანაშაულობის ცნება, მისი მიზეზებისა და ხელშემწყობი პირობების გამოვლენა; დანაშაულის ჩამდენი პირისა და მსხვერპლის სტატუსის განსაზღვრა; დანაშაულობის პროგნოზირების, თავიდან აცილების და მასთან ბრძოლის ღონისძიებების განსაზღვრა და სხვ.

კრიმინოლოგიის ზოგად პრობლემებთან ერთად წიგნში აგრეთვე განხილულია კერძო ნაწილის დანაშაულობათა ცალკეული სახეების – ყველაზე ტიპური და გავრცელებული ნაწილი: პროფესიული, ორგანიზებული და რეციდიული დანაშაულობები.

კრიმინოლოგიის სახელმძღვანელოს გარდა მან შექმნა სასწავლო წიგნი სისხლის სამართლის კერძო ნაწილში, რომელიც ცალკეული დანაშაულების დახასიათებას და მათ ანატომიას მოიცავს. მასში საკმაოდ არის ყურადღება გამახვილებული დანაშაულობათა კრიმინოლოგიურ ასპექტებზეც.

კრიმინოლოგიურ ნიუანსებში გარკვევა, კვლევის სათანადო დონეზე წარმოება და ღირებული დასკვნების გაკეთება შეუძლებელია მეცნიერების მომიჯნავე დარგებში დაგროვილი ცოდნის გაანალიზებისა და დანაშაულობათა ცალკეული სახეების წარმოშობა-პრევენციის პრობლემებთან მათი დაკავშირების უნარის გარეშე. პროფესორი ზაურ წულაია სწორედ ფართოდ განათლებული, მიზანდასახული და მისკენ მიმავალ გზაზე უმძიმესი მეცნიერული ტვირთის წარმატებით მზიდველის საუკეთესო ნიმუშია. ამაზე მეტყველებს მისი არც ისე ხანგრძლივი ცხოვრების გზა.

ზაურ წულაიამ სამტრედიაში წარმატებით დაამთავრა საშუალო სკოლა. ჩვენ თანაკლასელები ვიყავით და მქონდა შესაძლებლობა ღრმად გავცნობოდი მის მისწრაფებებს, აზროვნების სილადეს და სამომავლო გლობალური პრობლემების გარკვევაში ღრმად წვდომის სურვილს. ჩვენს ხანგრძლივ მეგობრობას განამტკიცებდა ოჯახების სიახლოვე და ერთნაირი სურვილი იმისა, რომ მომავალი პროფესია დაგვეკავშირებინა სამართალთან. სკოლაში სწავლის პერიოდში იგი არ იყო შემოფარგლული სასკოლო პროგრამით – უფრო მეტისაკენ ისწრაფოდა – ეცნობოდა მხატვრულ ლიტერატურასაც. დაინტერესებული იყო ადამიანის შინაგანი სამყაროს ნიუანსებით, ქცევის განმსაზღვრელი პირობების შინაარსით. ალბათ ამანაც განაპირობა ის, რომ უმაღლესი განათლების მისაღებად ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე ჩაირიცხა ფსიქოლოგიის სპეციალობით. აქ ეუფლებოდა იგი საყოველთაოდ აღიარებული ქართული ფილოსოფიური სკოლის მიღწევებს, ეცნობოდა შ. ნუცუბიძის, კ. ბაქრაძის, რ. ნათაძის, გ. ბანძელაძის, ბ. ლუტიძის და სხვათა შრომებს. ფსიქოლოგიის საფუძვლების შესწავლამ და დ. უზნაძის განწყობის თეორიის მწყობრმა ლოგიკამ უბიძგა მას სიღრმისეულად შეესწავლა სამართლის ფილოსოფია და საერთოდ იურისპრუდენცია.

სამართლისა და ფსიქოლოგიის სპეციალობათა სიახლოვის გამო ერთი პერიოდი სამართლის განყოფილება ფილოსოფიის ფაკულტეტის ნაწილად ითვლებოდა. ამიტომ სპეციალობის შეცვლა არც თუ ისე ძნელი იყო. ფილოსოფიის ფაკულტეტზე სამწლიანი სწავლის შემდეგ იგი გადავიდა იურიდიულ ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინების დიპლომით დაამთავრა და გზა გაეხსნა წმინდა სამეცნიერო საქმიანობისაკენ.

განათლების სფეროში რეფორმის ჩატარებამდე (2005 წლამდე) უმაღლესი განათლება ძირითადად ხუთწლიანი კურსით ამოიწურებოდა. მასში გაერთიანებული იყო დღევანდელი ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის პროგრამებით გათვალისწინებული საგნების სწავლება. ასპირანტურა წარმოადგენდა სპეციალობის მიხედვით მიღებული ცოდნის გაღრმავებისა და მეცნიერული კვლევის განხორციელების ძირითად საშუალებას. ასპირანტურის დამთავრების შემდეგ სამეცნიერო ხარისხების მოსაპოვებლად საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციების დაცვა სამეცნიერო ორბიტაზე გასვლას და უნივერსიტეტში მუშაობის დაწყების შანსსაც ნიშნავდა, ამიტომ ასპირანტურაში ჩარიცხვა მხოლოდ წარჩინებულ სტუდენტთა და, ისიც ამა თუ იმ სპეციალიზაციის მიხედვით განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებულთა ხვედრი იყო. ფაკულტეტზე ისედაც იშვიათად დაშვებულ ერთეულ ვაკანტურ ადგილზე სერიოზული კონკურსი იმართებოდა. პრეტენდენტთაგან ერთი საუკეთესო ირჩეოდა და ის ხდებოდა ასპირანტი. ამჟამად კი ასპირანტურის ნაცვლად შემოღებული დოქტორანტურა უმაღლესი განათლების მესამე საფეხურად არის მიჩნეული და მის კურსდამთავრებულს თვით უმაღლესი სასწავლო დაწესებულება ბაკალავრისა და მაგისტრის მსგავსად ანიჭებს დოქტორის აკადემიურ და არა სამეცნიერო ხარისხს.

იურისტის კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ ზაურ წულაია ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურაში სისხლის სამართლისა და პროცესის კათედრისათვის გამოყოფილ ადგილზე. ასპირანტურის პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტის წარმატებით გავლის შემდეგ სამეცნიერო დისერტაციაზე სამუშაოდ გაიგზავნა სპეციალიზებული სამეცნიერო ცენტრის – მოსკოვის საკავშირო პროკურატურის დანაშაულობის მიზეზებისა და მისი თავიდან აცილების ღონისძიებათა შემუშავებულ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში. აქ იგი უფრო ახლო გაეცნო საყოველთაოდ აღიარებულ საბჭოთა და უცხოელ მეცნიერთა შრომებს, ძირითად სამართლებრივ დებულებებს, დასკვნებსა და წინადადებებს. ხელმძღვანელობას კი უწევდა საყოველთაოდ ცნობილი მეცნიერი და პრაქტიკოსი იგორ კარპეცი. ამ ინსტიტუტში მოხდა ზაურ წულაიას მეცნიერული მისწრაფებებისა და შესაძლებლობების კონცენტრაცია დანაშაულობის მიზეზებისა და მისი თავიდან აცილების პრობლემატიკაზე. ამ სახელმწიფოებრივად უმნიშვნელოვანესი ამოცანის გადაწყვეტაში არსებითი წვლილის შეტანის სურვილით იყო გამსჭვალული მთელი მისი შემდგომი პერიოდის სამეცნიერო მოღვაწეობა. ზაურ წულაიამ ორი სამეცნიერო დისერტაცია დაიცვა. ორივე კრიმინოლოგიის სფეროს განეკუთვნებოდა. პირველი ეხებოდა საფეიქრო მრეწველობაში გავრცელებული დატაცებების გამოძიებას და თავიდან აცილებას. მეორე კი, უფრო ფართო სპექტრს – მსუბუქ მრეწველობაში დატაცებათა წინააღმდეგ ბრძოლის კრიმინოლოგიურ საფუძვლებს. ერთიც და მეორეც არა მარტო თეორიული, არამედ მდიდარი პრაქტიკული მასალის ანალიზის საფუძველზე განხორციელებულ ღრმა მეცნიერულ კვლევას წარმოადგენდა. მოგვიანებით ისინი მონოგრაფიებად გამოქვეყნდა. ზაურ წულაიას კვლევები იმთავითვე მოექცა სამეცნიერო ცენტრებისა და სახელმწიფო მმართველობის ორგანოების ყურადღების ცენტრში. საკანდიდატო დისერტაციის დაცვის შემდეგ იგი მუშაობას იწყებს იურიდიული ფაკულტეტის სისხლის სამართლისა და პროცესის კათედრაზე დოცენტად, ხოლო მოგვიანებით იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოპოვებიდან – სისხლის სამართლისა და კრიმინოლოგიის კათედრის პროფესორად. ამ კათედრის წევრი იყო სიცოცხლის ბოლომდე.

გარდაიცვალა 2007 წელს, 65 წლის ასაკში.

ზაურ წულაია იყო არა მარტო წმინდა მეცნიერული მიდრეკილების სტუდენტი, ასპირანტი, დოცენტი და პროფესორი, არამედ საზოგადო საქმეთა უზადო მსახური: სხვადასხვა დროს იყო იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელი, ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, საქართველოში იურიდიულ მეცნიერებათა ხარისხების მიმნიჭებელი ერთადერთი საბჭოს წევრი, საქართველოს პროკურატურის, შინაგან საქმეთა სამინისტროს და უზენაესი სასამართლოს საკონსულტაციო-სამეცნიერო საბჭოების წევრი. დაჯილდოებული იყო ღირსების ორდენით და უამრავი სიგელით.

სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობასთან ერთად ზაურ წულაია მხატვრულ ლიტერატურასაც უხდიდა ხარკს, უამრავი ნოველისა და ლექსის ავტორია. ნოველების ორი კრებული აქვს გამოცემული. ზეპირად იცოდა ქართული და უცხოური კლასიკური პოეზიის საუკეთესო ნიმუშები. მისი სამეცნიერო თუ ლიტერატურული მოღვაწეობის ერთგული თანაშემწე და ერთადერთი მუზა გახლდათ მისი მეუღლე – ქალბატონი ნანა ლექვა. მასთან ერთად გაზარდა სამი შვილი, სამივე იურისტი, გიორგი, დავითი და ლევანი, რომელთაც ხშირად „ოქროს ბიჭებს – წულაიებს“ ეძახდა. სამივემ ღირსეული ოჯახი შექმნა და საამაყო მამის საქმეს წარმატებით აგრძელებენ.

პროფესორ ზაურ წულაიას შესახებ მომავალში შეიძლება სრული გამოკვლევა ან დისერტაცია დაიწეროს. ალბათ იმის კულტურაც მოვა ჩვენთან, რომ ღირსეული ადამიანების ცხოვრება და ღვაწლი სათანადოდ იქნეს დაფასებული.

რომან შენგელია

დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრის მთავარი კონსულტანტი, იურიდიული მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ემერიტუსი, გურამ თავართქილაძის სახელობის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის კერძო სამართლის კათედრის გამგე

პროფესორი ზაურ წულაია – გამოჩენილი კრიმინოლოგი

რეზიუმე

პროფესორ რომან შენგელიას წერილში გამოქვეყნებულია პროფესორ ზაურ წულაიას დამსახურება, საქართველოში „კრიმინოლოგიის“, როგორც სამართლის მეცნიერების დამოუკიდებელი დარგის, დამკვიდრებასა და განვითარებაში.

ავტორმა მიმოიხილა პროფესორ ზაურ წულაიას 2003 წელს გამოცემული ფუნდამენტალური შრომა „კრიმინოლოგია“, აღნიშნა, რომ იგი წარმოადგენს ქართულ ენაზე არსებული სამეცნიერო, სასწავლო და საინფორმაციო წყაროებს შორის გამორჩეულს არამარტო სტუდენტებისათვის, არამედ კრიმინოლოგიის პრობლემატიკით დაინტერესებული ფართო მკითხველთათვის.

პროფესორი რომან შენგელია, რომელიც პროფესორ ზაურ წულაიას ბავშვობის მეგობარი, კლასელი და კოლეგა იყო გადმოცემული აქვს მისი განვლილი გზა, სკოლის მერხიდან მეცნიერების მწვერვალამდე. მისი აზრით პროფესორ ზაურ წულაიას, მეცნიერულ კვლევებზე მომავალში შესაძლებელია სრული გამოკვლევა ან დისერტაცია დაიწეროს.

Роман Шенгелия

Профессор Заур Цулаия – Известный криминолог

Резюме

В письме профессора Романа Шенгелия публикуется заслуга профессора Заура Цулаия в создании и в развитии криминологии в Грузии, как независимая область права.

Автор рассмотрел фундаментальную работу профессора Заура Цулаия «Криминология», опубликованную в 2003 году, он отметил, что это на грузинском языке является особым научным не только для студентов но и для тех кто заинтересован проблемами криминологии.

Профессор Роман Шенгелия являлся другом детства, одноклассником и коллегой профессора Заура Цулаия. Он рассказывает о проведенной жизни со школьного стола на вершину науки. По его мнению, над исследованиями профессора Заура Цулаия можно написать диссертацию или провести глубокое исследование.

Professor Zaur Tsulaia – Famous Criminologist

Summary

In the letter of professor Roman Shengelia is published the merit of professor Zaur Tsulaia in the creation and development of "criminology" as an independent field of law in Georgia.

The author reviewed the fundamental work "Criminology" of professor Zaur Tsulaia, published in 2003, he noted that among the scientific, educational and informational sources this is the special in the Georgian language, not only for students, also for a wide range of readers who are interested in the problems of criminology.

Professor Roman Shengelia was a childhood friend, classmate and colleague of professor Zaur Tsulaia. He talks about Zaur Tsulaia's spent life from the school table to the top of science. In his opinion, it is possible to write a thesis or a full study on the researches of professor Zaur Tsulaia.

პროფესორი ანზორ გაბიანი – ქართული კრიმინოლოგიის მამამთავარი



„ქართული კრიმინოლოგიის განვითარებაში დიდი წვლილი აქვს შეტანილი პროფესორ ანზორ გაბიანს, იგი ქართული კრიმინოლოგიის მამამთავარადაც შეიძლება მივიჩნიოთ“. აღნიშნავს პროფესორი ზაურ წულაია ფუნდამენტალურ ნაშრომში „კრიმინოლოგია“.

პირადად მეამაყება და მადლობელი ვარ, რომ ამ ორ დიდ მეცნიერთან სამეცნიერო-კვლევით სფეროში საქმიანმა ურთიერთობამ კრიმინოლოგიის მიმართ დიდი ინტერესი გამიღვივა.

საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, სოციოლოგიისა და სამართლის დოქტორი, პროფესორი ანზორ გაბიანი, საბჭოთა კავშირის დაშლამდე იყო სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კავკასიის განყოფილების უფროსი, პოლიციის პოლკოვნიკი, ყოფილი საბჭოთა კავშირის სოციოლოგიური ასოციაციის ცენტრალური სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე და ა.შ. ხოლო დამოუკიდებელ საქართველოში მის მიერ დაარსებული, შინაგან საქმეთა სამინისტროს დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის პრობლემათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სისხლის სამართლისა და კრიმინოლოგიის კათედრის პროფესორი. დაჯილდოებული იყო „ღირსების ორდენით“.

ბატონი ანზორი, მრავალი წლის მანძილზე მუშაობდა ნორმიდან გადახრილი ქცევის სოციოლოგიასა და კრიმინოლოგიაში. მის მიერ ან მისი უშუალო ხელმძღვანელობით ჩატარებულია მრავალი ემპირიული სოციოლოგიური და კრიმინოლოგიური გამოკვლევა, რომელთა შედეგების გამოქვეყნებამაც მას ფართო აღიარება მოუპოვა როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ, რადგან ამ გამოკვლევების შედეგებს, მისი მრავალრიცხოვანი კოლეგების აზრით, უდავოდ აქვს არა მარტო თეორიული, არამედ დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა.

საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში ანზორ გაბიანის მიერ ჩატარებული ბევრი მნიშვნელოვანი გამოკვლევის შედეგების შესახებ საქართველოში ფართო მკითხველი ნაკლებად იყო ინფორმირებული იმის გამო, რომ ისინი ქვეყნებოდა დახურული გამოცემების სახით, რადგან შეეხებოდა იმ დროს არსებულ მეტად მწვავე სოციალურ პრობლემებს, ისეთებს, როგორც, მაგალითად, ნარკომანია და პროსტიტუცია, რადგან აღნიშნული სოციალური ბოროტებანი იმ დროის სსრ კავშირში ოფიციალურად „არ არსებობდა“. ამიტომ იგი იძულებული იყო დაეცვა საიდუმლოების შენახვის იმ დროს არსებული წესები. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ბევრ უსიამოვნებას გადააწყდებოდა, შეიძლებოდა აეკრძალათ სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა.

პროფესორ ანზორ გაბიანს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დაწყება იმ დროს მოუწია, როცა თავიდან საფუძველი ეყრებოდა მეცნიერების ისეთ დარგებს, როგორც არის კრიმინოლოგია, სოციოლოგია. სპეციალისტებისთვის კარგად არის ცნობილი, სტალინიზმის ეპოქაში ეს მეცნიერებები ცრუ მეცნიერებებად იყო შერაცხული.

ასეთ ვითარებაში, ბუნებრივია, პროფესორ ანზორ გაბიანს არ ჰქონდა იმის „ბედნიერება“, რომ მისი პირველი მცდელობა, ემუშავა კრიმინოლოგიასა და ნორმიდან გადახრილი ქცევის

სოციოლოგიაში, სათანადოდ ყოფილიყო შეფასებული თუნდაც იმ სამეცნიერო წრეებში, სადაც იგი საქმიანობდა. ამიტომ, ბუნებრივია, რომ ემპირიულ გამოკვლევებს იგი „მარტოობაში“ ატარებდა, რაც ბევრ უხერხულობასთან იყო დაკავშირებული. მას მოუხდა ემპირიული სოციოლოგიური გამოკვლევების მეთოდოლოგიის, მეთოდიკის, ტექნიკისა და ტაქტიკის სიღრმისეული შესწავლა, რამაც მას შემდგომ საშუალება მისცა ჩაეტარებინა მასშტაბური გამოკვლევები, მაგალითად ნარკოტიკომისა და ნარკომანიის უმძიმესი სოციალური პრობლემისა საქართველოსა და მთლიანად საბჭოთა კავშირში, საქართველოში პირველი და ჯერჯერობით უკანასკნელი დამნაშავეობის გეოგრაფიის სოციოლოგიური გამოკვლევა, რომელთაც დღემდე ანალოგი არ გააჩნიათ. დღეისათვის უნიკალურად შეიძლება მივიჩნიოთ აგრეთვე მისი ხელმძღვანელობითა და ავტორობით, გასული საუკუნის 80-იანი წლების დასასრულს, ჩატარებული ნარკოტიკომის მართლაც მასშტაბური ემპირიული სოციოლოგიური გამოკვლევა მთელი სსრ კავშირის მასშტაბით, რომლის ინიციატორი და დამფინანსებელი იყო ყოფილი სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტრო. სამუშაო მოიცავდა თითქმის 23.000 რესპონდენტი სსრ კავშირის რვა მსხვილ რეგიონში. სამწუხაროდ, ამ გამოკვლევის შედეგებს მზის სინათლის ნახვა არ ეწერა, სსრ კავშირის დაშლის შემდეგ, გასაგები მიზეზების გამო უშველებელი ემპირიული მასალის ავტომატიზებული დამუშავება მის საბოლოო დამთავრებამდე შეწყდა. ამიტომ მისი ავტორი იძულებული გახდა საკმაოდ ვრცელი სამეცნიერო ანგარიშით შემოფარგლულყო, რომელიც მუშა დოკუმენტის სახით განიხილა და მოიწონა ყოფილი საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს კოლეგიამ.

სხვადასხვა ქვეყნების წამყვანი სოციოლოგები და კრიმინოლოგები აღიარებენ, პროფესორ ანზორ გაბიანის მიერ ჯერ კიდევ კრიმინოლოგიისა და სოციოლოგიის ხელახალი აღორძინების გარიჟრაჟზე ჩატარებულ კვლევებს, რომელსაც პიონერულსაც უწოდებდნენ.

სიცოცხლის უკანასკნელ წლებში მან მისივე განხორციელებულ კვლევებზე დაყრდნობით გამოსცა შემაჯამებელი მონოგრაფიული ნაშრომები საზოგადოებისათვის აქტუალურ პრობლემებზე: „პროსტიტუციისა და ბოზობის „ზეობა“ ქალთა ემანსიპაციის იდეის საფარქვეშ“, რომელიც მიუძღვნა შესანიშნავი ქართველი ქალბატონების ნათელ ხსოვნას, რომელნიც თავიანთი ცხოვრებით, სიცოცხლეშივე ეზიარნენ მარადიულსა და ქვეყნისათვის ერთგული თავისი თუ სხვისი შვილების აღმზრდელი დედის სიმბოლოდ იქცნენ; „ნარკოტიკული ქვესკნელი და მისი ბინადრები“, რომელიც მიუძღვნა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსსა და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტს, უწმინდესსა და უნეტარეს ილია II-ს, გზასაცდენილი თანამემამულეების ქრისტიანულ არსობაში მოსაქცევად დაულალავი შრომისათვის;

მალხაზ ბაძალა
პროფესორი

პროფესორი ანზორ გაბიანი – ქართული კრიმინოლოგიის მამამთავარი

რეზიუმე

წერილში განხილულია პროფესორ ანზორ გაბიანის დამსახურება კრიმინოლოგიის მეცნიერებაში. აღნიშნულია, რომ იგი მრავალი წლის მანძილზე მუშაობდა ნორმიდან გადახრილი ქცევის სოციოლოგიაში და კრიმინოლოგიაში. მის მიერ ან მისი უშუალო ხელმძღვანელობით ჩატარებულია მრავალი ემპირიული სოციოლოგიური და კრიმინოლოგიური გამოკვლევა, რომელთა შედეგების გამოქვეყნებამაც მას ფართო აღიარება მოუპოვა როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ.

პროფესორ ანზორ გაბიანს მოუხდა ემპირიული სოციოლოგიური გამოკვლევების მეთოდოლოგიის, მეთოდის, ტექნიკისა და ტაქტიკის სიღრმისეული შესწავლა-შემუშავება, რამაც მას საშუალება მისცა ჩატარებინა საქართველოში პირველი და ჯერჯერობით უკანასკნელი დამნაშავეობის გეოგრაფიის სოციოლოგიური გამოკვლევა, რომელსაც დღემდე ანალოგი არ გააჩნია თავის მასშტაბით.

საქართველოს და სხვადასხვა ქვეყნების წამყვანი სოციოლოგები და კრიმინოლოგები აღიარებენ, რომ პროფესორ ანზორ გაბიანის მიერ ჯერ კიდევ კრიმინოლოგიისა და სოციოლოგიის ხელახალი აღორძინების გარიჟრაჟზე ჩატარებულ მეცნიერულ კვლევებს, შეიძლება პიონერული ეწოდოს.

Малхаз Бадзагуа

Профессор Анзор Габиани – основатель грузинской криминологии

Резюме

В письме рассмотрены заслуги профессора Анзора Габиани в области криминологии. Отмечено, что он много лет работал в социологии и в криминологии. Благодаря его прямому руководству было проведено множество эмпирических социологических и криминологических исследований, результаты которых были широко признаны не только в Грузии, а также за границей.

Профессор Анзор Габиани провел углубленное изучение-разработку методологии, методики, техники и тактики эмпирических социологических исследований, что позволило ему в Грузии проводить первую и пока что последнюю социологическое исследование географии преступности, которое пока не имеет аналогов.

Ведущие социологи и криминологи разных стран и Грузии признают, что исследованиям на заре возрождения криминологии и социологии проведенным Анзором Габиани, можно назвать пионерскими.

Professor Anzor Gabiani – The founder of Georgian criminology

Summary

The article examines the merits of the professor Anzor Gabiani in the field of criminology. It is noted that he worked for many years in sociology and criminology. With his direct guidance many empirical, sociological and criminological examinations have been conducted, the publication of the results of which has been widely recognized both in Georgia and abroad.

Professor Anzor Gabiani conducted a depth study of methodology, methodic, techniques and tactics of empirical sociological research, which allowed him to conduct the first and yet only in Georgia sociological research of the crime geography which so far has no analogues.

Leading sociologists and criminologists from different countries and Georgia recognizing, that the studies on the dawn of re-revival of criminology and sociology conducted by Anzor Gabiani can be called pioneering.

სისხლის სამართლის მეცნიერების საგნის საზღვრები

წიგნიდან „სისხლის სამართლის მეცნიერების საგანი“ (1)



სისხლის სამართლის მეცნიერების განვითარებადი ბუნება მოითხოვს იმას, რომ მისი საგანი განვითარებად ტენდენციაში განვიხილოთ. როგორც უკვე იყო ნათქვამი ამ ნაშრომის შესავალში, მეცნიერების საგნის პრობლემის გადაჭრა ამ მეცნიერების ლოგიკური დასასრული იქნებოდა. მაშასადამე, სისხლის სამართლის მეცნიერების საგანი არ შეიძლება ბოლომდე იყოს გარკვეული.

მეცნიერული შემეცნების უსასრულობის კვალობაზე თანდათან ზუსტდება ამ მეცნიერების საგანიც.

მართალია, ყოველი მეცნიერების საგანში მოქმედებს ამ მეცნიერების ბუნების განსაზღვრული „ლოგოსი“, მაგრამ შემდგომში კვლევა სხვა, უფრო მნიშვნელოვან, კანონს აღმოაჩენს ხოლმე. ეს შეიძლება ნაწილობრივ დავადასტუროთ იმით, რომ სისხლის სამართლის მეცნიერების საგანი, რომელიც ამ მეცნიერების განვითარების თანამედროვე ეტაპზე სისხლის სამართლის კანონშემოქმედებით ურთიერთობად გვესახება, სხვადასხვა მეცნიერების „სასაზღვრო ზონაში“ მდებარეობს. მეცნიერებათა ამ „გზაგასაყარზე“ მეცნიერების საგანს ორნაირი მნიშვნელობა აქვს. ერთის მხრივ, მეცნიერების საგანი მეცნიერებათა ურთიერთობის საფუძველია, რადგან მეცნიერებათა ურთიერთობა მათი თვისებრივი სხვაობის პირობებშია შესაძლებელი, ხოლო მეცნიერებათა თვისებრივი სხვაობის საფუძველს მეცნიერების საგანი წარმოადგენს. მეორე მხრივ, მეცნიერების საგნის კვლევა ლოგიკურად მიდის მეცნიერებათა ურთიერთობის კვლევამდე, ხოლო მეცნიერებათა ურთიერთობის კვლევა, თავის მხრივ, მეცნიერების საგანში ახალი კუთხის, მიმართების დადგენამდეც მიდის. მაშასადამე, სისხლის სამართლის მეცნიერების საგნის პრობლემა ლოგიკურად აღძრავს ხოლმე მეცნიერებათა სისტემაში სისხლის სამართლის მეცნიერების ადგილის პრობლემასაც. სამწუხაროდ, ამ დასკვნით პარაგრაფში ჩვენ მხოლოდ იმის ილუსტრაციას თუ მოვახერხებთ, რომ სისხლის სამართლის მეცნიერების საგანი მეცნიერებათა სისტემაში სისხლის სამართლის მეცნიერების ადგილის დადგენის აუცილებელი პირობაა, რადგან მეცნიერებათა სისტემაში სისხლის სამართლის ადგილის პრობლემა დამოუკიდებელ კვლევას მოითხოვს. აქ მხოლოდ მოკლედ შევეხებით ზოგიერთ ასპექტებს, რათა ერთგვარი შემაჯამებელი დასკვნები გავაკეთოთ.

პირველ რიგში შევეხებით ფილოსოფიისა და სისხლის სამართლის მეცნიერების მიმართების პრობლემას. ფილოსოფია მეცნიერებათა მეთოდოლოგიური საფუძველია, მაგრამ ამჯერად ჩვენ კვლავ დავუბრუნდებით სასჯელზე სახელმწიფოს უფლების პრობლემას, რომელიც სისხლის სამართლის ფილოსოფიის ნაწილია. ამ თვალსაზრისით ნათელია, რომ სწორედ ფილოსოფიის პოზიციიდან ხდება შესაძლებელი სისხლის სამართლის ფილოსოფიისა და სისხლის სამართლის მეცნიერების გამოიჯვანა. მეორეს მხრივ, თუ სისხლის სამართლის მეცნიერება დანაშაულის ცნებიდან იწყებს და სასჯელის ცნებით ამთავრებს, ფილოსოფია სასჯელის ცნებიდან იწყებს, განაზოგადებს სისხლის სამართლის მეცნიერების მონაცემებს და აკეთებს დასკვნებს, რომელთაც სისხლის სამართლის მეცნიერებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. ბუნებრივია, თუ სისხლის სამართლის კანონშემოქმედება მხოლოდ „ფილოსოფიური კურთხევის“ შემდეგ ხდება გამართლებული, რათა მიღებული სისხლის სამართლის კანონი იყოს სამართლიანი, დემოკრატიული, ჰუმანური და ა.შ. გარდა ამისა, მეცნიერებათა სისტემაში სისხლის სამართლის ადგილის პრობლემა ლოგიკურად მოითხოვს ფილოსოფიურ პოზიციას. ჯერ ერთი, ფილოსოფიისა და სისხლის სამართლის მეცნიერების ურთიერთობის პრობლემა

ფილოსოფიამ უნდა გადაჭრას და არა სისხლის სამართლის მეცნიერებამ. მეორეც, არც ერთ კერძო მეცნიერებას არა აქვს უნარი თავისივე ფარგლებში გადაჭრას სხვა მეცნიერებასთან ურთიერთობის პრობლემა. ორ ან მეტ კერძოებს შორის მიმართების პრობლემა ფილოსოფიურ პოზიციას მოითხოვს. და ბოლოს, სწორედ ფილოსოფიური პოზიციით უნდა გამართლდეს ე.წ. „სისხლის სამართლის პოლიტიკაც“, რადგან სახელმწიფოს კანონშემოქმედებითი პოლიტიკა არ შეიძლება ფილოსოფიური კრიტიკის გაქრეთ იქნეს გატანილი, როგორც ეს ხდებოდა ყოფილ საბჭოთა კავშირში.

მართლაც, როგორც უკვე იყო ნათქვამი, სისხლის სამართლის კანონშემოქმედება სახელმწიფოს განსაზღვრული პოლიტიკური გეზის გარეშე შეუძლებელია, მაგრამ ეს პოლიტიკური გეზი თვითონვე მოითხოვს ფილოსოფიურ გამართლებას. ამიტომ ჩვენ ვერ დავეთანხმებით სისხლის სამართლის კანონშემოქმედებაში პოლიტიკის გაფეტიშების საბჭოურ ტენდენციას. სახელმწიფოს ოფიციალური პოლიტიკა ვლინდება სისხლის სამართალშიც, მაგრამ აქედან სრულიად არ გამომდინარეობს დასკვნა, რომ პოლიტიკის გამოვლენას სისხლის სამართალში, კრიმინოლოგიაში, სისხლის სამართლის პროცესში და სასჯელაღსრულებით სამართალში თითქოს სჭირდება პოლიტიკის (ე.ი. „კრიმინალური პოლიტიკის“) დარგთაშორისი მეცნიერება, როგორც ამას ფიქრობდნენ საბჭოთა იურისტები (2). ჯერ ერთი, მეცნიერება, რომელიც ერთი საერთო ხაზით გააერთიანებს ზემოთ აღნიშნულ სფეროებს, თავისი არსით კერძო მეცნიერება ვერ იქნება – კერძო მეცნიერება რეფლექსური არ არის. მეორეც, აღნიშნულ სფეროებში პოლიტიკის გამოვლენის კვლევას წინ უნდა უსწრებდეს პოლიტიკის ცნების დადგენა. როგორც მართებულად აღნიშნავს ნ. ზაგორონოვსკი, სისხლის სამართლის პოლიტიკის გასაგებად საჭიროა პოლიტიკის ზოგადი ცნების ჩამოყალიბება (3). მაგრამ ნუთუ პოლიტიკის ზოგადი ცნება იურიდიულ მეცნიერებათა საზღვრებში ყალიბდება? გასაგები უნდა იყოს, რომ პოლიტიკის ზოგადი ცნების დადგენა იმთავითვე მოითხოვს პოლიტოლოგიის ნიადაგზე დგომას, იმის მიუხედავად, არსებობს თუ არა პოლიტოლოგია, როგორც პოლიტიკის მეცნიერება. სამწუხაროდ, იმის გამო, რომ ყოფილ საბჭოთა კავშირში არ არსებობდა პოლიტოლოგია, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერება პოლიტიკის შესახებ, პოლიტოლოგიზმის რეალური საფრთხე შეიქმნა. ჩვენ არ შეგვიძლია დუმით ავუაროთ გვერდი იმ ისტორიულ ფაქტს, რომ სსრ კავშირში პოლიტოლოგიის შექმნის მცდელობას პირველები აღუდგნენ წინ საბჭოთა იურისტები, რადგან, მათი აზრით, პოლიტიკის სფეროს თითქოს წარმატებით სწავლობს იურიდიული მეცნიერება (4).

ჩვენ კი ვფოქრობთ, რომ ეს იყო იურისტების უკანონო პრეტენზია და იურიდიულ მეცნიერებათა ბუნებისა და საზღვრების გაუგებრობის შედეგი. „პოლიტიკური“ და „იურიდიული“, მიუხედავად მათი მჭიდრო კავშირისა, არსებითად განსხვავებულ სფეროებს წარმოადგენენ. რასაკვირველია, იურისტი პოლიტიკურადაც უნდა აზროვნებდეს. მაგრამ ერთია იურისტის პოლიტიკური აზროვნება და მეორეა პოლიტოლოგია, როგორც პოლიტიკის მეცნიერება – ლოგიკურად ყველა მეცნიერებაში უნდა აზროვნებდნენ, მაგრამ ამის გამო ლოგიკის „გაუქმების“ საკითხი თავში არავის მოსვლია. მაშასადამე, იურისტი პოლიტიკის ცნებისა და არსის კვლევისას ლოგიკურად გადადის პოლიტოლოგიის პოზიციაზე და, ცხადია, იურიდიული მეცნიერების საზღვრებიდან გადის.

ამრიგად, სისხლის სამართლის კანონშემოქმედებით ურთიერთობაში პოლიტიკური ურთიერთობაც იგულისხმება, ხოლო პრობლემის ეს მხარე პოლიტოლოგიაში გადასვლას მოითხოვს. ეს იმას ადასტურებს, რომ ამ ასპექტით სისხლის სამართლის მეცნიერებას პოლიტოლოგიაც ესაზღვრება. რა თქმა უნდა, არსებობს პოლიტიკის ფილოსოფიაც, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს პოლიტიკის არსის გასაგებად, მაგრამ სწორედ ეს ადასტურებს, რომ სისხლის სამართლის მეცნიერების საგნის პრობლემატიკაში წამყვანია ფილოსოფიური პოზიცია.

სისხლის სამართლის კანონშემოქმედებითი ურთიერთობა ფართო სოციოლოგიური თვალსაწიერის გარეშე შეუძლებელია. ჯერ ერთი, სისხლის სამართალი ფართო აზრით თვითონაა სოციალური მოვლენა. მას თავისი სოციალური მიზეზები და შედეგები აქვს. მეორეც, დანაშაული სოციალური მოვლენაა; მესამეც, სასჯელი სოციალური ინსტიტუტია. ამიტომ გვმართებს გავითვალისწინოთ სასჯელის არამართო იურიდიული შედეგები, არამედ სოციალური შედეგებიც. ბუნებრივია, თუ ამ მხრივ სოციოლოგიური კვლევის შედეგებს დიდი მნიშვნელობა ექნებათ. ამას ემატება სისხლის სამართლის კანონის მოქმედების სოციალური მექანიზმის კვლევა. მაშასადამე, ამ მხრივ სისხლის სამართლის მეცნიერებას სოციოლოგიაც ესაზღვრება.

სისხლის სამართლის მეცნიერებისათვის ფსიქოლოგიის მონაცემების შემოქმედებით გამოყენებას დიდი მნიშვნელობა აქვს დანაშაულებრივი ქმედების მოტივებისა და მიზნების, ბრალის ფსიქოლოგიური მხარის გასაგებად. მაგრამ მკვლევარმა აქ თავიდან უნდა აიცილოს ყოველგვარი ფსიქოლოგიზმი და ნორმატივიზმი, ეს ცალმხრივობანი თავს მაშინვე იჩენდნენ, თუ ფსიქოლოგიისა და სისხლის სამართლის მეცნიერების ურთიერთობის კვლევა ფილოსოფიის დონიდან არ იქნება წარმართული.

დიდი გამოწვევები დგას ჩვენს წინაშე, რადგან ჩვენს ირგვლივ არსებულ უსამართლობაზე და უთანასწორობაზე შესაბამის რეაგირებას მოვახდენთ. არსებობენ ადამიანები, რომლებსაც ჭირდებათ დახმარება, ბუნება რომელსაც დაცვა სჭირდება და სხვ., ცხოვრება ყველა ფორმით უნდა იქნას დაცული და შეცდომები უნდა იქნას გამოსწორებული ყველა სფეროში. ამ 5 პუნქტიან სტრატეგიულ მოდელზე ჩაბლაუჭებით, ჩვენ შევძლებთ ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას, შედეგად მშვიდობა და სამართლიანობა დაისადგურებს, რომელიც იქნება ხშირი სტუმარი ჩვენს სახლში, ერში, სამეზობლოსა და მსოფლიოში.

კრის ესკრიჯი

ამერიკის კრიმინოლოგიის საზოგადოების დირექტორი,
ნებრასკას უნივერსიტეტის პროფესორი,
საჯარო მმართველობის დოქტორი

Крис Ескридж

Роль криминологии на глобальном уровне

Резюме

Область криминологии направлена на то, чтобы понять и объяснить преступность, с последующей целью уменьшить степень его негативных последствий. Как и в области медицины, это обуславливает необходимость разработки как превентивных, так и целебных стратегий, а также для их широкого внедрения практически по всем аспектам и секторам.

Врачи не всегда могут устранять смерть, так же, как криминологи в целом не могут устранять преступность, но они оба могут уменьшить тяжесть последствий болезни и преступности соответственно и улучшить качество жизни человечество. Перед ими стоят большие испытания, поскольку они взаимно реагируют на несправедливость в окружающем мире.

ტერორიზმი - საქართველოს საკანონმდებლო ჭრილში

საქართველო – ევროკავშირის ასოცირების შეთანხმებით, საქართველომ კიდევ ერთხელ აიღო ვალდებულება ევროკავშირის სხვა ხელმძღვრეო სახელმწიფოებთან ერთობლივად ებრძოლოს ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულს, კიდევ უფრო გააძლიეროს თანამშრომლობა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში (1). აღნიშნული საკითხები მკაფიოდ არის წარმოდგენილი შეთანხმების რამოდენიმე მუხლში. კერძოდ, ზოგადი პრინციპების მე–2 მუხლში, ტერორიზმი ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულთა რიცხვში მოიაზრება, მასთან ბრძოლა განსაკუთრებით არის გამოყოფილი. აღნიშნული შეთანხმების მე–12, მე–19 და 116–ე მუხლებიც ასევე პირდაპირ მიუთითებენ ხელმძღვრეო სახელმწიფოს ვალდებულებას ტერორიზმის გამოვლინების ნებისმიერი ფორმის პრევენციისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის ერთობლივი მოქმედების შესახებ (2). ამასთან, ტერორიზმის პრევენციის უმნიშვნელოვანეს ფაქტორებად, ასევე მითითებულია ისეთ დანაშაულობებთან ბრძოლა, როგორცაა უკანონო შემოსავლების ლეგალიზაცია (ფულის გათეთრება) და ნარკოტიკების არალეგალური ბრუნვა. ამასთან ერთად, ტერორიზმთან ბრძოლის სფეროში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ტერორიზმის დაფინანსების წყაროების აღმოფხვრას.

საქართველო–ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების მე–20 მუხლის: „თანამშრომლობა ტერორიზმთან ბრძოლის სფეროში“ 1–ლი პუნქტის (ა) ქვეპუნქტით საქართველომ ტერორისტული დანაშაულის კრიმინალიზაციის ვალდებულება აიღო. რაც არ ნიშნავს, იმას, რომ საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებამდე არ გააჩნდა ტერორიზმთან ბრძოლის საერთაშორისო ვალდებულებები თუ ეროვნული საკანონმდებლო ბაზა. კერძოდ, საქართველომ დამოუკიდებლობის პირობებში ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულობასთან, მათ შორის ტერორიზმთან, ბრძოლისა და პრევენციის სფეროში არსებულ საერთაშორისო კონვენციებისა თუ ხელშეკრულებების რატიფიცირება მოახდინა. კერძოდ, 1977 წლის 27 იანვრის ევროპული კონვენცია “ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ” (3); 1999 წლის 9 დეკემბრის გაეროს კონვენცია “ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის შესახებ” (4); 2005 წლის 13 აპრილის გაეროს კონვენცია “ბირთვული ტერორიზმის აქტების აღკვეთის შესახებ” (5); 2005 წლის 16 მაისის ევროპის საბჭოს კონვენცია “დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების გათეთრების, მოძიების, ამოღებისა და კონფისკაციის და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ” (6) და სხვა.

ამ პერიოდში დადებულია საერთაშორისო ხელშეკრულებები თანამშრომლობის შესახებ ტერორიზმთან და სხვა მძიმე დანაშაულთან წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში სუამის მონაწილე სახელმწიფოთა, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, თურქეთის, აზერბაიჯანის, ყაზახეთის, ლატვიის და სხვა მთავრობებს შორის.

აღსანიშნავია, რომ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის 2002 წლის 13 ივნისის ჩარჩო–გადაწყვეტილებით, ევროკავშირის დონეზე პირველად განისაზღვრა ტერორისტული დანაშაულის ქმედების შემადგენლობის ნიშნებისა და მათთვის სანქციების შესახებ ერთიანი მინიმალური დებულებები. აღნიშნულის გათვალისწინებით, უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია საქართველოს კანონი „ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ“ (7). მასში შესული ცვლილებები და დამატებები, რომელზემაც გავლენა იქონია და ცვლილებების შეტანა მოითხოვა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში, რითაც გაააქტიურა ბრძოლა ამ საშიში დანაშაულის წინააღმდეგ. აღნიშნული კანონი ძირითადად შესაბამისობაშია საერთაშორისო სამართლებრივ აქტებთან, განსაზღვრულია საქართველოში ტერორიზმთან ბრძოლის სამართლებრივი საფუძვლები და ძირითადი პრინციპები; ტერორიზმის ბრძოლის ორგანი-

ზაციული საფუძვლები; ტერორისტული საქმიანობის შედეგად შექმნილი ექსტრემალური სიტუაციების მართვა და კონტერორისტული ოპერაციების ჩატარება, რომლის ფარგლებშიც განსაზღვრულია კონტერორისტული ოპერაციის ჩატარების ძალები და საშუალებები, ხელმძღვანელობა, ტერორისტებთან მოლაპარაკების წარმოება, მოსახლეობის ინფორმირება; ტერორისტული აქტის შედეგად მიღებული ზიანის ანაზრაულება და დაზარალებული პირების სოციალური რეაბილიტაცია; ტერორიზმთან ბრძოლაში მონაწილე პირების სამართლებრივი და სოციალური დაცვა; საქართველოს საერთაშორისო თანამშრომლობა ტერორიზმთან ბრძოლის სფეროში; ტერორიზმთან ბრძოლის კანონიერების კონტროლი და ზედამხედველობა. ასევე, კანონით განსაზღვრულია, მნიშვნელოვან ტერმინთა განმარტებები. როგორცაა: ტერორიზმი, ტერორისტული აქტი, საერთაშორისო ტერორიზმი, ტერორისტი, ტერორისტული ჯგუფი, ტერორისტული ორგანიზაცია და სხვა.

„ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის (ა) პუნქტის მიხედვით ტერორიზმი განმარტებულია როგორც „ძალადობა ან ძალადობის გამოყენების მუქარა, მიმართული ფიზიკური ან იურიდიული პირების წინააღმდეგ, შენობა-ნაგებობების, სატრანსპორტო საშუალებების, კომუნიკაციების და სხვა მატერიალური ობიექტების განადგურება – დაზიანება ან მათი განადგურება – დაზიანების მუქარა იარაღის, ასაფეთქებელი მასალების, ბირთვული, ქიმიური, ბიოლოგიური თუ სხვა, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ნივთიერების გამოყენებით ან ადამიანის გატაცებითა თუ მძევლად აყვანით, რათა ხელისუფლება ან/და მისი რომელიმე ორგანო ან საერთაშორისო ორგანიზაცია იძულებული გახდეს, განახორციელოს გარკვეული ქმედება ან თავი შეიკავოს გარკვეული ქმედების განხორციელებისაგან, რომელიც ტერორისტების მართლსაწინააღმდეგო ინტერესებში შედის“.

ამ კანონის 1-ლი მუხლის (დ) პუნქტით ღრმად და სრულყოფილად, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად არის განმარტებული „საერთაშორისო ტერორიზმი“ – ტერორისტული საქმიანობა, რომელიც განხორციელდა:

- ტერორისტების, ტერორისტული ჯგუფების ან ტერორისტული ორგანიზაციების მიერ სხვა სახელმწიფოს (სახელმწიფოების) ტერიტორიაზე (ტერიტორიებზე), ან თუ ზიანი მიადგა სხვა სახელმწიფოს (სახელმწიფოებს);
- ერთი სახელმწიფოს მოქალაქეთა მიერ მეორე სახელმწიფოს მოქალაქეთა მიმართ;
- იმ შემთხვევაში, როდესაც როგორც ტერორისტი, ისე ტერორიზმის მსხვერპლი არიან ერთ ან სხვადასხვა სახელმწიფოს მოქალაქეები, მაგრამ ტერორისტული აქტი ჩადენილია ამ სახელმწიფოთა ტერიტორიების გარეთ.

აღნიშნული „საერთაშორისო ტერორიზმის“ განმარტებით გათვალისწინებული ტერორისტულ საქმიანობაში მონაწილეობა საერთაშორისო სამართლის პრაქტიკის შესაბამისად დასჯადია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 323²-ე მუხლის (8) თანახმად. კერძოდ, ამ მუხლის პირველი ნაწილი განმარტავს, რომ საერთაშორისო ტერორიზმში მონაწილეობა ან/და უცხო ქვეყნის ან მისი ორგანოს, პირთა ჯგუფის ან სხვა ფიზიკური ან იურიდიული პირის სამხედრო ხასიათის მხარდაჭერა, ჩადენილი ტერორისტული მიზნით, – ისჯება თავისუფლების აღკვეთით, ვადით თორმეტიდან ჩვიდმეტი წლამდე.

„ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მეორე თავი განსაზღვრავს ტერორიზმთან ბრძოლის ორგანიზაციულ საფუძვლებს, სახელმწიფოში ტერორიზმთან ბრძოლის სუბიექტებს და მათ უფლებამოსილებას. ამავე თავის მე-4 მუხლის თანახმად საქართველოში ტერორიზმთან ბრძოლის ორგანიზებას, მის სპეციალური საშუალებებითა და მატერიალური

რესურსებით უზრუნველყოფას ანხორციელებს საქართველოს მთავრობა, ხოლო ტერორიზმთან ბრძოლას უშუალოდ ანხორციელებენ შემდეგი სუბიექტები:

- საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, რომელიც მთავარი ორგანოა ტერორიზმთან ბრძოლის ერთიანი სახელმწიფოს სისტემაში;
- საქართველოს თავდაცვის სამინისტრო;
- საქართველოს დაზვერვის სამსახური;
- საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური

ასევე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, თავისი კომპეტენციის ფარგლებში ტერორიზმთან ბრძოლაში მონაწილეობენ სახელმწიფო ხელისუფლების სხვა ორგანოები, რომლებიც ტერორისტული აქტისა და ტერორისტული ხასიათის სხვა დანაშაულების გამოვლენის, თავიდან აცილებისა და აღკვეთის მიზნით შეიმუშავენ და ანხორციელებენ გამაფრთხილებელ, რეჟიმულ, ორგანიზაციულ და სხვა სახის ღონისძიებებს.

ამავე თავის მე-5 მუხლით განსაზღვრულია, იმ სუბიექტების უფლებამოსილებანი, რომლებიც უშუალოდ ანხორციელებენ ტერორიზმთან ბრძოლას. მთავარი სუბიექტის ფუნქცია დაკისრებული აქვს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს, რომელიც იმავდროულად კოორდინაციას უწევს ტერორიზმთან ბრძოლის სუბიექტების საქმიანობას კონტრტერორისტული ცენტრის მეშვეობით.

კანონით განსაზღვრული ტერორიზმთან ბრძოლის სუბიექტების კომპეტენციები, დეტალურად არის განმარტებული ზემოაღნიშნული სახელმწიფო ხელისუფლების სტრუქტურების მარეგულირებელ სამართლებრივ აქტებში.

საქართველოს კანონის „ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ“ 24-ე მუხლის „საპროკურორო ზედამხედველობა“ თანახმად „ტერორიზმთან ბრძოლისას საქართველოს კანონმდებლობის ზუსტ და ერთგვაროვან შესრულებას ზედამხედველობენ საქართველოს მთავარი პროკურორი და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სპეციალურად უფლებამოსილი პროკურორი“, რაც მიუთითებს ქვეყანაში სისხლის სამართლის პოლიტიკის მაღალ სტანდარტზე.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (9) 50-ე მუხლის მესამე ნაწილის (დ) ქვეპუნქტით შესაბამისად სასამართლოს უფლება აქვს მოწმის მოვალეობის შესრულებიდან გაანთავისუფლოს „კონტრტერორისტული ან/და სპეციალური ოპერაციის მონაწილე პირი (მის პროფესიულ მოვალეობასთან დაკავშირებით), რომლის საქმიანობაც გასაიდუმლოებულია და ამ საქმიანობის ამსახველი დოკუმენტები, მასალები და სხვა მონაცემები სახელმწიფო საიდუმლოებას მიეკუთვნება“.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ტერორისტული დანაშაული განხილულია ცალკე თავად სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულის კარში. ამასთან საერთაშორისო კონვენციებზე დაყრდნობით ტერორისტული დანაშაულისათვის დამახასიათებელი ნიშნების შემცველია სსკ-ში მოცემული სხვა დანაშაულის შემადგენლობანიც, კერძოდ: მუხლი 227 – „საჰაერო ან წყლის ხომალდის ან/და რკინიგზის მოძრავი შემადგენლობის მართლსაწინააღმდეგო დაუფლება“, მუხლი 227¹– „წყლის ხომალდის ნაოსნობისათვის საშიშროების შექმნა“, მუხლი 227³– „საჰაერო ხომალდისთვის საშიშროების შექმნა“, მუხლი 228 – „მეკობრეობა“; მუხლი 231 – „ბირთვული მასალის, რადიაქტიული ნივთიერების ან მაიონებელი გამოსხივების სხვა წყაროს ხელში ჩაგდება“, მუხლი 231¹ – „ბირთვული ნივთიერების მართლსაწინააღმდეგო მოთხოვნა“, მუხლი 231² – „ბირთვული ნივთიერების მართლსა-

წინააღმდეგო დაუფლების ან გამოყენების მუქარა“, მუხლი 232 – „ბირთვული იარაღის ან სხვა ბირთვული ასაფეთქებელი მოწყობილობის დამზადება“.

2000 წლის 1 ივნისის მონაცემებით მიღებულ სსკ-ში ტერორისტული ხასიათის დანაშაულებმა მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა 2007 წელს საქართველოს კანონის „ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ“ მიღებით. სსკ-ის 323-ე მუხლი – „ტერორისტული აქტი“ – „აფეთქება, ცეცხლის წაკიდება, ადამიანზე თავდასხმა, იარაღის გამოყენება ან სხვა ქმედება, რომელიც ქმნის ადამიანის სიცოცხლის მოსპობის, მნიშვნელოვანი ქონებრივი ზიანის ან სხვა მძიმე შედეგის განხორციელების საშიშროებას. ჩადენილი ტერორისტული მიზნით, ან ტერორისტული აქტის ჩადენის მუქარა“, შეესაბამება საქართველოს კანონის „ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ“ და საერთაშორისო კანონმდებლობაში არსებული ტერმინის განმარტებას. ერთადერთი რასაც იგი არ ითვალისწინებს საერთაშორისო კანონმდებლობიდან არის საერთაშორისო ორგანიზაციების სხვა პოტენციურ სამიზნეთა გვერდით მოხსენიება, თუმცა ეს ხარვეზი შევსებულია სსკ-ის 326-ე მუხლით რომელიც ცალკე გამოყოფს საერთაშორისო ორგანიზაციებს, ასევე საერთაშორისო დაცვით მოსარგებლე უცხო ქვეყნის წარმომადგენლებს, მათ ოჯახის წევრებს ან მათ კუთვნილ შენობებს. ამავე მუხლის მიხედვით ხელყოფა უნდა განხორციელდეს „პოლიტიკური მოტივით ან საერთაშორისო ურთიერთობების გართულების მიზნით“ პოლიტიკური მოტივის ტერორისტულ დანაშაულში შეტანასთან დაკავშირებით რადიკალურად განსხვავებულია ევროპის საბჭოს ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის კონვენცია, რომელიც ითვალისწინებს რომ ნებისმიერი ტერორისტული დანაშაული ან მასთან დაკავშირებული ქმედებები გაანთავისუფლონ პოლიტიკური დატვირთვისაგან და პირდაპირ აცხადებს, რომ ტერორისტული დანაშაული არ შეიძლება ჩათვალოს „პოლიტიკურ, პოლიტიკურ დანაშაულთან დაკავშირებულ ან პოლიტიკური მოტივით განპირობებულ დანაშაულებად“. გასათვალისწინებელია, რომ საქართველომ 2000 წელს მოახდინა აღნიშნული კონვენციის რატიფიცირება, რაც თავისთავად წარმოშობს მოცემული მოთხოვნის შესრულების ვალდებულებას, თუმცა ამასთანავე გასათვალისწინებელია თეორიასა და პრაქტიკაში არსებული განსხვავებული, საპირისპირო მოსაზრებები, რომელიც შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობაში არსებულ ზემოაღნიშნულ ნორმას.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 318-ე მუხლი საბოტაჟის მიზნად მიიჩნევს „საქართველოს დასუსტებას“, ხოლო 323-ე მუხლის შენიშვნის მიხედვით „ტერორისტული მიზანი არის მოსახლეობის დაშინება ან ხელისუფლების ორგანოს, უცხო ქვეყნის ხელისუფლების ორგანოს ან საერთაშორისო ორგანიზაციის იძულება, შეასრულოს ან არ შეასრულოს ესა თუ ის მოქმედება, ან ქვეყნის/უცხო ქვეყნის/საერთაშორისო ორგანიზაციის ფუნდამენტური პოლიტიკური, კონსტიტუციური, ეკონომიკური ან სოციალური სტრუქტურების დესტაბილიზაცია ან განადგურება“, უნდა იყოს „მოსახლეობის დაშინების ან ხელისუფლების ორგანოზე ზემოქმედების მიზნით“. ბუნდოვანია, თუ რა იგულისხმება საქართველოს დასუსტებაში. თავად საბოტაჟის მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, საქართველოს დასუსტება შეიძლება გამოიხატოს სახელმწიფო ან სხვა საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ან სამსახურის ნორმალური ფუნქციონირებისთვის ხელის შეშლაში, განსაკუთრებული დანაშაულების ობიექტის დაზიანებაში, მწყობრიდან გამოყვანაში ან განადგურებაში, აგრეთვე ბირთვული ენერჯის კონტროლიდან გამოყვანაში, ეპიდემიის ან ეპიზოოტიის გავრცელებაში ან სხვა ქმედებაში. 323-ე მუხლი არ აზუსტებს და შესაბამისად მნიშვნელობას არ ანიჭებს იმას, თუ კონკრეტულად რა ქმედებაში შეიძლება გამოიხატოს ტერორისტული აქტი. მთავარია, რომ იგი ჩადენილი იყოს აღნიშნული მუხლით გათვალისწინებული საშუალებითა და მიზნით. შესაბამისად, როდესაც აღნიშნული ქმედებების ჩადენა ხდება საქართველოს სახელმწიფო ინტერესების ხელყოფის მიზნით, ისინი უნდა დაკვალიფიცირდნენ 323-ე მუხლით, რაც წინააღმდეგობაში მოდის 318-ე მუხლთან.

აღსანიშნავია, რომ საბოტაჟი შესაძლებელია ჩადენილი იყოს აფეთქებით, ცეცხლის წაკიდებით ან სხვა საყოველთაოდ საშიში საშუალებით. 323-ე მუხლის მიხედვით, ტერორისტული აქტის ჩადენა სწორედ ამ ხერხებით არის აუცილებელი, რაც კიდევ უფრო აახლოვებს ამ მუხლების შემადგენელ ნაწილებს. შესაბამისად, როდესაც ქმედება ჩადენილია საყოველთაოდ საშიში საშუალებით და მიზნად ისახავს საქართველოს სახელმწიფო ინტერესების ხელყოფას, გაურკვეველია, თუ რომელი მუხლით უნდა დაკვალიფიცირდეს მსგავსი დანაშაული.

სსკ-323-ე მუხლის შენიშვნაში მოცემულია ტერორისტული მიზნის დეფინიცია, რომელიც ტერორიზმის თავში მოცემული თითქმის ყველა დანაშაულის სუბიექტური შემადგენლობის განსაზღვრისათვის აუცილებელი ორიენტირია. ამგვარი მიდგომა კანონიერების პრინციპთან სრულ შესაბამისობაშია.

სსკ-ის 324-ემუხლის „ტექნოლოგიური ტერორიზმი“ მე-3 ნაწილში მითითებულია: „ბირთვული, რადიოლოგიური, ქიმიური ან ბაქტერიოლოგიური (ბიოლოგიური) იარაღის ან მისი კომპონენტის, პათოგენური მიკროორგანიზმის, რადიაქტიური ან/და ადამიანის ჯანმრთელობისათვის მავნე სხვა ნივთიერების გამოყენება, მათშორის, ბირთვული, ქიმიური ან ძლიერი ტექნოლოგიური ან/და ეკოლოგიური საშიშროების შემცველი ობიექტის ხელში ჩაგდება, ჩადენილი ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე ზემოქმედების ან ტერორისტული მიზნით“. ამ მუხლში ტერორისტულ მიზანთან ერთად მითითებულია არა ზოგადად მოსახლეობა, რომელიც ადამიანთა ფართო მასებს მოიცავს, არამედ შევიწროებულია და სამიზნე ობიექტად მითითებულია ფიზიკური ან იურიდიული პირი.

სსკ-ის 329-ე მუხლის „მძევალთა ხელში ჩაგდება ტერორისტული მიზნით“ სუბიექტური შემადგენლობა ტერორისტულ მიზანთან ერთად მიუთითებს რელიგიური ორგანიზაციის იძულების მიზანზეც, რაც ალტერნატიულად აფუძნებს ტერორისტული მიზნით მძევლად ხელში ჩაგდების სუბიექტურ შემადგენლობას. ტერორისტულ მიზანთან ერთად ამგვარი ალტერნატიული მიზნის მითითება განაპირობა იმან, რომ საქართველოს კანონმდებლობით ტერორისტულ მიზანში მუქარის ადრესატად მოხსენიებული არ არის რელიგიური ორგანიზაცია.

კოდექსის 330-ე მუხლის პირველი ნაწილი დასჯად ქმედებად მიიჩნევს „სტრატეგიული ან განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტის ხელში ჩაგდებას ან ბლოკირებას ტერორისტული მიზნით“. იმ შემთხვევაში თუ ჩვენ ტერორისტულ მიზნად მივიჩნევთ „საქართველოს დასუსტებას“, მაშინ ბუნდოვანი ხდება მოცემული შემადგენლობის მქონე ქმედების კვალიფიკაციის საკითხი.

საქართველოს სსკ-ს 331¹ - ე მუხლი – „ტერორიზმის დაფინანსება, ტერორისტული საქმიანობის სხვაგვარი მატერიალური მხარდაჭერა ან რესურსებით უზრუნველყოფა“ 1999 წლის გაეროს „ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის შესახებ“ კონვენციის შესაბამისად შეიცვალა. ტერორისტული აქტის დაფინანსება ცვლილებამდე დანაშაულში თანამონაწილეობად (დახმარებად) კვალიფიცირდებოდა, ამგვარი ქმედება დღეს დამთავრებულ დამოუკიდებელ დანაშაულად ფასდება, რისთვისაც პასუხისმგებლობაც შესაბამისად მაღალია;

ტერორიზმთან ბრძოლის და თავის აცილების მიზნით გამოცემულია არაერთი მნიშვნელოვანი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი:

- საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 მარტის დადგენილება N 236 – „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“;

- საქართველოს მთავრობის 2014 წლის 26 მარტის დადგენილება №254 – „ქვეყანაში კონტრტერორისტული საქმიანობის ორგანიზებისა და ტერორიზმთან ბრძოლის სუბიექტების საქმიანობის კოორდინაციის წესის შესახებ“, რომლითაც საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური კონტრტერორისტული ცენტრის მეშვეობით ახორციელებს კონტრტერორისტული საქმიანობის კოორდინაციას;
- საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2015 წლის 21 აპრილის ბრძანება №46/04 „კომერციული ბანკების უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის და ტერორიზმის დაფინანსების რისკის ზედამხედველობის ანგარიშგების შევსებისა და ინფორმაციის წარმოდგენის წესის დამტკიცების თაობაზე“;
- საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2016 წლის 5 მაისის ბრძანება №47/04 „ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორების უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის და ტერორიზმის დაფინანსების რისკის ზედამხედველობის ანგარიშგების შევსებისა და ინფორმაციის წარმოდგენის წესის დამტკიცების თაობაზე“;
- საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2016 წლის 5 მაისის ბრძანება N48/04 „საბროკერო კომპანიების უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის და ტერორიზმის დაფინანსების რისკის ზედამხედველობის ანგარიშგების შევსებისა და ინფორმაციის წარმოდგენის წესის დამტკიცების თაობაზე“;
- საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2016 წლის 31 მაისის ბრძანება №61/04 „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის და ტერორიზმის დაფინანსების რისკის ზედამხედველობის ანგარიშგების შევსებისა და ინფორმაციის წარმოდგენის წესის დამტკიცების თაობაზე“; და სხვა ნორმატიული აქტები.
- საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2017 წლის 28 მარტის ბრძანება N43/04 „საგადასახადო მომსახურების, პროვაიდერების, უკანონო შემოსავლის, ლეგალიზაციის და ტერორიზმის დაფინანსების რისკის, ზედამხედველობის ანგარიშგების შევსებისა და ინფორმაციის წარმოდგენის წესის დამტკიცების თაობაზე“;

ტერორიზმი ხელყოფს ადამიანის ფუნდამენტალურ სიცოხლის უფლებას. მის წინააღმდეგ ბრძოლა ფართო და უწყვეტია. ტერორისტული აქტი ყველა თავისი ფორმით და გამოვლინებით, ჩადენილი ნებისმიერ ადგილას, ნებისმიერ დროს და ნებისმიერი ადამიანის მიერ, სერიოზულად უქმნის საფრთხეს საერთაშორისო მშვიდობასა და უსაფრთხოებას.

ტერორიზმთან ბრძოლის, საქართველოს საკანონმდებლო სტანდარტების ანალიზი, ცხადყოფს ზოგიერთი ხარვეზის გათვალისწინებით მის ძირითად შესაბამისობას საერთაშორისო სტანდარტებთან, რაც უზრუნველყოფს სახელმწიფო ხელისუფლების სტრუქტურების მხრიდან როგორც პრევენციულ, ისე რეპრესიული ხასიათის ფუნქციების ეფექტურ განხორციელებას.

დავით სუჯაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველო – ევროკავშირის ასოცირების შეთანხმება, ბრიუსელი 2014, 27 ივნისი;
2. ევროკავშირის საბჭოს „ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის“ ჩარჩო–გადაწყვეტილება, 2002, 13 ივნისი
3. ევროკავშირის კონვენცია „ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ 1977, 27 იანვარი
4. გაეროს კონვენცია „ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის შესახებ“ 1999, 9 დეკემბერი
5. გაეროს კონვენცია “ბირთვული ტერორიზმის აქტების აღკვეთის შესახებ” 2005, 13 აპრილი

6. ევროპის საბჭოს კონვენცია “დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების გათეთრების, მოძიების, ამოღებისა და კონფისკაციის და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ” 2005, 16 მაისი
7. საქართველოს კანონი „ტერორიზმის ბრძოლის შესახებ, 2007, 27 ივნისი;
8. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი 2009, 9 ოქტომბერი;
9. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი 1999, 22 ივლისი

დავით სუჯაშვილი

ტერორიზმი - საქართველოს საკანონმდებლო ჭრილში

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია ტერორიზმთან ბრძოლის, საქართველოს საკანონმდებლო სტანდარტების ანალიზი და მისი შესაბამისობა საერთაშორისო სამართალთან.

ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს და აანალიზებს საქართველოს კანონის „ტერორიზმის ბრძოლის შესახებ“ ძირითად დებულებებს, „ტერორიზმის“, „ტერორისტული აქტისა“ და „საერთაშორისო ტერორიზმის“ ტერმინოლოგიურ განმარტებებს და სისხლის სამართლის კოდექსის XXVIII თავის „ტერორიზმი“ რამოდენიმე მნიშვნელოვან მუხლს, ასევე ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლასთან და პრევენციასთან დაკავშირებულ კანონქვემდებარე აქტებს.

Давид Суджашвили

Терроризм – в Грузинском законодательном контексте

Резюме

В статье рассматривается анализ законодательных норм Грузии, борьбы с терроризмом и ее соответствие международному праву.

Автор уделяет особое внимание и анализирует основные положения закона Грузии «О борьбе с терроризмом», терминологическим определениям «терроризма», «террористического акта» и «международного терроризма» и нескольким важным статьям главы «терроризм» уголовного кодекса, а также в другие нормативные акты касающиеся борьбы с терроризмом.

Davit Sujashvili

Terrorism – in the legislative context of Georgia

Summary

The article examines the analysis of legislative norms of the fight against terrorism and its compliance with international law.

The author pays special attention and analyzes the main provisions of the Georgian law "On Combating Terrorism", terminological definitions of the "terrorism", "terrorist act" and "international terrorism", and an important chapter "terrorism" of the criminal code. Also other normative acts related to the fight against terrorism and prevention.

თანამედროვე კრიმინოლოგიის თეორიულ საკითხებზე ერთიანი ხედვის აუცილებლობა

კრიმინოლოგიის ძირითად ტერმინთა განმარტებებთან დაკავშირებით კვლევებმა (1) დაგვანახა პრობლემები რომლებიც გამოწვეულია თანამედროვე კრიმინოლოგიის თეორიულ საკითხებზე ერთიანი ხედვის არ არსებობასთან. აღნიშნული მდგომარეობა აფერხებს და არაეფექტურს ხდის კრიმინოლოგიის სწავლებას, კვლევებს, მის პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენებას და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია კრიმინოლოგიის, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერების ჩამოყალიბებას და სისტემურ განვითარებას.

არსებული მდგომარეობის მიზეზები და მისი ხელისშემწყობი პირობები ქვეყნის გარე და შიდა ფაქტორების გათვალისწინებით, არის სუბიექტურიც და ობიექტურიც. ყურადღებას გავამახვილებთ ძირითად მიზეზებზე, რომელსაც გლობალური ფაქტორები განაპირობებენ. კერძოდ, საზღვარგარეთის ქვეყნების კრიმინოლოგიური სკოლები, ცალკეული მეცნიერები კრიმინოლოგიის ადგილს მეცნიერებათა სისტემაში ფილოსოფიის, სოციოლოგიის, სამართლის და სხვა მეცნიერებების გავლენით არაერთმნიშვნელოვნად, სხვადასხვა მეცნიერებების შემადგენლობაში განიხილავენ (3): კონტინენტური ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში სისხლის სამართლის წიაღში წარმოშობილ დანაშაულობის სოციალურ-სამართლებრივი მოვლენების შემსწავლელი კომპლექსური მეცნიერებაა, ხოლო ანგლო-ამერიკულ ქვეყნებში სოციალური გადახრების შემსწავლელ სოციალურ მეცნიერებად მოიაზრება. შესაბამისი მდგომარეობაა კრიმინოლოგიის ძირითადი ტერმინების და ცნებების გაგებაში (4).

ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი ისტორიულია და კრიმინოლოგიის წარმოშობის სათავეებთანაა დაკავშირებული, მისი როგორც მეცნიერების აღმოცენება, ისტორიისათვის არცთუ დიდიხნის წინ, მე-18 საუკუნის მეორე ნახევარს, სისხლის სამართლის ევროპულ კლასიკურ სკოლას უკავშირდება. რამაც გავლენა იქონია კრიმინოლოგიის დასახელების ეტიმოლოგიაზე, რაც გულისხმობს „მოდვერებას დანაშაულის შესახებ“. შემდგომში კრიმინოლოგიის განვითარების ყველა ეტაპზე კლასიკურ, პოზიტიურ, პლურალისტურ-თანამედროვე პერიოდებში კრიმინოლოგიის ტერმინი უფრო ფართო მნიშვნელობას იძენდა და გაგებულია, როგორც მეცნიერება დანაშაულობის შესახებ.

თანამედროვე მსოფლიო თითქმის ყველა ასპექტით გლობალურ ერთიან კიბერსივრცედ იქცა, ინფორმაციულ-ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის ურთიერთკავშირის კომპლექსად, რამაც გავლენა იქონია დანაშაულობის სტრუქტურაზე და ორგანიზებული დანაშაულობის სპეციფიკური სახეობების: ქურდობის, ფულის გათეთრების, კორუფციის, ტერორიზმის და სხვათა სისტემურ განვითარებაზე (14).

გლობალიზაციის შედეგები განსაკუთრებით შეიგრძნობა ევროპაში, მათ შორის საქართველოში ვიდრე დანარჩენ მსოფლიოში, რადგან ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში კომუნისტური რეჟიმების ჩამოშლამ და კაპიტალისტური საზოგადოების არათანმიმდევრულმა ჩამოყალიბებამ, ევროპაში საზღვრების ფაქტიურმა გაუქმებამ უეზო მიმოსვლამ, ტურიზმის ინდუსტრიის სწრაფი ტემპებით განვითარებამ უარყოფითად იმოქმედა უსაფრთხოების სისტემებზე (2), ხელი შეუწყო ადგილობრივი დანაშაულობის გლობალიზაციას, რამაც გავლენა იქონია მის მდგომარეობასა და სტრუქტურაზე, რამაც ეროვნული კრიმინოლოგია გადააგცია საერთაშორისო კრიმინოლოგიად, მოხდა კრიმინოლოგიის გლობალიზაცია (3), რაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს თანამედროვე კრიმინოლოგიის ძირითად საკითხებში ერთიანი ხედვის ჩამოყალიბების აუცილებლობაზე. ამის კარგი მაგალითია სამართლის კონტინენტური

ევროპისა და ანგლო-ამერიკულ სისტემებს შორის დაახლოების პროცესი, როდესაც კონტინენტურ ევროპაში სამართლის დამოუკიდებლობის კონსტიტუციური გარანტიების გავლენით მნიშვნელოვნად ამაღლდა მოსამართლეთა როლი, ხოლო სამართლის მეცნიერების ტრადიციული გავლენა შესუსტდა. ანგლო-ამერიკული სამართლის ქვეყნებში კი პირიქით, ზემდგომი ინსტაციების სასამართლოების რაოდენობრივ ზრდასთან ერთად, მოსამართლეების როლი შესუსტდა და ამავდროულად გაიზარდა სამართლის მეცნიერების გავლენა, რომელიც უზრუნველყოფს სამართლის ერთიანობას (6). კონტინენტური ევროპის იურიდიული აზროვნების დედუქციური წესი, ზოგადიდან, კონკრეტულობისაკენ თანდათანობით უახლოვდება ანგლო-ამერიკულ იურიდიული აზროვნების ინდუქციურ წესს კონკრეტულიდან ზოგადისაკენ, აღნიშნულმა პროცესმა კრიმინოლოგიაზეც იქონია გავლენა.

კრიმინოლოგიაზე წარმოდგენები, როგორც მეცნიერებაზე საზოგადოების ევოლუციის პროცესთან ერთად წინააღმდეგობრივად ვითრდება. რაც კრიმინოლოგიური კვლევებისათვის მისი შემდგომი განვითარებისათვის მისაღებია, რაც შეეხება სწავლებას აქ მეთოდოლოგიური სიზუსტეა მნიშვნელოვანი. რასაც კრიმინოლოგიის თეორიაში მომუშავე მეცნიერებებიც მიიჩნევენ. როგორც ზემოთ აღნიშნეთ ირჩევენ სხვადასხვა ფილოსოფიურ პოზიციას და კაპიტალიზმის ბუნებიდან გამომდინარე ივარგლებიან საზოგადოებრივი ცხოვრების გარკვეული სფეროების ანალიზით (7).

კრიმინოლოგიაში ევოლუციური პროცესების კვლევამ გამოავლინა კონსტიტუციური კრიმინოლოგიის ძირითადი არსის მართებულობა, რომლის მიხედვით ზოგადად დანაშაულობის შესწავლა შეუძლებელია საზოგადოებაში მიმდინარე პროცესებისაგან განცალკევებით. ამიტომაც მიუხედავად, აზრთა სხვადასხვაობისა თანამედროვე კრიმინოლოგიაში ძირითადად თანხმდებიან კრიმინოლოგიის მეცნიერების კომპლექსურობაზე, სოციალურ-სამართლებრივ და არამართო ამ მეცნიერებების შემადგენელით. რადგან მისი კვლევის საგანია დანაშაულობა, როგორც სოციალურ-სამართლებრივი მოვლენა, მისი მიზეზების, ხელისშემწყობი პირობების, დანაშაულობის ჩამდენი პირის და მსხვერპლის, თვიდან აცილებისა და კონტროლის გზების ძიების მეცნიერული გააზრება.

საზღვრგარეთის ქვეყნების კრიმინოლოგიური სკოლები, მეცნიერები ზემო აღნიშნულ მიზეზთა გამო სხვადასხვაგვარად განიხილავენ ძირითად ცნებებსა და ტერმინებს. ამ ჭრილში აქტუალურია კრიმინოლოგიაში მასობრივ და ინდივიდუალურ დონეზე დანაშაულობის შესწავლისას ორი ძირითადი ელემენტის – ცნებისა და ტერმინის კვლევა.

პირველი, თანამედროვე ქართულ კრიმინოლოგიაში ერთეული გამონაკლისის გარდა (3), რომელშიც იგულისხმება „დანაშაულის“ სისხლისსამართლის ტერმინის გამოყენება მასობრივ დონეზე კვლევის სუბიექტად დამკვიდრებულია ტერმინი „დანაშაულობა“ რომლის წარმომავლობაც და დამკვიდრება დაკავშირებულია აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის ძველი ქართული იურიდიული, მათ შორის კრიმინოლოგიური ტერმინთა გარმანტებების ღრმა ანალიზთან (8). „დანაშაულობის“ კრიმინოლოგიური ტერმინი შეტანილია 1963 წელს პროფესორ თინათინ წერეთლის რედაქციით გამოცემულ „იურიდიულ ლექსიკონში“ (9).

ანგლო-ამერიკულ ქვეყნებში კრიმინოლოგიაში გამოიყენება „დანაშაულობის“ შესაბამისი ტერმინები ერთისმხრივ “Crime” და ამასთანავე ტერმინი “Criminality” (10) ამ ქვეყნებში კრიმინოლოგიის სოციოლოგიურ მეცნიერებად მიკუთვნების შესაბამისად გამოიყენება სოციალური ტერმინი „დევიანტობა“ – „Deviance” რაც სოციალური, მორალური, სამართლებრივი, ნორმიდან გადახრილ საქციელს ნიშნავს და თავის არსით ყველაზე ახლოა „დანაშაულობის“ ტერმინთან და ცნებასთან (1).

კრიმინოლოგიაში, ტერმინი „დანაშაულობა“ თავისი მნიშვნელობის გათვალისწინებით საჭიროებს ერთიანი მიდგომის ჩამოყალიბებაზე ფართო დისკუსიასა და შეთანხმებას.

მეორე, კრიმინოლოგიაში დანაშაულობის ინდივიდუალურ დონეზე კვლევის ერთ-ერთი ძირითადი ელემენტია ტერმინი „დამნაშავის პიროვნება“ რომელთან დაკავშირებითაც სხვადასხვა ასპექტით იკვეთება ტერმინოლოგიური და სხვა სახის უზუსტობები.

ტერმინი „დამნაშავის პიროვნება“ შენადგენი სიტყვაა, წარმოქმნილია „პიროვნების“ ზოგად-სოციოლოგიურ და „დამნაშავის“ სამართლებრივი ტერმინებისაგან. ზოგიერთი ქართველი მეცნიერის მიერ ხასიათდება სოციალურ დემოგრაფიული, ზნეობრივ-ფსიქოლოგიური ნიშნებთან ერთად სისხლის სამართლებრივი ნიშნებით, ვიწრო გაგებით გაიგივებულია დანაშაულის ჩამდენ პირთან (4) ასევე დანაშაულებრივ ქცევის-დამნაშავის სუბიექტად (11) და სხვა.

ინდივიდუალურ დონეზე დანაშაულობის როგორც ანტისაზოგადოებრივი სოციალურ-სამართლებრივ მოვლენის მხოლოდ სისხლისსამართლებრივად განხილვა თანამედროვე კრიმინოლოგიაში ძირითადი ცნებებისა და ტერმინების ფართო მნიშვნელობიდან გამომდინარე ბუნდოვანი და არასრულყოფილი შესწავლის შთაბეჭდილებას ქმნის. აღნიშნული კვლევა უნდა ხორციელდებოდეს ზოგად სამართლებრივ ნიშნებზე დაყრდნობით, როგორც სისხლის, ადმინისტრაციული სამართლის ასევე ზოგად სოციალური ნიშნებითა და მორალური ასპექტებით. კრიმინოლოგიაში გამოყენებული სოციალური, ფსიქოლოგიურ-დიაგნოსტიკური, დოკუმენტური, ავტობიოგრაფიული და სხვა კვლევის მეთოდების საშუალებით.

ქართველი მეცნიერები სამართლიანად აღნიშნავენ, რომ „დამნაშავის პიროვნება“ გულისხმობს წინასწარ მოცემულს, იქნება ეს ბიოლოგიური, თუ სოციალური. მაშინ როცა დანაშაული შეიძლება ჩაიდინოს ნებისმიერმა ადამიანმა. ამასთანავე ცნება ცვალებადია, ის რაც დღეს მიჩნეულია დანაშაულად, ხვალ შეიძლება აღარ იყოს. ამასთანავე კრიმინოლოგიისათვის მნიშვნელოვანი არ არის ის გარემოება არის თუ არა ქმედება მხოლოდ სისხლის სამართლის ნორმით დასჯადი, არამედ სწავლობს ადამიანთა მიმართ განხორციელებულ ისეთი სახის ქმედებებსაც, რომლებიც სისხლისა და ადმინისტრაციული სამართლის კოდექსებით არ არის დასჯადი, მაგრამ შეიცავს საფრთხეს, დარღვეულ იქნას საზოგადოებრივი თანაცხოვრება და კვლავ მოხვდეს უკვე კანონთან კონფლიქტში. მაგალითად ნარკოტიკული საშუალებების პირველადი მოხმარება, ალკოჰოლიზმი, სატრანსპორტო საშუალებით მოძრაობის წესების ხშირი დარღვევა (3) .

აღნიშნულის გათვალისწინებით, ლოგიკური იქნება თუ კრიმინოლოგიაში ინდივიდუალურ დონეზე შესწავლილი იქნება ზოგად სოციალური და სამართლებრივი მიდგომებიდან გამომდინარე დანაშაულის ჩამდენი ასევე სამართალდამრღვევი თუ სოციალური ნორმიდან გადახრილი პიროვნება.

ანგლო-ამერიკულ ქვეყნებში ინდივიდუალურ დონეზე კვლევისას „დამნაშავის პიროვნების“ შესაბამისად იყენებენ ტერმინს “Criminal personality” და „Deviant” პირველი პირდაპირი მნიშვნელობით ნიშნავს დამნაშავის პიროვნებას და მეორე სოციალური, მორალური, სამართლებრივი ნორმების დამრღვევს.

შესაბამისად ასეთი მდგომარეობაა კრიმინოლოგიაში გამოყენებულ სხვა ტერმინებთან დაკავშირებით.

საქართველოს საგანმანათლებლო სისტემის დასავლურ ღირებულებებთან ინტეგრაცია მოითხოვს საერთაშორისო კრიმინოლოგიის თეორიაში არსებული ძირითადი ცნებებისა და ტერმინების ერთიან სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანას. მით უფრო, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის 2017 წლის 19 მაისის წინადადებით მიმდინარეობს მუშაობა ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოქმედი რედაქციის გადახედვისა და შესაბამისი ცვლილებების კუთხით. განსახილველად წარმოდგენილი ჩარჩოს მიხედვით კრიმინოლოგია მოაზრებულია დეტალურ სფეროში „სოციოლოგია და კულტურის კვლევები“, რომელიც შეისწავლის ადამიანებსა და ჯგუფებს, საზოგადოებაში მათი ქცევის წესებს. აღნიშნული შედის სოციალურ მეცნიერებაში, ჟურნალ-ისტიკის და ინფორმაციის მართვის ფართო სფეროში. დღეის მდგომარეობით კრიმინოლოგია სამართლის მიმართულებაშია, რაც შეესაბამება ფართო სფეროს.

პრობლემების გათვალისწინებით, მიგვაჩნია, რომ თანამედროვე მსოფლიოს კრიმინოლოგიური საზოგადოება რომელიც დიდ ყურადღებას უთმობს დანაშაულობის კონკრეტული ფორმებისა და სახეობების კვლევა-ძიების საკითხებს მეტად უნდა დაინტერესდეს კრიმინოლოგიის ძირითადი თეორიული საკითხების სწავლებაში ერთიანი ხედვის ჩამოყალიბებაზე.

მალხაზ ბაძარუა

დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრის ხელმძღვანელი,
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის
კრიმინოლოგიის სამეცნიერო – კვლევითი
ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი

მიხეილ ბაძალუა

დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრის თანადამფუძნებელი,
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქტორი

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მალხაზ ბაძალუა „კრიმინოლოგიის ძირითად ტერმინთა განმარტებები“ თბილისი 2016გვ. 24–32
2. მალხაზ ბაძალუა, მიხეილ ბაძალუა „ტურიზმის უსაფრთხოების კრიმინოლოგიური ასპექტები“, ჟურნალი „კრიმინოლოგია“ 1(7–8), თბ. 2012–2013; გვ. 46–51
3. მორის შალიკაშვილი „კრიმინოლოგია“ თბილისი 2017 გვ. 200,211
4. ზაურ წულაია „კრიმინოლოგია“ თბილისი 2003 გვ. 41,80
5. გიორგი ღლონტი „საერთაშორისო და შედარებითი კრიმინოლოგია“ „კრიმინოლოგია და სამართლებრივი სისტემა საქართველოში“ თბილისი 2008 გვ.75
6. გიორგი ხუბუა „სამართლის თეორია“ თბილისი 2004 გვ.214
7. გიორგი თოდრია „კრიმინოლოგიის საგანი და მისი ევოლუცია“ „კრიმინოლოგია და სამართლებრივი სისტემა საქართველოში“ თბილისი 2008 გვ.22
8. ივანე ჯავახიშვილი თხუზულებანი თორმეტ ტომად, ტომი მე–7 თბილისი 1984 გვ.191
9. „იურიდიული ტერმინოლოგია“ თინათინ წერეთლის რედაქციით თბილისი 1963 გვ.213
10. დავით წულაია–„ქართულ–ინგლისური იურიდიული ლექსიკონი“ თბილისი 2009 გვ. 222–223
11. ირაკლი გომიაშვილი „დამნაშავეს პიროვნება და დანაშაულებრივი ქცევის მექანიზმები“ „კრიმინოლოგია და სამართლებრივი სისტემა საქართველოში“ თბილისი 2008 გვ. 102
12. Criminology Today (third edition), Frank Schmalleger, USA, Upper Saddle River, New Jersey 2002.

- 13.T.R Yong, Theory and method for Criminology In the 21st century – Archives of the Transforming Sociology Series of the Red Feather University for Advanced studies is sociology. 1988. N 126
- 14.Edgardo Rotman “The Globalization of Criminal Violence”, Cornell University “Journal of Law and Public Policy”, Fall 2000, Volume 10, Number 1

მაღხაზ ბაძალუა, მიხეილ ბაძალუა

**თანამედროვე კრიმინოლოგიის ძირითად თეორიულ საკითხებზე ერთიანი ხედვის
აუცილებლობა
რეზიუმე**

ნაშრომში განხილულია პრობლემები რომლებიც გამოწვეულია თანამედროვე კრიმინოლოგიის ძირითად თეორიულ საკითხებზე ერთიანი ხედვის არ არსებობასთან. აღნიშნული მდგომარეობა აფერხებს და არაეფექტურს ხდის კრიმინოლოგიის სწავლებას, კვლევებს, მის პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენებას და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია კრიმინოლოგიის, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერების ჩამოყალიბებას და სისტემურ განვითარებას.

არსებული მდგომარეობის მიზეზები და მისი ხელისშემწყობი პირობები ქვეყნის გარე და შიდა ფაქტორების გათვალისწინებით, არის სუბიექტურიც და ობიექტურიც. ყურადღებას გავამახვილებთ ძირითად მიზეზებზე, რომელსაც გლობალური ფაქტორები განაპირობებენ. კერძოდ, საზღვარგარეთის ქვეყნების კრიმინოლოგიური სკოლები, ცალკეული მეცნიერები კრიმინოლოგიის ადგილს მეცნიერებათა სისტემაში ფილოსოფიის, სოციოლოგიის, სამართლის და სხვა მეცნიერებების გავლენით არაერთმნიშვნელოვნად, სხვადასხვა მეცნიერებების შემადგენლობაში განიხილავენ: კონტინენტური ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში სისხლის სამართლის წიაღში წარმოშობილ დანაშაულობის სოციალურ-სამართლებრივი მოვლენების შემსწავლელი კომპლექსური მეცნიერებაა, ხოლო ანგლო-ამერიკულ ქვეყნებში სოციალურ მეცნიერებად მოიაზრება.

გლობალიზაციის შედეგები განსაკუთრებით შეიგრძნობა ევროპაში, მათ შორის საქართველოში ვიდრე დანარჩენ მსოფლიოში, რადგან ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში „კომუნისტური რეჟიმების“ ჩამოშლამ და კაპიტალისტური საზოგადოების არათანმიმდევრულმა ჩამოყალიბებამ, ევროპაში საზღვრების ფაქტიურმა გაუქმებამ, უვიზო მიმოსვლამ, ტურიზმის ინდუსტრიის სწრაფი ტემპებით განვითარებამ უარყოფითად იმოქმედა უსაფრთხოების სისტემებზე, ხელი შეუწყო ადგილობრივი დანაშაულობის გლობალიზაციას, რამაც გავლენა იქონია მის მდგომარეობასა და სტრუქტურაზე და ეროვნული კრიმინოლოგია გადააგცია საერთაშორისო კრიმინოლოგიად, მოხდა კრიმინოლოგიის გლობალიზაცია, რაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს თანამედროვე კრიმინოლოგიის ძირითად საკითხებში ერთიანი ხედვის ჩამოყალიბების აუცილებლობაზე, ამის კარგი მაგალითია სამართლის კონტინენტური ევროპისა და ანგლო-ამერიკულ სისტემებს შორის დაახლოების პროცესი.

საზღვარგარეთის ქვეყნების კრიმინოლოგიური სკოლები, მეცნიერები ზემო აღნიშნულ მიზეზთა გამო სხვადასხვაგვარად განიხილავენ ძირითად ცნებებსა და ტერმინებს. ამ ჭრილში აქტუალურია კრიმინოლოგიაში მასობრივ და ინდივიდუალურ დონეზე ზოგიერთი ძირითადი ელემენტის-ცნებისა და ტერმინის „დანაშაულობის“, „დამნაშავის პიროვნების“, „დანაშაულობის მსხვერპლის“ და სხვათა კვლევა. რადგან კრიმინოლოგიაში მათი მნიშვნელობის გათვალისწინებით აუცილებელია საერთაშორისო დონეზე ერთიანი ხედვისა და სტანდარტების ჩამოყალიბება. რაც გავლენას იქონიებს მთლიანად კრიმინოლოგიის თეორიის სწავლებაზე.

საქართველოში მიმდინარეობს დასავლურ საგანმანათლებლო სისტემასთან ინტეგრაციის პროცესი, ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოქმედი რედაქციის გადახედვა და ცვლილებები. რომლის მიხედვითაც კრიმინოლოგია არსებული მდგომარეობით სამართლის მიმართულებიდან მოაზრებულია სოციალური მეცნიერების ფართო სფეროში. რაც მოითხოვს საერთაშორისო კრიმინოლოგიის თეორიაში არსებული ძირითადი ცნებებისა და ტერმინების ერთიან სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანას.

არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, ავტორებს მიაჩნიათ, რომ თანამედროვე მსოფლიოს კრიმინოლოგიური საზოგადოება რომელიც დიდ ყურადღებას უთმობს დანაშაულობის კონკრეტული ფორმებისა და სახეობების კვლევა-ძიების საკითხებს მეტად უნდა დაინტერესდეს კრიმინოლოგიის ძირითადი თეორიული საკითხების სწავლებაში ერთიანი ხედვის ჩამოყალიბებაზე.

Малхаз Бадзагуа, მიხეილ ბადზაგუა

Необходимость общего взгляда на теоретические вопросы современной криминологии

Резюме

В статье рассмотрены проблемы, вызванные отсутствием единого видения по основным теоретическим вопросам современной криминологии. Данная ситуация мешает созданию криминологии как самостоятельной науки.

Криминологические школы, ученые зарубежных стран различными способами обсуждают основные концепции и термины. В этом контексте актуально в криминологии на массовом и индивидуальном уровне исследования некоторых основных элементов, концепции и терминов «преступность», «личность преступника», «жертва преступления» и других. Из за того, что в криминологии принимая во внимание их важность, необходимо установить единое видение и стандарты на международном уровне. Что и повлияет над изучением теории криминологии.

В настоящее время идет процесс интеграции с западной системой образования в Грузии, обзор и изменение действующей редакции Национальной системы квалификаций. Согласно которой криминология с точки зрения права рассматривается в широкий круг сфере социальных наук. Что и требует в теории международной криминологии приведения основных понятий и терминов соответствии с едиными стандартами.

Учитывая сложившуюся ситуацию, авторы считают, что криминологическое общество современного мира которое уделяет большое внимание изучению и исследованию конкретных форм преступности должны быть более заинтересованы созданию общего видения в изучении основных теоретических вопросов криминологии.

Malkhaz Badzagua, Mikheil Badzagua

The need for a common view on the main theoretical issues of modern criminology

Resume

Researches on the definitions of the main terms of criminology have demonstrated the problems that are caused due to the lack of common vision on the major theoretical issues of modern criminology. This situation hinders and makes teaching and researching criminology ineffective. It also impedes using criminology in practice, and most importantly, formation of criminology as an independent science and its systematic development.

The reasons for the current situation and its supportive conditions taking into account the external and internal factors of the country are subjective and objective. The article focuses on the main causes conditioned by global factors. In particular, criminological schools of foreign countries and some

scholars, under the influence of philosophy, sociology, law and other sciences, consider the place of criminology in the science system ambiguously, as a part of different sciences: in some countries of Continental Europe, including Georgia, criminology is a complex science studying social-legal aspects of criminality being originated in criminal law, but in Anglo-American countries it is considered as a social science. We face the corresponding situation while comprehending the main criminological terms and concepts.

One of the main factors is related to the origins of criminology. Criminology, as an independent science, was established in the second half of the 18th century. Its origin is related to the European School of Criminal Justice. This has influenced the etymology of criminology which implies "doctrine of crime". The term criminology at every stage of its development – in classical, positive, pluralistic and modern periods – acquired the broader meaning, as the modern world has become a global unified cyberspace, a complex of interrelationship of information and technological infrastructure. Everything this has influenced the structure of criminality and the systemic development of the specific types of organized crime: theft, money laundering, corruption, terrorism, etc. .

The results of globalization are particularly evident in Europe, among them in Georgia than in the rest of the world, as the collapse of the "Communist regime" in central and eastern Europe and the inconsistent formation of capitalist society, actual abolition of borders in Europe, visa-free entry and the rapid growth of tourism industry had negative influence on the safety systems. Everything this contributed to the globalization of local criminality what affected its state and the structure and turned national criminology into international criminology. Thus, the globalization of criminology occurred what once again underlines the necessity to establish a common vision on the main issues of modern criminology. A good example of this is the process of approximation between the system of Continental Europe and the Anglo-American system. The deductive rule of the legal thinking of Continental European – from general to particular – is gradually approaching the inductive rule of the Anglo-American legal thinking – from particular to general. This process has also affected criminology.

Opinions on criminology as a science are developed contradictorily together with the evolution of society. This is acceptable and beneficial for the further development of criminological studies. And, as for teaching, it has a negative impact on it. According to the scientists working in the theory of criminology, it requires methodological accuracy. As mentioned above, they choose different philosophical positions and based on the nature of capitalism, are confined to the analysis of certain areas of social life.

The research of the evolutionary processes in criminology has revealed the correctness of the basic essence of constitutional criminology according to which, in general, criminality cannot be studied separately from the ongoing processes in society. Therefore, in spite of the divergence of opinions in contemporary criminology, in the Anglo-American and continental countries, scholars mostly agree that "criminology" as a science is a complex, interdisciplinary social-legal course, because the subject of its research in a broad sense is the scientific understanding of all forms of criminal behavior, its reasons, contributing conditions, offenders and victims, searching for the ways of avoiding and controlling crime.

Due to the aforementioned reasons, criminology schools and scholars of foreign countries discuss the main concepts and terms in different ways. In this context, it is relevant to study some of the main concepts and terms, such as "crime", "personality of criminal", "victim of crime" and others at the mass and individual level. Because of their significance in criminology, it is necessary to establish common vision and standards at international level. This will definitely have an impact on teaching the theory of criminology.

Georgia is facing an ongoing process of integration with the Western educational system. Meanwhile, the current edition of the National Quality Framework is being revised and modified according to which, criminology is considered to be a part of the broad sphere of social sciences. This requires bringing the basic concepts and terms existing in the theory of international criminology in conformity with uniform standards.

Considering the current situation, authors believe that the criminological society of the modern world who devotes much attention to the study and investigation of specific forms and types of crime should be more interested in formation of a common vision in the study of the basic theoretical issues of criminology.

ადვოკატის სისხლის სამართლებრივი დაცვის გარანტიები

დაცვის ინსტიტუტი სისხლის სამართლის პროცესის უმნიშვნელოვანესი ელემენტია. სწორედ იგი ქმნის სახელმწიფო რეპრესიული აპარატის წინაშე მოქალაქეთა დაცვისა და უდანაშაულობის პრეზუმციის უზრუნველყოფის ძირითად საფუძველს. სასამართლოზე დაცვის უფლება წარმოადგენს თანამედროვე ევროპული სამართლის უდიდეს მონაპოვარს, რომელიც ასახულია საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლსა და სხვა ნორმატიულ აქტებში.

სისხლის სამართლის პროცესში გამოიყოფა შემდეგი ფუნქციები: გამოძიების, ბრალდების და სისხლისსამართლებრივი დევნის, დაცვის, საქმის გადაწყვეტის და კანონთა შესრულებაზე ზედამხედველობის. იურიდიულ ლიტერატურაში ასევე გამოთქმულია მოსაზრება, რომ არსებობს მართლმსაჯულების ხელშეწყობის ფუნქცია, რომელსაც ასრულებდნენ: სპეციალისტი, ექსპერტი, მოწმე, თარჯიმანი, დამსწრე (1).

პროფესორი ირინა აქუბარდია აღნიშნავს, რომ „საპროცესო ფუნქცია წარმოადგენს საპროცესო საქმიანობის ძირითად მიმართულებას, რომელშიც გამოხატულია სამართალწარმოების მონაწილეთა როლი და დანიშნულება. იგი წარმოადგენს სამართამცოდნეობის ამოცანების წარმატებით განხორციელების წინაპირობას“ (2).

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, დაცვის უფლება გარანტირებულია, რაც თავისთავად უფრო განამტკიცებს პიროვნებისა და მართლმსაჯულების ინტერესების ურთიერთკავშირს. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სისხლის სამართლის თეორიასა და პრაქტიკაში დაცვის უფლების უზრუნველყოფის ორგვარი ასპექტი არსებობს: ერთის მხრივ დაცვის ქვეშ იგულისხმება ბრალდებულის დაცვის უფლებით უზრუნველყოფა, როგორც საპროცესო პრინციპი, მეორეს მხრივ აღნიშნული ცნება გაიგივებულია საპროცესო ფუნქციის ცნებასთან.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ დაცვის ფუნქცია ერთ-ერთ ფუნდამენტურ საპროცესო ფუნქციას წარმოადგენს. ეს არის კონსტიტუციით გარანტირებული და სისხლის სამართლის პროცესით განმტკიცებული უფლება. კონსტიტუციის 42-ე მუხლი ეხება ზოგადად საპროცესო უფლებებს და მას ასევე სამართლიანი სასამართლოს უფლებასაც უწოდებენ. „დაცვის უფლებით უზრუნველყოფა“ ეს არის უფლებათა ერთგვარი კომპლექსი, რაც კი ბრალდებულს (მსჯავრდებულს) გააჩნია პროცესში, რადგან უფლება მისცეს ჩვენება, წარმოადგინოს მტკიცებულებები, დააყენოს შუამდგომლობები, აწარმოოს გამოძიება და ა.შ. ემსახურება ბრალდებულის დაცვას სისხლის სამართლის დევნისაგან (3).

ბრალდებულს უფლება აქვს ჰყავდეს ადვოკატი, წარმოადგენს უდანაშაულობის პრეზუმციის რეალიზაციის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გარანტიას, სისხლის სამართლის საქმეზე ყველა გარემოების საფუძვლიანად გამოკვლევისა და სამართლიანი სასამართლოს მიერ, სამართლიანი გადაწყვეტილების მიღების საფუძველს. ბრალდებულის ნებისმიერი უფლების დარღვევა განიხილება დაცვის უფლების დარღვევად, რაც თავის მხრივ, წარმოადგენს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის არსებით დარღვევას (4).

ეფექტიანი დაცვის განხორციელების მნიშვნელოვანი წინაპირობაა პროცესში ბრალდებულის ნდობით აღჭურვილი ადვოკატის მონაწილეობა. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ადვოკატი არის უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე თავისუფალი პროფესიის პირი, რომელიც კანონით დადგენილი წესით ეწევა საადვოკატო საქმიანობას (5). საადვოკატო საქმიანობა ამავე კანონით განსაზღვრული წესის თანახმად, მოიცავს:

იურიდიული რჩევის მიცემას იმ პირისათვის, რომელმაც მას მიმართა (კლიენტი), კლიენტის წარმომადგენლობას საკონსტიტუციო დაცვის, სისხლის, სამოქალაქო ან ადმინისტრაციული სამართლის საქმეზე სასამართლოში, არბიტრაჟში, წინასწარი დაკავების, მოკვლევისა და გამოძიების ორგანოებში, მესამე პირის მიმართ სამართლებრივი ხასიათის დოკუმენტაციის წარდგენას, ისეთი იურიდიული დახმარების გაწევას, რომელიც არ უკავშირდება მესამე პირის წინაშე წარმომადგენლობას. კლიენტის ადვოკატისადმი ნდობა ეფუძნება ადვოკატის პატიოსნებას, პირად ღირსებას, შეუვალობას, კომპეტენტურობასა და მიუკერძოებლობას (6).

მიუხედავად იმისა, რომ საპროცესო კოდექსის ზოგადი ნორმების თანახმად, ბრალდებისა და დაცვის მხარე თანაბრად არიან უფლებამოსილი კანონით დადგენილი წესის დაცვით მოიპოვონ მტკიცებულება, ისევე როგორც მისი მოპოვებისას აქვთ თანაბარი უფლებამოვალეობები, არსებობს გარკვეული გამონაკლისები, რომელიც დაცვის მხარეს უსპობს შესაძლებლობას ბრალდების მხარისაგან განსხვავებით, მოიპოვონ მტკიცებულება ან ისეთივე პირობებში გამოიკვლიოს მტკიცებულებები, როგორც ეს გათვალისწინებულია ბრალდების მხარის შემთხვევაში. საუბარია ბრალდების მხარისათვის კანონით მინიჭებულ უფლებაზე, ჩაატაროს ფარული საგამოძიებო მოქმედებები ან მოიპოვოს მტკიცებულება კომპიუტერული მონაცემებიდან (7), მოითხოვოს მაგისტრატი მოსამართლის მიერ მოწმის დაკითხვა თუ ეს მოწმე უარს აცხადებს ნებაყოფლობით ინფორმაციის მიწოდებაზე (8) და სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებიდან გამოითხოვოს დოკუმენტი თუ ნივთიერი მტკიცებულება (8). ისევე, როგორც დაცვის მხარეს არ ეძლევა საშუალება, თვითონ ჩაატაროს და თვითონვე გამოიკვლიოს მისი შუამდგომლობის საფუძველზე მოსამართლის განჩინებით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებები ან საგამოძიებო მოქმედება ჩაატაროს გადაუდებელი აუცილებლობით, როგორც ამას აკეთებს ბრალდების მხარე (8).

ჩამოთვლილი საგამოძიებო მოქმედება მნიშვნელოვანია საქმეზე ობიექტური გარემოებების დასადგენად. დაცვის მხარისათვის დაწესებული აღნიშნული შეზღუდვები, ჩვენი აზრით, წარმოადგენს შეჯიბრებითობის პრინციპის მნიშვნელოვან დარღვევას და ვერ უზრუნველყოფს მხარეთა თანაბარ პირობებს, მით უმეტეს, რომ დაცვის მხარისათვის ამ უფლებათა ნაწილის მინიჭება, არ წარმოადგენს განსაკუთრებულ სირთულეებს.

დაცვის მხარის უფლებების გაზრდისაკენ იყო მიმართული 2017 წლის 27 იანვარის საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება (9) (№1/1/650,699), რომელმაც ცალსახად დაადგინა სსსკ-ის 136-ე მუხლის პირველი და მეოთხე ნაწილების შეუსაბამობა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ და მესამე პუნქტებთან და მე-40 მუხლის მესამე პუნქტით დაცულ უფლებასთან და გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ „იმ პირობებში, როდესაც დაცვის მხარეს სრულად ეზღუდება კონკრეტული სახის მტკიცებულებათა მოპოვება და შესაბამისად, სასამართლო პროცესის ფარგლებში პოზიციის დასაბუთების შესაძლებლობა, ხოლო სასამართლოს განაჩენი შეიძლება ემყარებოდეს მხოლოდ ბრალდების მტკიცებულებათა იმ დოზით გამოკვლევას, რისი საშუალებაც შეჯიბრებითობის პროცესის ფარგლებში სასამართლოს გააჩნია. მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებზე დაყრდნობით გადაწყვეტილების მიღება ყოველთვის ვერ იქნება უზრუნველყოფილი თუ კანონმდებლობა ბრალდებულს არ ალჭურავს შესაბამისი ინსტრუმენტებით, რომ სასამართლოს საშუალებით მოიპოვოს კომპიუტერული წესით დაცული მტკიცებულებები და მათ საფუძველზე გააბათილოს ბრალდების პოზიცია ან საფუძველიანი ეჭვი წარმოშვას მისი მტკიცებულებების უტყუარობის მიმართ“. აღნიშნული ცვლილება მნიშვნელოვანია დაცვის მხარისათვის და შესაბამისად ადვოკატისათვის, რადგან მის ხელში გაჩნდა კიდევ ერთი პროცესუალური იარაღი ბრალდებულის ინტერესების ეფექტიანი დაცვისათვის.

როგორც ზემოთ აღინიშნა, მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დაცვის მხარეს მიენიჭა მტკიცებულებების მოპოვების ისეთივე უფლებამოსილება, როგორც ბრალდების მხარეს, ლოგიკურია, რომ ადვოკატს უნდა ჰქონდეს სისხლისსამართლებრივი

დაცვის ისეთივე გარანტიები, როგორც გააჩნია პროკურორს და გამომძიებელს. დაცვის განხორციელების და საკუთარი გამოძიების წარმოების პროცესში ადვოკატი დგება არანაკლები საფრთხეების წინაშე, ვიდრე გამომძიებელი ან პროკურორი. შესაბამისად, დაცვის განხორციელებასთან დაკავშირებით დამცველის საქმიანობაში ამა თუ იმ ფორმით უკანონო ჩარევა ისევე უნდა იყოს დასჯადი, როგორც საქმის ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოძიებისათვის ხელის შეშლის მიზნით პროკურორის ან გამომძიებლის საქმიანობაში ამა თუ იმ ფორმით უკანონო ჩარევა.

ასევე, დასჯადი უნდა გახდეს სამართალწარმოების მონაწილის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ სიცოცხლის მოსპობის, ჯანმრთელობის დაზიანების ანდა ქონების განადგურების ან დაზიანების მუქარა დაცვის განხორციელებასთან დაკავშირებით.

მართალია, სსკ-ის 365-ე მუხლის არსებული რედაქცია ითვალისწინებს ადვოკატის ინტერესების დაცვას სიცოცხლის მოსპობის, ჯანმრთელობის დაზიანების ანდა ქონების განადგურების ან დაზიანების მუქარის შემთხვევაში. თუმცა მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ეს მუქარა დაკავშირებული უნდა იყოს გამოძიებასთან, სასამართლოში საქმის ან მასალის განხილვასთან ან/და განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებასთან. იმისათვის, რომ ადვოკატის უფლებები ამ შემთხვევაშიც დაცული იყოს იმავე დონით, როგორც გამომძიებლისა და პროკურორის, დასჯადი უნდა გახდეს ადვოკატის მიმართ მუქარა დაცვის განხორციელებასთან დაკავშირებით.

შემოთავაზებული ცვლილებები ხელს შეუწყობს შეჯიბრებითობის პრინციპის განმტკიცებას, ვინაიდან პროცესის ორივე მხარეს ექნება დაცვის თანაბარი სისხლის სამართლებრივი გარანტიები.

სამწუხაროდ, საქართველოს სსსკ საერთოდ არ შეიცავს ნორმას ადვოკატის სტაჟიორის და თანაშემწის ინსტიტუტის შესახებ. უფრო მეტიც, საქართველოს კანონი „ადვოკატთა შესახებ“ წინააღმდეგობაში მოდის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსთან.

კანონი „ადვოკატთა შესახებ“ ადგენს, რომ ადვოკატის სტაჟიორის და თანაშემწის ინსტიტუტი არსებობს და მათ რიგი უფლებებიც გააჩნიათ. კერძოდ, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლით, ადვოკატის სტაჟიორს, მის თანაშემწეს უფლება აქვს, ადვოკატის თანდასწრებით ან მისი დავალებით, ადვოკატის მიერ ხელმოწერილი და დამოწმებული ნებართვის საფუძველზე გაეცნოს მის წარმოებაში არსებულ საქმის მასალებს სასამართლოში, არბიტრაჟში და გამოძიების ორგანოებში. სხვა სახელმწიფო ორგანოებსა და ორგანიზაციებში, საზოგადოებრივ გაერთიანებებში. სამწუხაროდ, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, სსსკ, თავის მხრივ, საერთოდ არ შეიცავს ნორმას ადვოკატის თანაშემწის, ადვოკატის სტაჟიორის და მათი სტატუსის შესახებ.

შესაბამისად, შექმნილია ვითარება, როცა „ადვოკატთა შესახებ“ კანონით ადვოკატის სტაჟიორისა და თანაშემწისთვის მინიჭებულია შესაძლებლობები, რომ მათ ადვოკატის დავალებით შეასრულონ გარკვეული უფლებამოსილებანი, თუმცა სისხლის სამართლის პროცესში უფლებამოსილებები გააჩნია მხოლოდ ბრალდებულს ან/და მის ადვოკატს.

გამომდინარე აქედან შეიძლება ითქვას, რომ ადვოკატის სტაჟიორისა და თანაშემწის ინსტიტუტის შემოღება მნიშვნელოვანად გააძლიერებდა მხარეთა თანასწორობის და შეჯიბრებითობის პრინციპს სისხლის სამართლის პროცესში.

როგორც ზემოთ აღინიშნა, სისხლის სამართლის პროცესი ხორციელდება მხარეთა შეჯიბრებითობის და თანასწორობის საფუძველზე. მხარეები დამოუკიდებლად აწარმოებენ გამოძიებას, მტკიცებულებათა მოპოვებას, ე.წ „დამაგრებას“ და სასამართლოს წინაშე წარდგენას. ადვოკატის თანაშემწის შემოსვლა სისხლის სამართლის პროცესში გააძლიერებს მხარეების თანაბარი შესაძლებლობების პრინციპს. პროკურორს და მისი, პირობითად, „დამხმარეს“–

გამომძიებელს პროცესში დაუპირისპირდებოდა ადვოკატის „დამხმარე“ – ადვოკატის თანაშემწე და ამით ორივე მხარე მეტნაკლებად თანაბარ პირობებში აღმოჩნდებოდა.

სსსკ განსაზღვრავს მტკიცებულების მოპოვების და პროცესუალურად „დამაგრების“ წესებს. ეს ძალიან მნიშვნელოვანი და საკმაოდ რთული პროცედურაა. მტკიცებულებათა დასაშვებობის შეფასება ხდება წინასასამართლო სხდომაზე, რა დროსაც მხარეები გამოიკვლევენ არსებითი დარღვევით ხომ არ მოხდა მტკიცებულების მოპოვება ან/და „დამაგრება.“ მტკიცებულების არსებითი დარღვევით მოპოვება იწვევს მტკიცებულების დაუშვებლად ცნობას. გარდა აღნიშნულისა, სსსკ–ში არსებობს სპეციალური წესები მხარის მიერ მოპოვებული დოკუმენტის მტკიცებულებად აღიარების თვალსაზრისით. ამისთვის მნიშვნელოვანია, სსსკ–ის 78-ე მუხლის თანახმად, მხარეს შეემლოს მოწმედ დაკითხოს პირი, რომელმაც მოიპოვა, შექმნა დოკუმენტი ან ვისთანაც ინახებოდა ეს დოკუმენტი. ბრალდების მხარის შემთხვევაში, მოწმეთა სიაში ხდება გამომძიებლის მითითება, როგორც დოკუმენტის შემნახველის და არავითარი პრობლემა არ დგება დოკუმენტის დასაშვებობის თვალსაზრისით.

დაცვის მხარისთვის კი სიტუაცია არც თუ ისე სახარბიელოა, საკუთრივ ადვოკატი, რომელმაც მოიპოვა მტკიცებულება და რომელთანაც ინახებოდა იგი მოპოვების შემდეგ, ბუნებრივია, ვერ დაიკითხება სასამართლო პროცესზე. დოკუმენტის შემქნელი კი, ხშირად, უარს აცხადებს სასამართლოში გამოცხადებაზე და მისი მოყვანა დიდ სირთულეებთან, ასევე ხარჯებთან არის დაკავშირებული. ადვოკატის თანაშემწის ინსტიტუტის შემოღება გაამარტივებდა ამ სიტუაციას (რამეთუ შესაძლებელი იქნებოდა თანაშემწის მითითება მოწმის სახით დასაკითხ პირთა სიაში) და მხარეებს თანასწორ ვითარებაში ჩააყენებდა.

სხვა მხრივაც, მნიშვნელოვანი იქნებოდა, თანაშემწის რეალური ინსტიტუტის შემოტანა სისხლის სამართლის პროცესში. მათ ექნებოდათ საქმის მასალების გაცნობის, ადვოკატთან ერთად საგამომძიებო მოქმედებებზე დასწრების, მხარეებს შორის მტკიცებულებათა ურთიერთგაცვლაში დამოუკიდებლად მონაწილეობის მიღების, ბრალდებულის საპატიმროში მონახულების უფლება, ასევე სასამართლო პროცესებზე ადვოკატთან ერთად დასწრების თუ სასამართლოში მოწმედ გამოსვლის უფლება.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით ცალსახაა, რომ აღნიშნული უფლებები ეფექტურს გახდიდა თანაშემწის ინსტიტუტს და რეალურ დახმარებას აღმოუჩენდა ადვოკატს. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ადვოკატის თანაშემწის ინსტიტუტის შემოტანა შესაძლებელია მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებების გარეშე. სსსკ–ის მე–3 მუხლი მოითხოვს ადვოკატის თანაშემწის ტერმინის დამატებას. ხოლო, სსსკ–ის მე–5 თავში („ბრალდებული, ადვოკატი“) დაემატებოდა ერთი მუხლი, სადაც განისაზღვრებოდა ადვოკატის თანაშემწის სტატუსი და უფლებები.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „ადვოკატთა შესახებ“ კანონით გათვალისწინებულია ადვოკატის სტაჟიორის ინსტიტუტი. ასევე მითითებულია, რომ აღნიშნული კანონის მიზანია ხელი შეუწყოს პირს, რომელმაც გაიარა ადვოკატთა ტესტირება ან ჩაბარებული აქვს მოსამართლეთა ან პროკურატურის მუშაკთა გამოცდა, დაიწყოს ინტენსიური პრაქტიკული საქმიანობა უშუალოდ საადვოკატო ბიუროში ან ადვოკატთან.

თუმცა, სისხლის სამართლის პროცესში რეალური სტაჟირების პროცესის გავლა ფაქტიურად შეუძლებელია, თუ სტაჟიორს არ მიეცა შესაძლებლობა უშუალოდ იყოს ჩართული დაცვის განხორციელებაში.

მართალია, კანონში „ადვოკატთა შესახებ“ აღნიშნულია, რომ ადვოკატის სტაჟიორი ადვოკატის დავალებით ახორციელებს მის უფლებამოსილებებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. სამწუხაროდ, ასეთი წესი არ არსებობს სსსკ–ში. სისხლის სამართლის საქმეზე დაცვის განხორციელებლად შეიძლება ჩაერთოს მხოლოდ ადვოკატი.

რაც შეეხება პროკურატურის სტაჟიორებს, ისინი სისხლის სამართლის პროცესში, მათ შორის სასამართლო პროცესებში დამოუკიდებლად იღებენ მონაწილეობას. ეს უფლებამოსილება მათ მინიჭებული აქვთ „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად (7).

პროკურატურის სტაჟიორი არის პირი, რომელსაც აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება, ჩაბარებული აქვს პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდა და დანიშნულია საქართველოს მთავარ პროკურატურაში, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების პროკურატურებში, ქ. თბილისის, საოლქო, რაიონულ და სპეციალიზებულ პროკურატურებში სტრუქტურული დანაყოფის პროკურორის, უფროსი გამომძიებლის, გამომძიებლის თანამდებობაზე ან ამ თანამდებობის გარეშე მთავარი პროკურორის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად (7).

ამდენად, ადვოკატურის სტაჟიორი და პროკურატურის სტაჟიორი, რომელთაც ერთნაირი განათლება და გამოცდილება აქვთ, არათანაბარ პირობებში არიან ჩაყენებულნი. ფაქტიურად, ადვოკატის სტაჟიორს კანონმდებლობით უფლება არა აქვს მიიღოს მონაწილეობა სისხლის სამართლის პროცესში, ამ შემთხვევაში „ადვოკატის შესახებ“ კანონის მიზნის განხორციელება ფაქტიურად შეუძლებელი ხდება. უფრო მეტიც, ადვოკატის სტაჟიორი ვერ ახერხებს სათანადო პრაქტიკული უნარ-ჩვევებით შეიარაღდეს, რაც უარყოფითად აისახება მის მიერ საადვოკატო საქმიანობის დამოუკიდებლად განხორციელების დაწყების შემდეგ კონკრეტული ადამიანების დაცვის პროცესში.

მიმაჩნია, რომ ადვოკატის სტაჟიორის ჩართვა სისხლის სამართლის პროცესში უნდა მოხდეს ადვოკატის დავალებით და მასთან ერთად, ბრალდებულის თანხმობით. აღნიშნული ხელს შეუწყობდა დაცვის უფლების დამატებითი გარანტიის შექმნას.

დასკვნის სახით შეიძლება აღვნიშნოთ, რომ მხარეთა თანასწორობის და შეჯიბრებითობის პრინციპის გასაძლიერებლად, კიდევ ერთი ნაბიჯი იქნება, ადვოკატის თანაშემწის და სტაჟიორ-ადვოკატის ინსტიტუტის დაფუძნება სისხლის სამართლის პროცესში. თანაშემწის აღჭურვა ადვოკატის რეალური დამხმარის ფუნქციებით, მათ შორის, საქმის მასალების გაცნობის, ადვოკატთან ერთად საგამოძიებო მოქმედებებზე დასწრების, მხარეებს შორის მტკიცებულებათა ურთიერთგაცვლაში მონაწილეობის მიღების, ბრალდებულის საპატიმროში მონახულების უფლების მინიჭებით.

ამ მიზნით, ასევე, დამატება უნდა შევიდეს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონში, რომელიც ადვოკატის ცნებაში გააერთიანებს სტაჟიორ-ადვოკატსაც, ისევე, როგორც „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი პროკურორის ცნებაში მოიაზრებს სტაჟიორ-პროკურორს.

ჯემალ გაბელია

დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრის თანადამფუძნებელი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეკანის მოადგილე, სამართლის დოქტორი, პროფესორი

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Смирнов А.В. Калиновский К.Б. Уголовный процесс, М., 2005.
2. ი. აქუბარდია, დაცვის ხელოვნება, თბ, 2011;
3. ი. აქუბარდია, დაცვის ფუნქციის არსი და საპროცესო მნიშვნელობა;
4. სისხლის სამართლის პროცესის სახელმძღვანელო (ზოგადი ნაწილი) რედ. რეზო გოგშელიძე. თბ. 2008;
5. ჟურნალი „მართლმსაჯულება“, თბ, 2008, №1;
6. საქართველოს კანონი ადვოკატთა შესახებ, 2017 წლის 1 ივლისის მდგომარეობით;
7. საქართველოს კანონი „პროკურატურის შესახებ“;
8. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2017 წლის 23 ივლისის მდგომარეობით;
9. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება(№1/1/650,699);

ჯემალ გაბელია

ადვოკატის სისხლის სამართლებრივი დაცვის გარანტიები რეზიუმე

ნაშრომში ყურადღება არის გამახვილებული დაცვის ფუნქციის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე სისხლის სამართლის პროცესში. გამოთქმულია მოსაზრება დაცვის მხარის გაძლიერების მიზნით ადვოკატის დამხმარისა და სტაჟიორ-ადვოკატის ინსტიტუტის შემოღებაზე.

Джемал Габелия

Гарантии уголовной защиты адвоката

Резюме

В документе основное внимание уделяется особой важности защиты в процессе уголовного права. Выражается мнение о том, что необходимо усилить адвокатскую помощь и адвокатуру, чтобы усилить защиту.

Jemal Gabelia

Criminal lawyer protection guarantees

Summery

The paper focuses on the special importance of defense in the process of criminal law. There is expressed the opinion to strengthen an advocate assistant and advocacy intern institution in order to reinforce the defense.

ეთიკა და კრიმინოლოგიის ურთიერთკავშირის საკითხები

კრიმინოლოგიის, როგორც დანაშაულობის სოციალურ – სამართლებრივი ანტისაზოგადოებრივი მოვლენის შემსწავლელი კომპლექსური მეცნიერების ძირითადი მიზანია – დანაშაულობისა და მისი ჩამდენი პირის, დანაშაულობის მსხვერპლის, დანაშაულობის მიზეზებისა და ხელიშემწყობი პირობების შესწავლა, დანაშაულობის პროგნოზირება და დაგეგმარება, თავიდან აცილებისა და კონტროლის ღონისძიებების შემუშავება და სხვა, გამომდინარე აქედან იგი მჭიდროთაა დაკავშირებული როგორც სამართლის და სოციოლოგიის ასევე ზუსტ და საბუნებისმეტყველო, ჰუმანიტარულ მეცნიერებებთან, განსაკუთრებით ფსიქოლოგიასთან, პედაგოგიკასთან, ფილოსოფიასთან, ეთიკასა და სხვა მეცნიერებებთან.

პედაგოგიკისა და კრიმინოლოგიის ურთიერთკავშირის კვლევისას გამოიკვეთა ეთიკის განსაკუთრებული როლი დანაშაულობის მიზეზების, ხელშემწყობი პირობების, დანაშაულობის ჩამდენი პირისა და მსხვერპლის, დანაშაულობის თავიდან აცილების შესწავლის საქმეში (1).

ეთიკისა და კრიმინოლოგიის კავშირი უფრო ღრმაა ვიდრე სამართალსა და ზნეობას შორის. კრიმინოლოგია და ზნეობაც სამართლისაგან განსხვავებით დეპოლიტიზირებულია და გაბატონებული სოციალური ჯგუფების ინტერესებს არ გამოხატავს, პირიქით, ისინი ზეპოლიტიკური ხასიათის, ზოგადად საზოგადოებრივი ინტერესების მატარებლები არიან.

ეთიკა როგორც ფილოსოფიის შემადგენელი ნაწილი შეისწავლის ადამიანის ზნეობას, რომელიც წარმოადგენს ნორმებისა და პრინციპების ერთობლიობას, რომლებიც აწესრიგებენ და არეგულირებენ ადამიანის ცხოვრებას და მოიცავს ყველა სფეროს ოჯახიდან დაწყებული, წარმოებითი ურთიერთობით დამთავრებული (3–66). კრიმინოლოგიაში, დანაშაულობის ჩამდენი პირისა და მსხვერპლის შესწავლა შეუძლებელია ეთიკის კატეგორიების შესწავლის გარეშე.

კრიმინოლოგიაში დანაშაულობის ჩამდენი პირი ფართო მნიშვნელობის ცნებაა და გამოხატავს მის სოციალურ არსს. ესაა რთული კომპლექსი, რომელიც ახასიათებს მის თვისებებს, კავშირებს, გამოვლინებებს, მის შინაგან ზნეობრივ და სულიერ სამყაროს აღებულს მოძრაობაში, ასევე ავლენს ურთიერთკავშირებს ზოგადსოციალურ და ინდივიდუალურ ცხოვრებისეულ პირობებთან მიმართებაში, რაც თავის მხრივ ამა თუ იმ ზომით განსაზღვრავს დანაშაულის ჩადენას. ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ დანაშაულობის ჩამდენი პირი ყველაზე სრული სახით დანაშაულის ჩადენის მომენტში წარმოგვიდგება (2).

კრიმინოლოგიაში პიროვნების ზნეობრივი თავისებურებების მნიშვნელობაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ დანაშაულობის ჩამდენი პირი ძირითადად ხასიათდება სოციალურ–დემოგრაფიულ, ზოგად სამართლებრივ და სოციალურ, ფსიქოლოგიურ და სხვა ნიშნებთან ერთად, ზნეობრივი ნიშნებით, რისი შესწავლაც იძლევა საშუალებას პასუხი გაეცეს კითხვას თუ რატომ, რა მიზეზებით და ხელისშემწყობი პირობების საუძველზე, მოხდა დანაშაულობა ანდა რატომ ჩაიდინა პიროვნებამ ანტისაზოგადოებრივი ქცევა.

პიროვნების ზნეობრივი თავისებურებების შეფასების მაჩვენებელს წარმოადგენს პიროვნების საქციელი, მთელი მისი ცხოვრების მანძილზე მათ შორის როგორია მისი დამოკიდებულება ეთიკის კატეგორიებთან: სიკეთესთან, სამართლიანობასთან, მოვალეობასთან, სინდისთან, პასუხისმგებლობასთან, ღირსებასთან და სხვა.

ეთიკური და კრიმინოლოგიური ხელმიშვებულობა – პრაქტიკულად ანტისაზოგადოებრივი ქცევის, სამართალდარღვევის, დანაშაულის წარმოშობისა და განვითარების წინაპირობაა. ეთიკის ისევე როგორც პედაგოგიკის მნიშვნელობა საკმაოდ აშკარაა, თუმცა საჭიროა მათ შორის როლებისა და შემადგენელი ელემენტების ცალკეული შესწავლა. პედაგოგიური აღზრდის დეფექტი რომელიც პირდაპირ მოქმედებს მის ზნეობრიობაზე, კერძოდ უზნეობა და გაუნათლებლობა დიდი ხანია მიჩნეულია კრიმინოლოგების მიერ ანტისაზოგადოებრივი ქცევის საფუძვლად. აშკარაა ზნეობრივი-სამართლებრივი და პედაგოგიურ-აღმზრდელობითი მნიშვნელობა. დეფექტები საზოგადოების ზნეობრივ აღზრდაში აღიარებულია, მაგრამ ზოგიერთი ექვემდებარება აყენებს აღნიშნულს და ეყრდნობა „თეთრსაყელოიან დამნაშავეობას“ რომელსაც ფორმალურად „განათლებული“ და ფაქტიურად აღუზრდელი, უზნეო პირები ჩადიან.

კრიმინოლოგია, ეთიკა და პედაგოგიკა საზოგადოებას აფასებს არა დიპლომების მიხედვით, არა როგორც სოციალ-დემოგრაფიულ მახასიათებელს, არამედ როგორც ცივილიზირებულ პედაგოგიურ-ეთიკურ თვისებას რომელიც თანამედროვე მოთხოვნების დონეზე იმყოფება.

კრიმინოლოგიური კვლევები ცხადყოფს რომ დანაშაულობის ჩამდენი პირის ქცევა ხშირად განპირობებულია მისი მსხვერპლის არაეთიკური ქცევითა და განსაკუთრებული თვისებებით, ასევე არსებული კომფლიქტური ურთიერთობებით რაც საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ დანაშაულობა არც თუ იშვიათად პროვოცირებულია დაზარალებულის მხრიდან არაეთიკური უარყოფითი ქცევით. დაზარალებულის ქცევა შეიძლება იყოს არა მხოლოდ არასწორი სამართლებრივად არამედ ეთიკურად უზნეოც. დაზარალებულის უზნეობა დანაშაულობის მიზეზთა პრობლემებისა და დანაშაულობის ქცევის მექანიზმის გარკვევის გასაღებია. რაც არ ხსნის თვით დამნაშავის ანტისოციალურობის პრობლემას (2).

ეთიკისა და კრიმინოლოგიის ურთიერთკავშირის შემდგომ განვითარებას ხელს შეუწყობს ეთიკის ნორმების და პრინციპების ერთობლიობა, რომლებიც პრევენციული ღონისძიებებით აწესრიგებენ და არეგულირებენ ადამიანის ცხოვრებას დანაშაულობის თავიდან ასაცილებლად.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ეთიკასა და მის სახეობას “პორფესიულ ეთიკას” დანაშაულობის ადრეული პრევენციის საქმეში, დანაშაულობის ეთიკური მიზეზებისა და ხელშემწყობი პირობების ასაცილებლად მათი წარმოშობის სტადიაზე, აღნიშნული ამოცანების განხორციელება ეკისრება სამართალდამცავი და სპეციალური სამსახურის მოსამსახურეებს, რომელთა ქცევის წესები, სამსახურეობრივი საქმიანობისა და არასამსახურეობრივი ყოფის ზნეობრივი ხასიათი განაპირობებს დანაშაულობის წინააღმდეგ განხორციელებული ღონისძიებების ეფექტურობას.

მაღბაზ ბაძალუა

დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრის ხელმძღვანელი,
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის
კრიმინოლოგიის სამეცნიერო – კვლევითი
ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მალხაზ ბაძალუა „პედაგოგიკა–დანაშულობის პრევენციის ეფექტური მექანიზმი „სამართლის პრობლემები რომან შენგელია –70“. თბილისი 2012, გვ. 560–567
2. ზაურ წულაია „კრიმინოლოგია“ თბილისი 2003 გვ.78, 123
3. გელა ბანძელაძე „ეთიკა“, თბ.1966; გვ.66

მალხაზ ბაძალუა

ეთიკა და კრიმინოლოგიის ურთიერთკავშირის საკითხები რეზიუმე

ნაშრომში განხილულია ეთიკისა და კრიმინოლოგიის ურთიერთკავშირის საკითხები. ეთიკისა და კრიმინოლოგიის კავშირი უფრო ღრმად ვიდრე სამართალსა და ზნეობას შორის. კრიმინოლოგია და ზნეობაც სამართლისაგან განსხვავებით დეპოლიტიზირებულია და გაბატონებულ სოციალური ჯგუფების ინტერესებს არ გამოხატავს, პირიქით, ისინი ზეპოლიტიკური ხასიათის, ზოგადასაზოგადებრივი ინტერესების მატარებლები არიან.

ეთიკა როგორც ფილოსოფიის შემადგენელი ნაწილი შეისწავლის ადამიანის ზნეობას, რომელიც წარმოადგენს ნორმებისა და პრინციპების ერთობლიობას, რაც აწესრიგებს და არეგულირებს ადამიანის ცხოვრებას და მოიცავს ყველა სფეროს ოჯახიდან დაწყებული ზოგადასაზოგადებრივი ურთიერთობით დამთავრებული. კრიმინოლოგიაში, დანაშაულობის ჩამდენი პირის და მსხვერპლის შესწავლა შეუძლებელია ეთიკის კატეგორიების შესწავლის გარეშე.

ავტორს მიაჩნია, რომ ეთიკისა და კრიმინოლოგიის ურთიერთკავშირის შემდგომი განვითარებას ხელს შეუწყობს ეთიკის ნორმების და პრინციპების ერთობლიობა, რომლებიც პრევენციული ღონისძიებებით აწესრიგებენ და არეგულირებენ ადამიანის ცხოვრებას დანაშაულობის თავიდან ასაცილებლად.

Малхаз Бадагуа

Вопросы взаимосвязи этики и криминологии Резюме

В статье рассмотрены вопросы взаимосвязи этики и криминологии. Связь между этикой и криминологией более глубоки, чем между правом и моралью. В отличие от право криминология и мораль являются деполитизированным и не выражают интересы элитных социальных групп, наоборот они являются носителями общего интереса общество.

Этика как часть философии изучает человеческий мораль, который представляет собой сочетание норм и принципов, который регулирует жизнь человека и включает в себя все сферы человеческой жизни начиная с семьи заканчивая общественными отношениями. В криминологии невозможно изучить личность преступника и жертву преступления без изучения этических категорий.

Автор считает, что дальнейшее развитие связи между этикой и криминологией будет способствовать сочетанию этических норм, которые регулируют превентивными мерами жизнь людей, чтобы предотвратить преступность.

Malkhaz Badzagua

Ethic and criminology intercommunication issues

Summary

The work reviews relationship issues between ethics and criminology. The connection between ethics and criminology is more profound than between justice and morality. Unlike the law, criminology and morality are depoliticized and do not express the interests of the prevalent social groups, conversely they are the bearers of the common interest of society.

Ethics as a part of philosophy studies the human morals, it represents the combination of norms and principles, which regulates human life and contains all the spheres of human life from family till social relationship. It is impossible to study person who committed crime and victim without studying ethics categories.

The further development of the connection between ethics and criminology will contribute the combination of ethical norms and principles, which regulates human life with preventive measures to prevent crime.

წვრთნა და აღჭურვა

(ანტიტერორისტული ღონისძიებების აღქმა იუმორისტულ ჭრილში)

2002 წლის გაზაფხულზე დაიწყო და ახლაც მიმდინარეობს ამერიკულ სამხედრო ინსტრუქტორთა მიერ ქართული საჯარისო დანაყოფების ამერიკა – საქართველოს ანტიტერორისტული პროგრამით მომზადება.

ამ ანტიტერორისტულმა ღონისძიებამ, რომელსაც „წვრთნისა და აღჭურვის“ პირობითი სახელი ეწოდა, დიდი რეზონანსი გამოიწვია, როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთაც. ვითვალისწინებთ რა ამ მოვლენისადმი საზოგადოების განსაკუთრებულ დაინტერესებას, გთავაზობთ გაზეთ „ხვალის იმედის“ კორენსოდენტ ნაგლი ნაგლამის ექსკლუზიურ გადმოცემას „წვრთნისა და აღჭურვის“ ერთ-ერთი სასწავლო ბაზიდან, რომლის დისლოკაციის ადგილს, კონსპირაციისა და საიდუმლოების რეჟიმის დაცვის მოთხოვნებიდან გამომდინარე, არ ვასახელებთ, უბრალოდ მივანიშნებთ, რომ იგი სადღაც კახეთში (კახეთი დიდია, ამიტომ დავაკონკრეტებთ, ახმეტის რაიონში უნდა ტარდებოდეს).

ტაქტიკურ მეცადინეობას ქართველ ჯარისკაცებთან ამერიკელი სერჟანტი ჯორჯი ატარებდა (ეტყობოდა ისიც იცავდა კონსპირაციას, ამიტომ თავისი გვარი კორესპონდენტს არ გაუმხილა). მართალია, ჯორჯს გულზე ჩამოკიდებული ჰქონდა გვარის მიმნიშნებელი ჟეტონი, მაგრამ ნაგლამემ იგი, იმის გამო, რომ ინგლისური არ იცოდა ვერ წაიკითხა. როცა ჯორჯი მეცადინეობის თეორიულ ნაწილს მორჩა, პრაქტიკულ საკითხებზე გადავიდა: რაღაც აბსტრაქტული ხასიათის “კაზუსები” ამოხსნით შეიკლა ხელში ჩვენი ჯარისკაცები. სწორედ, ეს “კაზუსები” მოეწონა ნაგლამეს და „ნაგლად“ ჩაიწერა (ვინ იცის როდის და რაში გამოადგება). თუ როგორი რთული ამოსახსნელია ეს კაზუსები თვითონ დარწმუნდებით, როცა მათ გაეცნობით. ამავდროულად, სათანადოდ შეაფასებთ ქართველ ჯარისკაცთა გამჭრიახობას, ვაჟკაცობასა და საბრძოლო შემართებას.

კაზუსი # 1

სერჟანტი: თქვენი ოცეული არსენალის საწყობებს იცავს, სადაც უამრავი სამხედრო ტექნიკა და აღჭურვილობა ინახება. საწყობთან ორი მსუბუქად შეიარაღებული ტერორისტი გამოჩნდა. თქვენი მოქმედება? (ყველა ჯარისკაცი მიწაზე ჰყრის იარაღს) რას აკეთებთ, რატომ დაყარეთ იარაღი?

რიგითი გაბედავა: აბა, სხვანაირად ხელები ზევით როგორ ავწიოთ?

კაზუსი # 2

სერჟანტი: შეტყობინება მივიღეთ: ხიდი, რომელზედაც თქვენ დგახართ დანალმულია. თქვენი მოქმედება? (ყველა, რიგითი უშიშარიძის გარდა წყალში ხტება), აი მშობრები, თქვენ კი რიგითი უშიშარიძე მართლაც უშიშარი ჯარისკაცი ყოფილხართ. ისე, მაინტერესებს მეგობრებს რატომ არ მიბაძეთ?

რიგითი უშიშარიძე: რა უნდა მექნა? ცურვა არ ვიცი, თანაც ნაღმსა და ტერორისტებზე მეტად წყლის მეშინია.

კაზუსი # 3

სერჟანტი: რიგითო ჭუჭყულაშვილო! ავტობუსით თელავში მიდიხარ. ერთ-ერთ გაჩერებაზე ტერორისტი ამოვიდა. რას აკეთებ?

რიგითი ჭუჭყულაშვილი: ველოდები ავტობუსის დაძვრას და მერე ვხტები ავტობუსიდან.

სერჟანტი: მერე?

რიგითი ჭუჭყულაშვილი: რა მერე? ტერორისტი გიჟი არ არის დაძვრული მანქანიდან ჩამოხტეს და მე გამომეკიდოს. მშვიდად ველოდები მეორე ავტობუსს. თელავისკენ ბევრი ავტობუსი დადის.

კაზუსი # 4

სერჟანტი: ეფრეიტორო სამჭკუაშვილო! თქვენ ათეულთან ერთად თვითმფრინავით ბათუმში მიფრინავთ. თვითმფრინავი აფრენისთანავე სამმა ტერორისტმა ჩაიგდო ხელში. თქვენი მოქმედება? (სამჭკუაშვილი ვერ პასუხობს), ნუთუ ვერაფერი მოიფიქრეთ?

ეფრეიტორი სამჭკუაშვილი: ტუალეტში ვიმალები.

სერჟანტი: ტუალეტი დაკავებულია.

ეფრეიტორი სამჭკუაშვილი: სავარძლის ქვეშ შევძვრები.

სერჟანტი: ვერ დაიმალებით, დიდი ტანისა ხართ. დაგინახავენ და შეიძლება მოგკლან. არ ვარგა. სხვები რას ფიქრობენ?

რიგითი აბდალაძე: ჩვენ ყველა ერთად, სანამ ჩვენი უფროსი იმალებოდა მოვიფიქრეთ: სამჭკუაშვილს ვიჭერთ და ვაბარებთ ტერორისტებს. ჩვენ კი მათ ვეხმარებით. ყველაფერს ვაკეთებთ რასაც გვიბრძანებენ.

სერჟანტი: (აღშფოთებული) ეს ხომ ღალატია! ალბათ ვერ გაიგეთ? ისინი ტერორისტებია...

რიგითი აბდალაძე: (მშვიდად) გავიგეთ, რომ ტერორისტები არიან, მაგრამ თავის გადარჩენის ინსტიქტი გვკარნახობს, რომ ასე უნდა მოვიქცეთ. ამით თავსაც გადავირჩინთ და მერე უფროსსაც დავიხსნით.

ეფრეიტორი სამჭკუაშვილი: (თავისთვის) სადაა სამართალი, მე უდნა ვიყო სამჭკუაშვილი და ეს აბდალაძე? ნახეთ რა ჭკვიანურად აზროვნებს?

კაზუსი # 5

სერჟანტი: ახმეტაში, ქალაქის ბოლოს სამხედრო შტაბია, მეორე ბოლოში თქვენი ოცეულია განლაგებული. კარგი შეიარაღება, საიმედო კავშირგაბმულობა და სატრანსპორტო საშუალებები გაქვთ. ხედავთ, რომ ქალაქში შესვლას აპირებს ტერორისტთა ხუთკაციანი ჯგუფი. ჩვენი ოპერატიული მონაცემებით ისინი შტაბის აფეთქებას და მისი პირადი შემადგენლობის განადგურებას გეგმავენ. რა ღონისძიებებს გაატარებდით?

რიგითი გაიპარაშვილი: ყველაფერს ვტოვებთ და ქალაქიდან შორს ვიპარებით.

სერჟანტი: არ ვარგა

რიგითი უშიშარაიძე: ყვირილს ავტებ, იქნებ ქალაქში ვინმემ გაიგონოს...

სერჟანტი: რატომ უნდა იყვიროთ? როცა რაციები გაქვთ?

ეფრეიტორი სამჭკუაშვილი: მისი ხმარება ჯერ არ გვისწავლია.

სერჟანტი: მანქანა გამოიყენეთ.

რიგითი ბუღაძე: მანქანას ტერორისტები შეამჩნევენ და აგვაფეთქებენ.

სერჟანტი: არ ვარგა. ასეთ შემთხვევაში აქტიური მოქმედებაა საჭირო.

რიგითი მშვიდლობაძე: მოვიფიქრე, თეთრი ბაირალით დავხვდეთ. აი, ასე (ჯიბიდან იღებს დიდი ზომის ცხვირსახოცს და აფრიალებს).

სერჟანტი: არ ვარგა. ეს კაპიტულაციაა.

რიგითი აბდალაძე: სასწრაფოდ ვიცვლით ადგილს და ვტოვებთ ქალაქს, შევდივართ ხეობაში.

სერჟანტი: მერე რას აკეთებთ?

რიგითი აბდალაძე: ამ ეტაპზე ჩვენი ოცეულისა და მისი ტექნიკის გადარჩენისათვის ესეც საკმარისია.

სერჟანტი: კი, მაგრამ შტაბი? თქვენ თუ არა ვინ უნდა გააგებინოს მათ ქალაქში ტერორისტების შემოსვლა? (აბდალაძე იცინის) რატომ იცინით?

რიგითი აბდალაძე: თქვენზე მეცინება. თქვენ არ თქვით „ტერორისტები შტაბის აფეთქებას და პირადი შემადგენლობის განადგურებას გეგმავენ“-ო.

სერჟანტი: სწორედ ამიტომაც, საჭირო შტაბს სასწრაფოდ აცნობთ შექმნილი ოპერატიული ვითარება....

რიგითი აბდალაძე: უფროსო! რომელ შტაბზე მელაპარაკებით? სანამ აქ ვმსჯელობდით რა გაგვეკეთებია, იგი ტერორისტებმა უკვე ააფეთქეს და ალბათ ახლა საწყალ ჯარისკაცებს ხოცავენ. გავიქცეთ, კარგი სამალავი ადგილი ვიცი . . .

კაზუსი # 6

სერჟანტი: რიგითო თევზაძე! ინფორმაცია მივიღეთ: თქვენი მეზობელი ტერორისტია. იარაღის საწყობის აფეთქება აქვს დავალებული. ორი დღის წინ, ღამით ბევრი დინამიტი მიუტანეს. თქვენი მოქმედება?

რიგითი თევზაძე: ვითომ არ ვიცი მისი ტერორისტობა, მივალ და თევზების ასაფეთქებლად დინამიტს ვთხოვ.

სერჟანტი: კონტაქტის დასამყარებლად თქვენი მოქმედება დასაშვებია. ვთქვათ მოგცათ დინამიტი, მერე რას აკეთებთ?

რიგითი თევზადე: მივდივარ და მტკვარში თევზებს ვაფეთქებ.

სერჟანტი: მერე?

რიგითი თევზადე: იმავე საღამოს ტერორისტს თევზს მივართმევ, შემდეგშიც რომ მომცეს დინამიტი.

კაზუსი #7

სერჟანტი: რიგითო ლაბარტყავა! რუსთაველზე თქვენს წინ მიმავალი პიროვნება საეჭვოდ იქცევა. ეტყობა, იარაღი უნდა ჰქონდეს, კოსტიუმის ერთი ბოლო გამოხედილი აქვს. შეიძლება ტერორისტი. როგორ შეამოწმებთ?

რიგითი ლაბარტყავა: ზრდილობიანად, მიახლოებით ასე ვიტყვი: ბოდიში თქვენს წინააღმდეგ, შემთხვევით ტერორისტი ხომ არ ბრძანდებით მეთქი, მაგალითად.

სერჟანტი: დაუშვათ გითხრათ – ტერორისტი ვარო?

რიგითი ლაბარტყავა: გაქცევას, როგორც ასეთი, აზრი არ აქვს აბსოლუტურად. იქვე ვბარდები „პლენად“.

კაზუსი № 8

სერჟანტი: დაუშვათ. ტერორისტებმა რომელიმე თქვენთაგანი მძევლად აიყვანა, პანკისში ჩაიყვანა და იქ გამოსასყიდის მიღების მიზნით ოჯახში წერილის მიწერა მოგთხოვათ. როგორ მოიქცევით? (ჩანჩალაძე და ბრეგაძე ტირიან) რა გატირებთ?

რიგითი ჩანჩალაძე: (ტირილით) მე და ბრეგაძე ერთი სოფლიდან, მეზობლები ვართ. ჩვენ ოჯახებს ჩვენი გამოსყიდვის საშუალება არა აქვთ (უფრო ხმამაღლა ტირიან), რა გვეშველება?

სერჟანტი: თქვენ რიგითო ხაშლამაძე! რას იზამთ?

რიგითი ხაშლამაძე: მშობლებს მივწერ, რასაც შეაწერენ ტერორისტები მაშინვე გადაიხადონ და დამიხსნან. თუ ფული არ ეყოთ „გრან ჩეროკი“ ან „მერსედესი“ გაყიდონ.

სერჟანტი: რიგითო შავკაციშვილო! თქვენც ასე მოიქცევით?

რიგითი შავკაციშვილი: მე პირიქით, „ბლატაობას“ დავუწყებ, ისინიც ხომ შავებია? იქნებ საერთო ძმაცაცები აღმოვაჩინოთ. „დავერიაში“ რომ შევალ ფულის მოტანის „პონტს“ აუღდებ და როცა გამიშვებენ მის მოსატანად, ეგრევე „მოვტყდები“.

სერჟანტი: არც გაგიშვებენ და ვერც გაიპარები. რამდენი ხანია აქ ვარ და პანკისიდან გამოშვებული ან გამოპარული მძეველი არ მინახავს. რიგითო აბდალაძე: თქვენ რას გააკეთებდით?

რიგითი აბდალაძე: ტერორისტებს ჩემი „ელეხი“ მეგობრების მისამართებს მივცემ. მათ მძევლად აყვანაში დავეხმარები და რა თქმა უნდა წილშიც ჩავუდგები. ტერორისტებსაც ვასარგებლებ და ჩემს წილსაც ავიღებ. თუკი საქმე კარგად წავიდა, შემდგომშიც ვითანამშრომლებ მათთან.

კაზუსი №9

სერჟანტი: რიგითო გირგვლიანო! დაუშვით ცოლი მოიყვანეთ და აღმოჩნდა, რომ თქვენი ცოლის ძმა ტერორისტია. რას იზამთ?

რიგითი გირგვლიანი: მაგ ბედნიერებას ვინ მალირსებს?

სერჟანტი: რაში ხედავ ბედნიერებას?

რიგითი გირგვლიანი: ამბობენ ტერორისტები დიდ ფულს შოულობენ და „ჟმოტები“ არ არიანო. რა მაინცდამაინც მე გამიწყრება ღმერთი და ჩემი ცოლის ძმა აღმოჩნდება უფულო და „ჟმოტი“?

კაზუსი № 10

სერჟანტი: რიგითო კამიტაძე! მეტროთი ისანში მიდიხართ. სადგურ „ვაგზლის მოედანზე“ დაინახეთ ბინ ლადენი. იგი მოლა ომართან ერთად ვაგონში ამოსვლას აპირებს. თქვენი მოქმედება?

რიგითი კამიტაძე: ჩავდივარ მეტროდან. ქალაქში ვაჩერებ ტაქს და მივდივარ აეროპორტში.

სერჟანტი: აეროპორტში რატომ?

რიგითი კამიტაძე: ნებისმიერი რეისით საქართველოს დატოვებას ვაპირებ.

სერჟანტი: რატომ?

რიგითი კამიტაძე: რახან ბინ ლადენი საქართველოში გამოჩნდა? ჩათვალეთ მოგვეხაზა. ან ის მოლა ომართან ერთად ჩავგიტარებს ტერორების სერიას ან ამერიკა და რუსეთი დაგვბომბავს. . .

სერჟანტი: რატომ გავიწყდებათ, რომ ბინ ლადენისა და მოლა ომარის, თუნდაც ერთ-ერთი მათგანის დაჭერის ან ლიკვიდაციისათვის ზღაპრულ თანხას იძლევიან? თანაც გმირად გამოგვაცხადებენ.

რიგითი კამიტაძე: უფროსო! თქვენ რაღაც გეშლებათ? მე კამიტაძე კი არა კამიტაძე ვარ. „პოსმერტნად“ არც გმირობა მიდნა და არც ფული.

Training and Equipment

In spring, 2002 there was initiated training of Georgian military units by American military instructors within Georgian antiterrorist program. The training is currently going on.

This antiterrorist event, referred to as the “Training and Equipment” program conditionally, drew a wide response in Georgia as well as outside of the country. Taking into consideration special interest by civil society, we hereby offer exclusive materials from one of the training bases prepared by Nagli Nagladze¹, special correspondent of “Khvalis Imedi” (“Tomorrow`s Hope”), the newspaper. We are not going to disclose the place of dislocation according to the requirements of restricted regime and secrecy; we can just point that the place is in Kakheti (As Kakheti region is quite large, we only specify that the particular place is Akhmeta district).

Tactical training was conducted by American sergeant George together with Georgian sergeants (it seemed George also kept confidentiality – he did not tell his name to the correspondent; though he had a identification badge on his neck with his last name on it, Nagladze could not read it as did not know English). George started exercises in practical part after he completed theoretical one: he insisted our soldier on solution of some abstract cases; namely these cases became the main subject of Nagladze`s interest and wrote it down impudently (who knows when and where would be they useful). One can guess nature of the cases as well as acknowledge with smartness, braveness and warrior sense of soldiers when familiarized with those below provided:

Case #1

Sergeant: Your platoon is tasked to guard the arsenal with a lot of military technique and equipment in it. Suddenly two persons slightly armed appeared. What will you do?

(All soldiers threw down their arms)

- What are you doing? Why did you throw your arms down?

Soldier Gabedava: Otherwise we could not hands-up, sir!

Case #2

Sergeant: We have received an information that the bridge you are standing on is mined. What is your action?

- Soldier Ushisharidze², you seem to be really a brave soldier. I just wonder why you did not followed to your friends.

Soldier Ushisharidze: Sir, what could I do? I do not know swimming, besides I am afraid of water more than of terrorists and mine!

¹ Nagli – «impudent” into English, name and last name comes from the word “Inpudent”

² Ushisharidze – comes from the word “Ushishari”; means “fearless” into English

Case #3

Sergeant: Soldier Chuchulashvili! Let us suppose you are going to Telavi district by bus. A tourist is getting on the bus on one of the stops. What are you doing?

Soldier Chuchulashvili: I am going to wait for starting the bus and then I jump down from the bus

Sergeant: Then?

Soldier Chuchulashvili: What then? Terrorist is not so mad to jump down from the bus in driving fast and run after me. So I am going to wait for another bus calmly, you know there are a lot of buses going to Telavi.

Case #4

Sergeant: Corporal Samchkuashvili³! Let us suppose you are flying with your squad to Batumi by plane. The plane was captured by three terrorists immediately upon its landing up. What will you do?

(Samchkuashvili cannot answer)

- Have not you thought of anything?

Corporal Samchkuashvili: I would hide in the water closet

Sergeant: Water closet is occupied

Corporal Samchkuashvili: Then I would hide under an armchair

Sergeant: You cannot – you are too big; they will see you and kill. Not a good idea. What is others' opinion?

Soldier Abdaladze⁴: We all have thought of this plan while our chief was hiding; we should arrest Samchkuashvili and surrender him to terrorists; we will assist them – we'll do everything they order

Sergeant (furious): But this is treason! Maybe you have not understood? They are terrorists!

Soldier Abdaladze (calmly): We realize they are terrorists but self-preservative instinct dictates us to do so; we will be survived in this way and then we will be able to rescue are chief too

Sergeant (by himself): Where to seek justice – I should be Samchkuashvili and he to be Abdaladze? His manner of thought is so sober and smart!

Case #5

Sergeant: There is a military headquarter in one of the end of the city of Akhmeta; there is a platoon dislocated in the other end. You are provided with good equipment, reliable communication as well as transport. You notice a group of five terrorists intending to enter the city. According to our intelligences they are going to blow up headquarter and liquidate personnel. What are you supposing to do?

Soldier Gaiparashvili⁵: We are going to abandon everything and flee out of the city

Sergeant: Not a good idea

³ Samchkuashvili – exact translation: a person with three brains instead of one; here it means very wise man

⁴ Abdaladze – comes from the word “Abdali” – blockhead into English

⁵ Gaiparashvili – comes from the word “Gaipara” – flee into English

Soldier Ushisharaidze: I would start crying, maybe someone will hear me

Sergeant: Why to cry when you have got radio stations!

Corporal Samchkuashvili: We have not learned how to use it, Sir!

Sergeant: Then use the vehicle

Soldier Bughadze: Terrorists will notice the vehicle and explode it

Sergeant: No good idea. You should act in more effective manner

Soldier Mshvidobadze:⁶ I have an idea! Let`s meet them with a white flag, like this (taking a large white kerchief out of his pocket and waving it)

Sergeant: No way, it means surrender

Soldier Abdaladze: Then we are going immediately to change our place and leave the city; we are going to go to the gorge.

Sergeant: What are you going to do then?

Soldier Abdaladze: This is enough to rescue our technique and platoon at this stage

Sergeant: But what about the headquarter? Who else should notify them about the fact of terrorist invasion into the city? (Abdaladze is laughing). Why are you laughing?

Soldier Abdaladze: I am laughing at you... Was not you who told us that terrorists were going to blow up headquarter and liquidate personnel?

Sergeant: Right, and that is why you should immediately inform the headquarter about incurred operative circumstance

Soldier Abdaladze: Sir, what headquarter are you talking about? Terrorists had already blown it up while we discussed here what to do; maybe they are killing poor soldiers at the moment! So it is time to get away, I know a good place to hide in.

Case #6

Sergeant: Soldier Tevzadze!⁷ We`ve got an information claiming that your neighbor is a terrorist; he is tasked to blow up a depot. He was provided with a lot of dynamite two days ago, in the nighttime. What is your plan?

Soldier Tevzadze: I would pretend as if I know nothing about him; I would just ask him for some dynamite to detonate fish in the river

Sergeant: O.K. Your action may be deemed as admissible to establish the contact with him; let us suppose he gave you dynamite, what is then?

Soldier Tevzadze: I would go to Mtkvari River and detonate fish in there

Sergeant: And then?

Soldier Tevzadze: I would take him some fish in the evening in order to give me dynamite for the next time too.

⁶ Mshvidobadze – comes from the word “Mshvidoba” – peace into English

⁷ Tevzadze – comes from the word “tevzi” – fish into English

Case #7

Sergeant: Soldier Labartkava! A person walking at the head of you in Rustaveli Avenue is behaving suspiciously, it seems he has got a knife – one of the pockets of his suit is bulged, maybe he is a terrorist. How will you go to check him?

Soldier Labartkava: I would walk up to him and after apologizing ask politely whether he is a terrorist or not

Sergeant: What if he tells you he is a terrorist?

Soldier Labartkava: Well, I think getting away is not a good idea. I think I would yield myself prisoner

Case #8

Sergeant: Let`s suppose terrorists have taken one of you hostage, took to Pankisi gorge and then requested you to write a letter to the family for ransom. What will you do?

(Soldiers Chinchaladze and Bregadze are crying)

- Why are you crying?

Soldier Chinchaladze (crying): I and Bregadze are neighbors from the same village. Our families have nothing to pay a ransom for us (begins to cry loudly). What will happen with us?

Sergeant: Soldier Khashlamadze,⁸ what will you do?

Soldier Khashlamadze: I will write to my parents to pay any ransom that terrorist demand; let them sell “Grand Cherokee” or “Mercedes” if that money is not enough for ransom

Sergeant: Soldier Shavkatsishvili⁹, what will be your plan?

Soldier Shavkatsishvili: I will behave on the contrary - as a protégé: I suppose they are thieves, maybe I will be able to find some mutual friends if pattering in that way; as soon as I gain their confidence I will tell them to let me away to bring the money and consequently I`ll manage to escaper

Sergeant: They will not let you as well as you will not be able to flee; I have been in here for a long time and have not seen anyone been released from Pankisi gorge or escaped from there. Soldier Abdaladze, what will you do?

Soldier Abdaladze: I would give the addresses of my moneyed friends to the terrorist, I would even assist them to take them hostage and then request my share from that ransom; so that deal would be advantageous for them and for me as well; I would continue cooperation with them if everything is O.K.

Case #9

Sergeant: Soldier Girgvliani! Let`s suppose you`ve got married but it appeared your wife`s brother is a terrorist. What will you do?

Soldier Girgvliani: I am not that soldier of fortune to have such brother-in-brother!

⁸ Khashlamadze-comes from the word “Khashlama” – Georgian national dish cooked basically with meat

⁹ Shavkatsishvili – comes from the word “Shavi”, which in Georgian slang is a synonym of a person from the group of so called “thieves in law”

Sergeant: What do you mean in “Fortune”?

Soldier Girgvliani: They say terrorists make plenty of money and they are not skinflint at all; exactly because my brother-in-law will not be a terrorist

Case #10

Sergeant: Soldier Kamitadze! You are going to Isani district by metro. On your way at one of the railroad station you see Bin Laden. What will you do?

Soldier Kamitadze: I will get off the metro, catch taxi and go to the airport.

Sergeant: Why to the airport?

Soldier Kamitadze: To get away from the country by any nearest flight

Sergeant: Why?

Soldier Kamitadze: Because of Bin Laden. Do not you think that it couldn't be worse? Arrival of Bin Laden means that he will initiate series of acts of terror together with Omar mullah or Russia and America will bomb us...

Sergeant: Do not forget that any person arresting or liquidating of even one of them will be awarded with mint of money! Besides you`re going to be the hero then

Soldier Kamitadze: Chief, you are mistaken: I am Kamitadze but not Kamikaze. I want neither money nor heroism!

წვრთნა და აღჭურვა
(ანტიტერორისტული ღონისძიებების აღქმა იუმორისტულ ჭრილში)
რეზიუმე

ამერიკა-საქართველოს ანტიტერორისტული პროგრამით, 2002 წლის გაზაფხულზე ამერიკელი სამხედრო ინსპექტორების მიერ, საქართველოს ტერიტორიაზე დაიწყო ქართული საჯარისო დანაყოფების მომზადების პროცესი, რომელსაც საიდუმლოებისა და კონსპირაციის დაცვის აუცილებლობიდან გამომდინარე, „წვრთნისა და აღჭურვის“ პირობითი სახელი მიენიჭა.

სწორედ ეს - პირობითი სახელი დაარქვა ოთარ კვაჭაძემ თავის მორიგ იუმორისტულ ნაწარმოებს, რომელიც იმავე წელს გამოაქვეყნა. მკითხველმა იგი აღიქვა, როგორც კეთილი იუმორისტული გამოძახილი თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების ამ მეტად დროულ და აუცილებელ ღონისძიებაზე. ნაწარმოებში აღწერილი „კაზუსები“, განსაკუთრებით ქართველი ჯარისკაცების საზრიანობა, მკითხველს მხიარულ განწყობაზე აყენებს.

ალბათ, ამიტომ გადაწყვიტა ავტორმა „წვრთნისა და აღჭურვის“ მეორედ, ქართულ და ინგლისურ ენაზე გამოცემა. მას სჯერა, რომ იუმორისტული „კაზუსებით“ ინგლისურენოვანი მკითხველი ისევე ისიამოვნებს, როგორც ქართველი. აქვე უნდა აღვნიშნოთ ქალბატონ ლელა გოგოლიძის დამსახურება, რომელმაც კარგი თარგმნის წყალობით თავისი მომხიბვლელობა არ დაუკარგა ქართულ იუმორს.

Отар Квачадзе

Тренировка и Вооружение
(восприятие антитеррористических мер в юмористическом контексте)
Резюме

Весной 2002 года началось обучение грузинских военных подразделений американскими военными инструкторами в рамках грузинско-американской антитеррористической программы; рассматривая вопросы конспирации и секретности, этот процесс был назван программой «Тренировка и Вооружение».

Именно это имя дал г-н Отар Квачадзе своему последующему юмористическому роману, который был опубликован в том же году. Читатель воспринял это как своего рода юмористическое выражение современных международных отношений на своевременном и необходимом событии. Описанные в работе «Казусы», особенно сообразительность грузинских солдат ставит читателя на хорошее настроение.

Возможно по этой причине, автор решил опубликовать второе издание «Тренировка и Вооружение» на грузинском и английском языках. Он верит, что юмористическими «казусами» англоязычный читатель также будет наслаждаться как и грузинский. Следует отметить, что заслуга г-жи **Лелы Гоглидзе**, которая благодаря хорошему переводу не потеряла грузинского юмора.

**Training and equipping (Perception of Anti-Terrorist Activities in the Humorous section
Summary**

In spring, 2002 training of Georgian military units by American military instructors within Georgian antiterrorist program was initiated; considering the issues of conspiracy and secrecy this process was named as the “Training and Equipment” program. Namely this conditional title gave Mr.Otar Kvachadze to his next comic novels, which were published in the same year they were written.

Mr. Kvachadze`s book “Training and Equipment” was perceived as a favourable response to this actually contemporary and urgent issue. Cases described in the book are beloved by the readers and put them in good mood. That was why the author decided to publish the “Training and Equipment” again – in Georgian and English languages. He believes that English reader (as well as Georgian) will enjoy these comic cases, especially quick-wittedness of Georgian soldiers. It should be emphasized the work done by **Ms. Lela Gogolidze**, translator, who tried to maintain original fascination of Georgian humor.

ნაწყვეტი გამოუქვეყნებელი მოთხრობიდან

“ქართველები”



ამ წიგნის ფურცლებზე, შევეცდები ავსახო ის, თუ რაოდენ რთულ და სახიფათო სამსახურს ეწეოდნენ თბილისის მილიციის მუშაკები, რაოდენ დიდი საფრთხის წინაშე იდგნენ ისინი, როგორ არ უფასდებოდათ მათ ეს შრომა, და ხშირ შემთხვევაში თავგანწირვაც კი, როგორ ბლავდნენ მათ ღირსებას ხელმძღვანელ თანამდებობებზე შემთხვევით მოსული ფუნქციონერები, რა უშლიდა ხელს ოპერატიული საქმიანობის წარმოებასა და პერსპექტიულ მუშაკთა პროფესიულ ზრდას.

თბილისის შინაგან საქმეთა ორგანოების ოპერატიულ მუშაკებზე ბევრი რამ თქმულა, მაგრამ ამჯერად მხოლოდ რამოდენიმე ფაქტსა და თანამშრომელზე შევეცდები გავამახვილო მკითხველის ყურადღება, გავიხსენო ყველა ის თანამშრომელი, ვის გვერდითაც მომიხდა მუშაობა ხოლო მათ ვისი გვარიც უნებლიეთ გამომჩნება თავმდაბალ ბოდიშს ვუხედი წინასწარ.

დიდი მორიდებული სიყვარულითა და პატივისცემით გავიხსენებ საქართველოს შსს დეაწლმოსილ მუშაკებს, რომლებმაც უდიდესი წვლილი შეიტანეს ქართული სამართალდამცავი ორგანოების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში. ესენი გახლდნენ: ვარლამ შადური, შალვა ჩხატარაშვილი, ვალიკო თალაკვაძე, კაკო ვაშაკიძე სერგო მამულაძე, შუქრი კვიციანი, ლეო გიგიტაშვილი, გოგი სოლორაშვილი, ვახტანგ ოდიშვილი და სხვები, ქედს ვიხრი მათ წინაშე.

ბოროტებასთან შეურიგებელ ბრძოლაში სამმა ათეულმა, ქარცეცხლიანმა წელმა უმაღლესი ჩაიქროლა. ეს ყველაფერი თითქოს გუშინ მოხდა. სამწუხაროდ, ბევრი თანამშრომელი დღეს ჩვენს შორის აღარ არის, მაგრამ ბოზოქარ ქარცეცხლში განვლილ წლებს, ფუჭად არ ჩაუვლია, მეცა და ჩემმა კოლეგებმაც გარკვეული წვლილი შევიტანეთ დამნაშავეობასთან ბრძოლაში და მიუხედავად იმისა, რომ ხშირად გვიხდებოდა „შინაური მტრის“ მოგერიებაც, მაინც ვახერხებდით და ამაყად ვებრძოდით ბოროტებას.

ამ შეურიგებელი შერკინების შედეგად არაერთი ოპერატიული მუშაკი დაეცა ბოროტე-ბასტან ბრძოლაში.

ჩვენს ქვეყანაში დამნაშავეთა მიმართ ერთგვარი ინტერესი და ტოლერანტობა, ზოგჯერ მათი სახელების განდიდებაც იგრძნობოდა, რამაც ასახვაც ჰპოვა ლიტერატურასა თუ ფოლკლორში.

ამის მაგალითად უამრავი ფაქტის მოყვანა შეიძლება, ავიღოთ, მაგალითად „ქურდული“ სიმღერები, რომლებმაც მტკიცედ მოიკიდეს ფეხი ხალხურ პოეზიასა თუ თქმულებებში, მხატვრულ ლიტერატურასა თუ კინოში.

საინტერესოა რასთან იყო დაკავშირებული დამნაშავეთა სამყაროსადმი ასეთი ინტერესი. შესაძლოა ამ ხერხით ვლინდებოდა ტოტალიტარიზმის წინააღმდეგ მიმართული პროტესტი, რომელიც ტრადიციულად მეფობდა პოსტსაბჭოთა სივრცეში. დანაშაულებრივი სამყარო სრულიად მოკლებულია რომანტიზმს, იგი პრაგმატული და სისხლიანია. სწორად უთქვამთ:

„დამნაშავეობა საზოგადოების თავისებური სარკეაო“, დიახ, ეს უტყუარი ჭეშმარიტებაა. სწორედ ამ „სარკეზე“ მოგიტხრობთ ეს წიგნი.

საბჭოური პროპაგანდა ათწლეულების მანძილზე თავგამოდებით გვარწმუნებდა, რომ „ნათელი მომავალისკენ“ მიმავალ გზაზე დანაშაული სწრაფად კლებულობდა და მალე სულ გაქრებოდა, რადგან მას თურმე არ ჰქონდა „სოციალური ფესვები“, საზოგადოებრივი ფორმაციების მრავალი ცვალებადობის მიუხედავად, აღმოჩნდა, რომ დამნაშავეობა იყო არის და, რაც ყველაზე სამწუხაროა კიდევ დიდხანს იარსებებს.

აღბათ ყველა პატიოსან ადამიანს უნდება კითხვა, შეძლებს თუ არა იგი პატიოსანი შრომით ცხოვრებას და ხომ არ გაიმარცხება მისი ქონება, სადამოს საათებში ისეირნოს ქალაქის სკვერებში, მშვიდად გაუშვას ბავშვები სკოლაში და არ ეშინოდეს, რომ ისინი მორიგი მანიაკის მსხვერპლი გახდებიან. სწორედ ამისათვის იბრძოდა ქართული პოლიცია თავგამოდებით

ქურდობა ოქროულობის მაღაზიებიდან

- სისხლის სამართლის სამსახურის მუშაკები, გამომძიებელი, ექსპერტ კრიმინალისტი საწრაფოდ შემთხვევის ადგილზე - გაისმა სელექტორში ქალაქის სამმართველოს პასუხისმგებელი მორიგის ადელვებულის ხმა.
- საბურთალოზე ოქროულობის მაღაზია გაუქურდავთ, აბა, ჩქარა, კვანტალიანი უკვე იქ არის, ჩქარა-ჩქარა, - მოგვამახა მორიგემ და მძლოლს ხელში შეაჩეჩა მისამართი.

შემთხვევის ადგილზე მისვლისას, იქ თბილისის მილიციის სამმართველოს უფროსი გივი კვანტალიანი, სს სამსახურის უფროსი რომან გვენცაძე და საბურთალოს რაიონის მილიციის განყოფილების რამდენიმე მუშაკი დაგვხვდა.

- აბა, შეუდექით, არ იჩქაროთ, არაფერი გამოგრჩეთ, ერთ საათში მომახსენეთ შედეგები, - გვითხრა გაბრაზებულმა კვანტალიანმა, სწრაფად გამოალო მანქანის კარი და მძლოლს უბრძანა სამინისტროში წასულიყო, იმ ხანად ასეთი დანაშაული განსაკუთრებით საშიშ სახელმწიფო მნიშვნელობის ბოროტმოქმედებათ ითვლებოდა. ოქროულობის ქურდობის საქმე მოსკოვის კონტროლს ექვემდებარებდა. ასეთ მძიმე დანაშაულს, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ.

მაღაზიის სათავსოს იატაკი ტროლეიბუსის დომკრატით იყო აწეული და როგორც ჩანდა, ქურდებს მაღაზიაში სწორედ იქიდან შეეღწიათ. ოქროულობის ნაწილი იატაკზე იყო მოფანტული, ეტყობა ჩქარობდნენ-მეთქი - გავიფიქრე და ექსპერტ-კრიმინალისტთან ერთად შემთხვევის ადგილის დათვალიერებას შევუდექი.

მაღაზიიდან მხოლოდ დანაშაულის ჩადენის დროს გამოყენებული ხელსაწყოები - ბრტყელ-ტუჩა, თვითნაკეთი ძლიერი ძალაყინი და სხვა ნივთები ამოვიღეთ. ძალაყინი უცნაური, უჩვეულო ფორმისა იყო, ნეტავ, სად გააკეთეს, მეთქი, - გამიელვა თავში. უბის წიგნაკში ჩავინიშნე. გამომძიებელი შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმს ამთავრებდა, ჩვენ კი თვითმხილველებისა და შესაძლო მოწმეების დადგენას შეუდექით. რომან გვენცაძე დრო და დრო ოპერატიულ დავალებებს გვამღევდა და თან დასძენდა ხოლმე: ეს დანაშაული რომ არ გაიხსნას, არ ვიცი რას გვიზავნო. და, მართლაც, ძლიერ განიცდიდა იმას, თუ როგორი თავხედობით გატეხეს მაღაზია და რა ადვილად გაიტანეს დიდძალი ოქროული.

გადამოწმდა სიგნალიზაციის მდგომარეობა, დავადგინეთ არასაუწყებო დაცვის მუშაკთა ვინაობა, მაღაზიის მუშაკები დეტალურად გადავამოწმეთ, მაგრამ ვერავითარ კვალს ვერ მივაგენით. მთელი ქალაქის მილიცია ამ საქმეზე მუშაობდა.

რამდენსამე დღეში თბილისში, ნაძალადევის რაიონში კვლავ გაქურდეს ოქროულობის მაღაზია, საიდანაც ასევე დიდი ოდენობის ოქროულობა გაიტანეს. იქაც სარდაფიდან ტროლეიბუსის დომკრატით იატაკის აწევით იყვნენ შესულები.

ჩვენს განცვიფრებას საზღვარი არ ჰქონდა - კორპუსის სარდაფი წყლით იყო სავსე და სარდაფის დასათვალიერებლად იძულებულნი გავხდით ტანს გაგვეხადა და მყვინთავების როლი გვეკისრა. გვიანი შემოდგომა იდგა. ყვინთვამ შედეგი მოგვიტანა, სარდაფის ფსკერიდან ისეთივე თვითნაკეთი ძალაყინი და სეიფის გასახსნელი, უნივერსალური თვითნაკეთი ხელსაწყო-გასაღები ამოვიღეთ.

ორივე შემთხვევის ადგილიდან ამოღებული ძალაყინები ტყუპი ძმებით ჰგავდნენ ერთ-მანეთს, აშკარა იყო, რომ ისინი ერთი და იმავე ოსტატის მიერ იყო დამზადებული.

რ.გვენცაძის დავალებით, თბილისში 60-მდე სამჭედლო დავადგინეთ. ყველა მათგანს ისე მივეცით შეკვეთა, ვითომ ჩვეულებრივი მოქალაქეები ვიყავით. თვეზე მეტხანს ველოდით დაკვეთების დასრულებას. 80 ძალაყინიდან არცერთი არ გავდა შემთხვევის ადგილიდან ამოღებულს. როგორც შემდეგ გაირკვა, ერთმა უპასუხისმგებლო ორკაციანმა ოპერატიულმა ჯგუფმა ჩარხსაშენებელი ქარხნის შემოწმებას დუქანში ქეიფი ამჯობინა, არადა თურმე სწორედ იქ იყო დამზადებული ის ორი ძალაყინი, სწორედ ამ მოღალატურმა უპასუხისმგებლობამ განაპირობა ის, რომ ამ უმძიმესი დანაშაულის გახსნას თითქმის სამი თვე მოვანდომეთ. ხელმძღვანელობა და ჩვენც ბოროტმოქმედთა დადგენა-დაკავების ნაცვლად მინისტრისა და მოსკოველ მაღალჩინოსანთა გაუთავებელ ლანძღვას ვისმენდით.

ორივე დანაშაული ერთ საქმედ გააერთიანეს და ოპერატიული საქმიანობა იმჟამად ახლად შექმნილ, ე.წ. „ბზ“-ეს განყოფილებას დაავალეს. უნდა ვთქვა, რომ ამ განყოფილებაში თავშეყრილი იყვნენ მილიციის განყოფილებების ყოფილი უფროსები, რომლებიც მხოლოდ დაწინაურებაზე ფიქრობდნენ. ამ განყოფილების სახელი _ „ბზ“ _ ბანდიტებთან ბრძოლას ნიშნავს. იქ მომუშავეებს უმძიმესი დანაშაულობების გახსნა ევალებოდათ, სინამდვილეში კი მისი ხანში შესული „ოპერმუშაკები“ დილიდან საღამომდე დომინოსა და ჭადრაკის თამაშს უნდებოდნენ და მათ სამსახურში სამმართველოს ხელმძღვანელის ხათრით აჩერებდნენ. გასაკვირი ის იყო, რომ მათ როგორც წესი, მოკლე ხანში მილიციის უფროსებად აწინაურებდნენ... ამაზე ზემოთაც მოგახსენეთ.

ბოლოს ისევ რომან გვენცაძემ მიიღო ინფორმაცია, რომ ერთ-ერთ შრომა-გასწორების კოლონიაში სასაჯელს იხდიდა ვინმე, ზედმეტ სახელად „აპასნი“, რომელმაც „ხარის“ თამაშის დროს უთქვამს იმდენი ფული და ოქრო მაქვს, აქედან რომ გავალ თუნდაც 10 ოჯახს შევინახავ და უდარდელად ვიცხოვრებ და არაფერს მოვიკლებო.

დავადგინეთ, რომ ე.წ. „აპასნი“ ერთი გაჭირვებული ოჯახიდან იყო, რომლის წევრებს ოქრო კი არა, პურის ფული ენატრებოდათ.

გადაწყდა „აპასნის“ პიროვნების შესწავლა, რაც იმ „მრისხანე“ „ბზ“-ეს განყოფილების „ღვაწლმოსილ“ მუშაკებს დაევალათ. რ. გვენცაძის მითითებითა და გენერალ ვარლამ შადურის განკარგულებით „აპასნი“ კოლონიიდან ათი დღით თბილისის შს სამმართველოს წინასწარი დაკავების საკანში გადმოიყვანეს, მის ამ დანაშაულებებში შესაძლო მონაწილობის დადგენის მიზნით. მისი ეტაპირების ვადის დასრულებამდე ორი დღით ადრე მე, ჩემი მეგობარი ნოდარ ლავრენტაშვილი და ქურდობის წინააღმდეგ მებრძოლი ქვეგანყოფილების უფროსი თემო ჯიბლაძე ვაკიდან ვბრუნდებოდით, სადაც ბინის ქურდების სამკაცრიანი ჯგუფი დავაკავეთ და გამომძიებელს გადავეცით.

შს სამმართველოს სისხლის სამართლის სამმებროს სადარბაზოსთან განრისხებული რომან გვენცაძე შემოგვხვდა, იგი ხმამაღლა გამოთქვავდა უკმაყოფილებას „ბზ“-ეს უსაქმური მუშაკების მისამართით, ყვიროდა: მათ კოლონიიდან გადმოყვანილი „აპასნი“ თვალითაც არ უნახავთ, არც გასაუბრებიან, არა და, ორი დღის შემდეგ იგი კოლონიაში ეტაპირებას ექვემდებარება.

მოვერიდეთ, გზა დაუთმეთ და კედელს ავეკარით. გვენცაძე იმდენად იყო განრისხებული ჩვენც მოგვდგა, იმის მიუხედავად, რომ იგი ჩემთან და ნოდართან ძალიან ახლო ურთიერთობაში გახლდათ. ჩვენც იმათ („ბზ“-ეს მუშაკებს) შეგვადარა მოღალატეები გვიწოდა და გვიბრძანა სასწრაფოდ გადაერთეთ „აპასნისთან“ მუშაობაზე, თან კარგა მაგრად შეიკურთხა. იმის გამო, რომ ჩვენ მისი ჩვენდამი დამოკიდებულება კარგად ვიცოდით, მე და ნოდარს წუთითაც არ გვიცილებდა გვერდიდან ყველა რთულ, სიცოცხლისათვის საშიშ ოპერაციაზე თან მივყავდით ხოლმე, ხშირად თითქმის შეუსრულებელ დავალებასაც ჩვენ ორს გვაძლევდა. ჩვენც, ყველას გასაკვირად პირნათლად და უმოკლეს დროში, ხარისხიანად ვასრულებდით ნებისმიერ მის დავალებას, მას ჩვენს უახლოეს, საყვარელ პიროვნებად, ქმაგად ვთვლიდით. მისი ეს განრისხება გულთან არ მიგვიტანია და ღამის სამ საათზე დაღლილ-დადაქანცულები მისი მორიგი დავალების შესრულებას შევუდექით.

საკნიდან „აპასნი“ ამოვიყვანეთ და მის გასატეხად ჯვარედინი საუბარი დავიწყეთ.

საუბარი ორ დღე-ღამე გაგრძელდა. ამ ხნის მანძილზე არც ჩვენ და არც „აპასნი“ ოთახიდან არ გამოვსულვართ. არც გვენცაძე წასულა სახლში, თუ დამიჯერებთ, არც ჩვენ და არც მას არაფერი გვიჭამია. „აპასნი“ ისე დავაბნიეთ, რომ სხვა ისეთი დანაშაულებიც აღიარა, რომლებზეც ჩვენ წარმოდგენაც კი არა გვქონდა. ბოლოს მესამე დღეს, დილის 6 საათზე, ვითომ შემთხვევით, ბარემ ამაზეც გვიამბეთქო ვუთხარით და ოქროულობის მაღაზიების ქურდობებზე ჩამოვუგდეთ საუბარი. თან ამას მოხერხებულად ვაკეთებდით, რომ მოსაუბრე დაგვერწმუნებინა, ვითომ წინა ღამით მან სხვა დანაშაულთაგან ოქროულობის მაღაზიების გაქურდვის ამბავიც მოგვიყვა და ჩვენ, მე და ნოდარის დეტალები აღარ გვახსოვდა და ამიტომ განმეორებით მოყოლას ვთხოვდით. დრო და დრო საუბარს ვაწყვეტინებდით და საუბრისას მართლაც მისმიერ ნაამბობ დანაშაულებებში ვურევდით ფაქტებს. მერწმუნეთ მე და ჩემ ძმაცაც ნოდარს ეს ისე კარგად გვქონდა დამუშავებული, რომ საუბრისას ერთმანეთს არც კი ვუყურებდით, ისე ვიცოდით - სად, რა დროს, რომელს რა უნდა გვეთქვა...

...ერთხელ, მახსოვს, გვიან ღამით სამმართველოს ეზოში ჩავედი, სადაც ნოდარი იქ მყოფთ რაღაც არ არსებულ, სახელდახელოდ შეთხზულ ამბავს მხატვრული გაფორმებით უყვებოდა, რის შესახებაც მე, რა საკვირველია, არაფერი ვიცოდი, ან საიდან უნდა მცოდნოდა მის მიერ სახელდახელოდ მოგონილი ამბავი. ჩემს დანახვაზე ნოდარმა წამოიძახა: - აი, რეზოს ვკითხოთ თუ გინდათო და მე მომიბრუნდა - აბა, გააგმელო. მეც, თითქოს იქ ვყოფილიყავი, ისეთი სიზუსტით გავაგრძელე მისი მოგონილი „ზღაპრის“ შინაარსის დაბოლოება, რომ იქ მყოფთა განცვიფრებას საზღვარი არ ჰქონდა. მოკლედ, ერთმანეთს თვალებით ვუგებდით რაც ძალიან გვეხმარებოდა ხოლმე უჭკვიანეს ბოროტმოქმედთა გამოტეხვაში. ასეთი რამ არც ისე იშვიათად ხდებოდა და არც თუ ისე ადვილი იყო.

...ხანგრძლივი საუბრით, გამოთავყვანებული, უძინარი, მშვიერი „აპასნი“ ალაპარაკდა და მთავარ მოქმედი პირებიც უხალისოდ დაგვისახელა.

დერეფანში გამოვედი, რომან გვენცაძის კაბინეტისაკენ სირბილით გავემართეთ. იგი დერეფანში იდგა და, რომ დამინახა, მიხვდა, რომ შედეგი მიღწეული იყო, ჩემს მოხსენებას აღარ დაელოდა, ამხელა კაცი ისე შეხტა ადგილიდან, ხელი ჭერს მიატყა და დაიძახა: - არის ხომ, არისო! - და გადამკოცნა.

5 წუთში გენერალმა გივი კვანტალიანიმა განგაში, „სირენა“ გამოაცხადა და სასწრაფოდ მოსკოვში დარეკა.

შეიქმნა საგანგებო ოპერატიული ჯგუფი. მე პოლკოვნიკ გაბელიას ჯგუფში მოვხვდი ჩვენს ჯგუფს ბანდის მეთაურის, დიდუბეში მცხოვრები „კანონიერი ქურდის“, ვინმე „შურიკას“ დაპატიმრება დაევალა.

ბინაში მოტყუებით შევალწიე და სასწრაფოდ ექვმიტანილის საძინებელს მივაშურე. ექვმიტანილი ლოგინში იწვა, ჩემს დანახვაზე ბალიშში შეაცურა ხელი და იარაღის აღება სცადა, მაგრამ სწრაფი მოხერხებული მოქმედებით იგი განვაირადე, და ხელბორკილები ჩამოვაცვი. საბრძოლო მდგომარეობაში მოყვანილი „ბრაუნინგის“ სისტემის პისტოლეტი კი ე.გაბელიას გადავაწოდე. იარაღი იქვე დაილუქა. ექვმიტანილის ბინა კონსტრუქტორის საამქრო გეგონებოდათ, რას არ ნახავდით იქ: პატარა თვითნაკეთ ავტომანქანას, მოტოციკლს თუ წვეწების საწურს და სხვა საოჯახო თვითნაკეთ ხელსაწყოებს.

- გამომგონებელია, - მოგვამახა ექვმიტანილის თანამცხოვრებმა ქალბატონმა, - ჰო, ჰო, უჭკვიანესი ბიჭია, რა გინდათ ჩვენგან, რა დააშავა, ნახეთ რა კარგ რამეებს იგონებს.
- სეიფების გახსნასაც ადვილად შეძლებს მეთქი, გავიფიქრე და ოქმის წერას შევუდექი. ცოტა ხანში ექვმიტანილი დავაკავეთ და მალე მასთან ერთად სამმართველოში გივი კვანტალიანის მისაღებში მივიყვანეთ. უნდა გენახათ იქ უკვე მისულ უსაქმური „ბზ“-ის „ოპერმუშაკების“ აქტიურობა.

კვანტალიანის კაბინეტში ექვმიტანილი რვა კაცმა შეიყვანა. რამდენიმე წუთის გასაუბრების შემდეგ კვანტალიანი ექვმიტანილს „გამოტეხა“ მის მოადგილეს დ. მიქაძეს დაავალა, თვითონ კი ტელეფონს მიუჯდა და რესპუბლიკის სხვადასხვა ხელმძღვანელთან დაკავშირებას შეუდგა. ექვმიტანილს ჯერ არ ჰქონდა აღიარებული დანაშაული მაგრამ ხომ მოგეხსენებათ ამხელა უწყების ახალბედა ხელმძღვანელის ემოციებისა და არაკომპეტენტური გადაწყვეტილებების ნაჩქარევად მიღების ამბავი.

მიქაძეს კაბინეტში რომან გვენცაძეც შეჰყვა და იქ ექვმიტანილმა იმის გარანტია მოითხოვა, რომ მას არ დახვრეტდნენ (იმ პერიოდში ასეთი მძიმე დანაშაული სიკვდილით ისჯებოდა) და ბევრიც დაუხვრეტიათ კიდევ. გვენცაძისაგან გარანტიის მიღებისთანავე ექვმიტანილი ალაპარაკდა და მოყვა, რომ მან მის თანამონაწილესთან ერთად დაგეგმა და განახორციელა ეს ქურდობები, ხოლო იარაღი და ხელსაწყოები ერთ-ერთი თანამონაწილის ბიძის ქარხანაში დაამზადებინა, დიახ, სწორედ იქ, სადაც ჩვენ უწესრიგო ორ თანამშრომელს მისვლა დაეზარა და ურცხვად იცრუეს: იმ ობიექტზე სამჭედლო არ ფუნქციონირებსო. ეს რომ არ მომხდარიყო, უმძიმესი დანაშაული, შეიძლებოდა, უფრო ადრე გაგვეხსნა.

- ძალაყინები დავამზადებინე, დომკრატი კი ტრამვაი-ტროლეიბუსების პარკში მოვიპარე, გასაღები მე თვითონ, ჩემი უბნელის - ჯამბულატის დანხარებით დავამზადე, მერე დავგეგმე და მარტომ შევასრულე, - ტრაბახობდა საუკუნის ერთ-ერთი გახმაურებული დანაშაულის ორგანიზატორ-შემსრულებელი.

როგორც შემდგომ გაირკვა, მან, მართლაც მარტომ გატეხა ორივე მაღაზია, რომ თანამონაწილეთათვის ოქროს იმდენი რაოდენობა დაესახელებინა, რამდენიც თვითონ აძლევდა ხელს.

როდესაც მაღაზიების გაქურდვის გეგმას ადგენდა, თურმე გადაწყვიტა, რომ გვიან ღამით ჩაედინა დანაშაული და დილით ქუჩაში გამოსულიყო. ობიექტთან მისვლისას იგი სანთებელას უკაკუნებდა სიგნალიზაციის ღილაკს, რითაც განგაშს იწვევდა, შემდგომ იქვე ახლომახლო

იმალეობდა და იქიდან ადევნებდა თვალყურს განგაშის ხმაზე მოსულ დაცვის მილიციის მუშაკებს. ამას იმეორებდა რამდენჯერმე და როდესაც დარწმუნდებოდა, რომ დაცვის მუშაკები ჩათვლიდნენ, სიგნალიზაცია მწყობრიდან არის გამოსულიო და პულტიდან გათიშავდნენ, სწორედ მაშინ იწყებდა იგი მაღაზიის იატაკის ამომტვრევას.

მაღაზიის სალონში შეღწევისას სეიფს ამტვრევდა ან აღებდა, ოქროულს დიდი კედლის საათის ყუთებში აწყობდა და მოსახერხებელ დროს ჯერ ფეხით, ხოლო შემდგომ მეტროთი უჩინარდებოდა. მას გზაში მილიციის მუშაკებიც გადაყრიან, მაგრამ ამ უკანასკნელთ აზრადაც არ მოსვლიათ სპორტულ ტანსაცმელში გამოწყობილი ახალგაზრდის შემოწმება, არც კედლის საათის ყუთებზე მიუქცევით ყურადღება.

ნაქურდალი ოქრო თბილისში ათარბეგოვის ქუჩაზე წინასწარ ნაქირავებ ნახევარსარდაფის ტიპის ბინაში მიჰქონდა და იქ უვარგისი სავარძლის საზურგეში მალავდა, ისე რომ აზრადაც კი არ მოუვიდოდა ვინმეს, რომ „მშიერი სტუდენტის“ დაგლეჯილ სავარძელში 25 კგ-დე ოქრო ინახებოდა.

...ექვმიტანილის დაპატიმრებისას გაირკვა, რომ ნაქურდალის ნაწილი - 600 გრამი ოქროს გაყიდვა მას უკვე მოუხწრია, სომხეთის ქ. აზოვიანში მცხოვრებ, ვინმე აკოფოვისათვის.

ქ. აზოვიანში, რომან გვენცაძე, გამომძიებელი ენუქიძე და მე გავემგზავრეთ. აკოპოვების ოჯახი მრავალრიცხოვანი და სტუმართმოყვარე აღმოჩნდა.

ექვმიტანილ ოქრომჭედელთან საუბრისას უფრო და უფრო ვრწმუნდებით, რომ ჩვენს წინაშე იყო ბუნებით პატიოსანი, მაგრამ ცოტა ხარბი, ხელის ადვილად მოთბობის მოტრფიალე ადამიანი.

საუბარში რ. გვენცაძემ მისთვის ჩვეული დიდსულოვნებით გამომძიებელს ქართულად მიმართა თხოვნით:

– თუ ოქროს გამოგვიჩენს, იქნებ ნებაყოფლობით ჩაბარება გავუფორმოთ და პასუხისმგებლობას ავარიდოთო. გამომძიებელმა უსიტყვოდ თანხმობის გამომხატავი ჟესტით დაუკრა თავი და მე და გვენცაძემ ერთმანეთს კმაყოფილებით გადავხედეთ, ხოლო ექვმიტანილთან განმარტებითი საუბარი დუეტში განვაგრძეთ. გვსურდა, რომ აკოპოვს არაფერი დაემალა, ნაქურდალი უკლებლივ წარმოედგინა. ერთი სიტყვით გვინდოდა ყოველმხრივ დავხმარებოდით. ამას განაპირობებდა ისიც, რომ მისი ოთხი მცირეწლოვანი შვილი დიდრონი შავი თვალებით შემოგვცქეროდნენ, თითქოსდა შველას გვთხოვდნენ. თანაც რამდენსამე დღეში ახალი წელი დგებოდა და არ გვინდოდა რომ ეს ზეიმი ჩვენს მოძმეთ ჩაშხამებოდათ, მით უფრო აკოპოვისთვის დახმარების შესაძლებლობას კანონიც გვაძლევდა.

მაგრამ მოხდა ჩვენთვის, მოულოდნელი ამბავი, აკოფოვმა ოქრო გადამდნარი სახით წარმოგვიდგინა, რომელიც ძველ წინდაში გახვეული ბინის სხვენზე ინახებოდა. კანონი კი ბინაში ოქროს ნივთების კუსტარულად დამზადებას მკაცრად სჯიდა. ძალიან შევწუხდით, აკოპოვს რომ ვერ ვეხმარებოდით, მაგრამ კანონის წინაშე უძლურნი ვიყავით. აკოპოვი დაპატიმრებას ვერ ასცდა. ოქროს წონამ კი გადადნობის შედეგად საგრძნობლად იკლო.

საქმის ირგვლივ გაწეული მუშაობის შედეგად კიდევ რამდენიმე მძიმე, განსაკუთრებით საშიში დანაშაული გავხსენით, რაზედაც ჩვენ – რიგითმა მუშაკებმა ხელმძღვანელობის სიტყვიერი მადლობები დავიმსახურეთ, მათ კი, მგონი ორდენები დაინაწილეს. ეს არ ვიცი და არც არის საინტერესო, მთავარი იყო ის, რომ ჩვენი ტიტანური შრომის შედეგად ქვეყანას 20

კოლოგრამამდე ოქრო დავუბრუნეთ. ამით ბედნიერები ვიყავით და, მერწმუნეთ, სხვა არა გვინდოდა რა! მე და ნოდარს უფრო რომანის გვერდით ყოფნა და მასთან ერთად მუშაობის სურვილი გვამოძრავებდა მხოლოდ, ამიტომაც მის, ხშირად ძნელად შესასრულებელ დავალებებს ვასრულებდით და ახლის მიღებას მოუთმენლად ველოდით, აღარც ოჯახი და აღარც საკუთარი თავი გვახსოვდა ხოლმე. „ბბ“-ში მომუშავე „ჩეკისტები“ კი მიზანმიმართულად მიიწევდნენ მაღლა, იერარქიული კიბის საფეხურებზე და მომავლისათვის სიმდიდრის დაგროვებაზე ფიქრობდნენ მხოლოდ, რაც კარგად მოახერხეს კიდეც. ჩვენ კი ათასგვარ, შურით გამოწვეულ ჭორებს გვივრცელებდნენ და ჩუმად, ზურგს უკან ძირს გვითხრიდნენ, რაც ძალზე ცუდ გავლენას ახდენდა ხოლმე ჩვენს მომავალ კარიერაზე. ჩვენ კი, მაინც თავგანწირვით ვაგრძელებდით არჩეულ, ზოგჯერ უმადურ, დაუფასებელ სამსახურს. და მაინც ამაყად ვებრძოდით ბოროტებას.

რედაქტორისაგან

რამდენიმე ხნის წინ შინაგან საქმეთა ორგანოების დამსახურებული მუშაკი, პოლიციის თადარიგის პოლკოვნიკი **რევაზ ჭანტურია** დამიკავშირდა და შეხვედრა მთხოვა. დათქმულ დროს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში შევხვდით. დიდი ხნის უნახავებმა ერთმანეთი მოვიკითხეთ, გავიხსენეთ წარსული, შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში საქმიანობა, პოლიციის გენერალ-მაიორები: **გივი კვანტალიანი, დავით სალარიძე, რომან გვენცაძე, დემურ მიქაძე, თემურ მურდულია**; პოლიციის პოლკოვნიკები: **ალეკო მიქაბერიძე, ნოდარ ლავრენტაშვილი, აჩიკო არველაძე** და სხვები. ასევე ვისაუბრეთ ცნობილ პარტიულ და კომკავშირულ მუშაკზე **ვასილ კადენეცზე**. როგორც ოპერატიულ მუშაკებს ახასიათებთ შეხვედრის ნამდვილი მიზანი ბოლოს გამანდო და მითხრა, რომ იგი პოლიციაში ოპერატიულ საქმიანობასთან ერთად ნოველების წერით ყოფილა გატაცებული და რამდენიმე მოთხრობა გადმომცა წასაკითხად.

მისმა მოთხრობებმა გამაკვირვა, როგორ შეძლო აქტიურმა ოპერატიულმა მუშაკმა, მძიმე სამსახურეობრივ საქმიანობასთან ერთად შეექმნა შინაარსობრივად საინტერესო და ლიტერატურულად გამართული მოთხრობების კრებული, რომელშიც ძირითადად ასახული იყო მისი წინააღმდეგობებით აღსავსე განვლილი ცხოვრების სხვადასხვა ეტაპები, მათ შორის შინაგან საქმეთა ორგანოებში საქმიანობის დადებითი თუ პრობლემური მხარეები.

აღნიშნულის შესახებ, ჩვენ საერთო მეგობრებს **თემურ მურდულიასა და ალეკო მიქაბერიძეს** ვესაუბრე, რომლებმაც დამიდასტურეს ბატონი რეზოს შემოქმედებითი გატაცების ნამდვილობა. რამდენიმე ხნის შემდეგ კი ისევ შევხვდი მას. გავუზიარე ჩემი შთაბეჭდილებები, მან კი მთხოვა დაკვალიანება ამ მოთხრობების გამოცემაში. მოკლე ხანში, **რევაზ ჭანტურია** მოულოდნელად გარდაიცვალა. სამწუხაროდ სიცოცხლეში მისი სურვილის ასრულება ვერ მოხერხდა. მისი ხსოვნის უკვდავსაყოფად, ვაქვეყნებთ მოთხრობიდან „**ქარტახილები**“ ნაწყვეტს - „**ქურდობა ოქროულობის მაღაზიებიდან**“. ვიმედოვნებ საზოგადოება სულ სხვა ამპლუაში გაიცნობს ბატონ **რევაზ ჭანტურიას** და დაინტერესდება მისი შემოქმედებით.


მალხაზ ბამაღლა

პროფესორი

ახალი წიგნი

პროფესორ ეკა ბესელიას წიგნი

„ძალადობის მსხვერპლთა უფლებების დაცვის პრობლემა საქართველოში“



სამართლის დოქტორის, პროფესორ ეკა ბესელიას წიგნი „ძალადობის მსხვერპლთა უფლებების დაცვის პრობლემა საქართველოში“ ეძღვნება ერთ-ერთ აქტუალურ თემას და რთულად გადასაწყვეტ ამოცანას თანამედროვე მსოფლიოში (მათ შორის, საქართველოში). სახელმწიფო სამართალდამცავი სტრუქტურების მხრიდან მოქალაქეების მიმართ ძალადობისა და არადამიანური მოპყრობის მასობრივმა და სისტემურმა გამოვლინებამ ფართო გამოხმაურება პოვა ქართულ მასმედიაში და სამოქალაქო საზოგადოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მკაცრი კრიტიკის ობიექტად იქცა. ამან მნიშვნელოვანწილად შეუწყო ხელი მაშინდელი მმართველი პარტიის – „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დამარცხებას არჩევნებში და ხელისუფლებაში კოალიცია „ქართული ოცნების“ მოსვლას.

ახალმა ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა სამართალდამცავ სისტემაში სიტუაციის კარდინალურად შეცვლის, წამებასა და სხვა სახის სასტიკ, არადამიანურ მოპყრობაში ზრალდებულების დასჯისა და წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციისათვის, თუმცა, დღემდე არსებობს ორგანიზაციული, ეკონომიკური და საკანონმდებლო ხასიათის პრობლემები, რომლებიც ხელს უშლის წამებისა და არადამიანური მოპყრობის შედეგების სრულად აღმოფხვრას ქართულ საზოგადოებაში.

მონოგრაფიის ავტორმა, პროფესორმა ეკა ბესელიამ, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში ჯერ ადვოკატად, შემდეგ კი პარლამენტის ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარედ მუშაობდა მნიშვნელოვანი პრაქტიკული გამოცდილება შეიძინა და უამრავი მასალა დააგროვა, რაც შემდგომში საფუძვლად დაუდო სადისერტაციო კვლევას და არაერთ საკანონმდებლო ინიციატივას.

მონოგრაფია მომზადებულია სადოქტორო დისერტაციის მასალების საფუძველზე. ეკა ბესელიამ ხარისხი 2015 წელს დაიცვა გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში. წინამდებარე ნაშრომი გამოირჩევა აკადემიურობითა და თეორიული და ემპირიული მონაცემების გონივრული შერწყმით. შეიცავს რეკომენდაციების გრძელ ჩამონათვალს, რომელიც წარედგინა საქართველოს პარლამენტს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამის მუხლებში ცვლილებებისა და დამატებების შესატანად. მონოგრაფია მეთოდოლოგიურად აგებულია სისტემურობის, ისტორიზმის და სხვა პრინციპებზე.

ავტორმა სერიოზული სოციოლოგიური კვლევა ჩაატარა საზოგადოებრივი აზრის შესასწავლად წამების პრობლემის შესახებ. გამოიკითხნენ, ასევე, თავისუფლების აღკვეთის ადგილებში 2012 წლამდე პერიოდში წამებას დაქვემდებარებული პირები. მიღებული შედეგები სერიოზული ბაზა აღმოჩნდა წამების მსხვერპლისა და დამნაშავეს ურთიერთქმედების კონცეპტუალური დებულებების შესამუშავებლად, მოცემული სახეობის დანაშაულის პროგნოზირებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების დასაგეგმად.

მონოგრაფიაში ფორმულირებულია და თეორიულად დასაბუთებულია ახლებური მიდგომა წამებისა და სხვა სახის სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის გამო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხებისადმი. კერძოდ, ავტორი მიიჩნევს, რომ უარი უნდა ითქვას წამების, როგორც „ზოგადი სუბიექტის“ ფართო საკანონმდებლო გაგებაზე და გვთავაზობს მის ჩანაცვლებას „სპეციალური სუბიექტით“, რომელიც შეიძლება იყოს მხოლოდ თანამდებობის პირი და ხელისუფლების წარმომადგენელი. ამგვარი მიდგომა, ერთი მხრივ, ხელს შეუწყობს ქართული კანონმდებლობის ჰარმონიზაციას წამების წინააღმდეგ გაერთიანებული ერების კონვენციასთან, რომელშიც პირდაპირაა მითითებული წამების სუბიექტის სპეციალურ სტატუსზე, მეორე მხრივ კი, ამარტივებს გამოძიების პროცესულურ საკითხებს და გამორიცხავს შეცდომას მოცემული დანაშაულის კვალიფიკაციისას.

ნაშრომი შეიცავს ბიბლიოგრაფიული წყაროების ვრცელ ჩამონათვალს ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე.

პროფესორ ეკა ბესელიას მონოგრაფია, პირველ რიგში, განკუთვნილია იურისტების, სამართალ-მცოდნეობის დარგის მეცნიერებისა და პრაქტიკოსებისათვის. ის შეიძლება გამოყენებული იქნეს, როგორც დამხმარე სახელმძღვანელო მაგისტრანტების, დოქტორანტებისა და წამებისა და სხვა სახის სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის პრობლემით დაინტერესებული პირებისთვის.

ვუსურვებთ ქალბატონ ეკას წარმატებებს სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობაში, ახალ საინტერესო პუბლიკაციებს, რომელთა შორის უდავოდ ერთ-ერთი მნიშვნელოვან ადგილს წინამდებარე მონოგრაფია დაიკავებს.

გიორგი ღლონტი

წიგნის რედაქტორი, პროფესორი

მილოცვები

„ცხოვრების გაკვეთილი“ – ელგუჯა ბადრიძე 80 წლისაა



პროფესორ მალხაზ ბაძაღუას საოჯახო არქივში ინახება 1972 წლის 26 მაისის გაზეთი „კომუნისტი“, რომლის ფურცლებზეც პროკურატურის 50 წლისთავთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ საიუბილეო წერილებში არის სათაურით „ცხოვრების გაკვეთილი“ ჟურნალისტ მ.ირემამის წერილი, რომელიც ეძღვნება მის სიძეს, პროკურორ ელგუჯა ბადრიძეს.

„ჯერ სამი წელიც არ არის, რაც ელგუჯა ბადრიძემ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი დაამთავრა და რესპუბლიკის პროკურატურის საერთო ზედამხედველობის განყოფილების პროკურორად დაიწყო მუშაობა. ამ მოკლე ხნის განმავლობაში მან უკვე ყურადღება მიიქცია, როგორც სერიოზულმა, დაკვირვებულმა იურისტმა, რომელსაც უყვარს თავისი საქმე და უნარიც შესწევს ისე აკეთოს, რომ წუნს ვერაფერში დასდებ.“

სწორედ საქმისადმი, თავისი მომავალი პროფესიისადმი ამ სიყვარულმა მიიყვანა იგი პროკურატურის ორგანოებში სამუშაოდ. იგი არ ეკუთვნის იმ ახალგაზრდების რიცხვს, რომლებიც ალაღბედზე ირჩევენ პროფესიას. ოღონდ კი უმაღლეს სასწავლებელში მოხვდნენ და არ დაგიდევენ, სად ისწავლონ და რა სპეციალობას მიიღებენ. საშუალო სკოლა რომ დაამთავრა ელგუჯა, მაშინვე უმაღლესი სასწავლებლის კარებს არ მისდგომია. საწარმოს მიაშურა, თბილისის საავიაციო კომბინანტში მწნებავად დაიწყო მუშაობა. ერთი წელიც არ იყო გასული, რომ ამ ენერგიულ და ინიციატივიან ჭაბუკს ბრიგადის ხელმძღვანელობა დააკისრეს. მალე მისმა ბრიგადამ საქვეყნოდ გაითქვა სახელი. საქართველოს სსრ ქალაქისა და ხე-ტყის მრეწველობის სამინისტროს საწარმოებში ეს პირველი ბრიგადაა, რომელსაც კომუნისტური შრომის ბრიგადის სახელი მიეკუთვნა. ეს მოხდა 1960 წელს. იმავე წელს ელგუჯა ბადრიძე სკკპ რიგებში მიიღეს. როგორც მოწინავე კომუნისტი არჩეულ იქნა პარტიის XXI, XXII და XXIII ყრილობათა დელეგატად, ხოლო 1961 წელს სკკპ XXII ყრილობის დელეგატიც იყო.

საწარმოში, სადაც ის წლობით მუშაობდა, არ ჩატარებულა ცოტათ თუ ბევრად მნიშვნელოვანი ღონისძიება, არ ყოფილა საზოგადოებრივი საქმე, რომელშიც მას მონაწილეობა არ მიეღოს.

ელგუჯა ბადრიძის თავდადებული შრომის დაფასებისა და აღიარების კიდევ ერთი დადასტურება იყო ის მაღალი ნდობა, რომელიც მას ხალხმა გამოუცხადა და 1967 წელს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად აირჩია. ამას დაემატა მთავრობის უმაღლესი ჯილდო – ლენინის ორდენი, რომელიც მან სწორედ იმ ხანებში მიიღო.

შრომას, საზოგადოებრივ საქმიანობას ერთი დღეც არ მოსწყვეტია, ისე დაამთავრა უმაღლესი სასწავლებელი.

ასეთი იყო ელგუჯა ბადრიძე, როცა ის 32 წლის ასაკში იურიდიული განათლებით აღჭურვილი, შრომაში გამობრძმედილი, ცხოვრებაში ღრმად ჩახედული პროკურატურაში სამუშაოდ მოვიდა. მოვიდა და ისეთი რწმენითა და დაჯერებით მოჰკიდა ხელი საქმეს, როგორც გამოცდილმა იურისტმა, და მალე თავიც გამოიჩინა საქმის ცოდნითა და მოვლენებში ღრმად ჩაწვდომის უნარით. ვინც ელგუჯა ბადრიძეს ადრევე იცნობდა, ეს არც გაჰკვირვებია. მას ხომ ჯერაც

ახალგაზრდას, დიდი ცხოვრებისეული გამოცდილება აქვს. ცხოვრება კი ყველაზე დიდი მასწავლებელია“.

ელგუჯა ბადრიძე სწავლასა და შრომით საქმიანობას წარმატებით უთავსებდა სპორტს. იგი წლების მანძილზე საქართველოს და ყოფილი საბჭოთა კავშირის არაერთგზის ჩემპიონი გახლდათ კლასიკურ ჭიდაობაში.

მას შემდეგ გავიდა წლები... ელგუჯა ბადრიძემ 35 წელზე მეტი იმსახურა რესპუბლიკის პროკურატურის ორგანოებში, განვლო რთული და საინტერესო, მომავალი თაობისათვის სამაგალითო გზა. წლების მანძილზე მსახურობდა საქართველოს გენერალურ პროკურატურაში, გორის რაიონის პროკურორად, დუშეთის რაიონის პროკურორად, ქალაქ თბილისის პროკურატურაში სადაც მისი ხელმძღვანელობით არაერთ მნიშვნელოვან და რეზონანსულ საქმეს მოფენია ნათელი. არჩეული იყო რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს, თბილისის საქალაქო, გორისა და დუშეთის რაიონული საბჭოს დეპუტატად. მისი მუშაობა ღირსეულად იქნა შეფასებული სხვადასხვა სახელმწიფო ჯილდოებით, მინიჭებული აქვს ყოფილი საბჭოთა კავშირის პროკურატურის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდება.

დღეს ის ჩვეული შემართებით ემსახურება სამშობლოს, როგორც ოჯახის მამა და ბაბუა (პაპა) შთამომავლების ღირსეული აღზრდითა და დარიგებით.

დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრი და ჟურნალ „კრიმინოლოგის“ სარედაქციო კოლეგია გულითადად ულოცავს:

დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრის წევრს, პროკურატურის დამსახურებულ მუშაკს, არაერთი სახელმწიფო ჯილდოს კავალერს, იუსტიციის უფროს მრჩეველს **ელგუჯა ბადრიძეს** დაბადებიდან 80 წლის იუბილეს, უსურვებს ჯანმრთელობას, წარმატებებს და კეთილდღეობას!

სარედაქციო კოლეგია

„შეუშლელი კ ა ც ი!!!“ – დავით სალარიძე 70



დღეს ჩვენ სამეგობროში ლამაზი დღეა: დავით სალარიძეს 70 წელი შეუსრულდა.

დარწმუნებული ვარ, ბევრს, ძალიან ბევრ კარგ ადამიანს გაუხარდება ეს ამბავი, რამეთუ დათო სალარიძე სიკეთით სავსე კაცია და მის სახელთან დაკავშირებული იყო და არის უამრავი კეთილი საქმე. მათ შორის სახელმწიფოც და პიროვნულიც!

დავითი ცნობილ ოჯახში გაზრდილი და ჩამოყალიბებული პიროვნებაა. დედისგან - ქალბატონ

თინასგან ჩანერგილ ზნეკეთილობას პირადი მაგალითით აღვივებდა მამამისი - ვახტანგ სალარიძე, საქართველოს სახალხო არტისტი, ათეული წლები რომ იყო ვარსკვლავი მუსიკალური კომედიის თეატრისა. თუ მოიძებნება ბატონი ვახტანგის ტელეინტერვიუ, თავის დროზე თამაზ ტყემალაძემ რომ ჩამოართვა „პირველი არხისთვის“, ახალი თაობა დარწმუნდება, როგორი უნდა იყოს ინტელიგენტობის და ვაჟკაცობის ნაზავი, უნიჭიერესი და პიროვნული ღირსებებით შემკული ქართველი რაინდი.

კვიცი გვარზე ხტის!

სცენზე მაინც მოუწია შვილს გამოჩენა, ოღონდ არა ხელოვნების, არამედ საზოგადოებრივ-პოლიტიკური სცენის წამყვან როლებში „სათამაშოდ“.

და შვილმა აქ მართლა მიაღწია იმას, რაც პირადად ჩემში, დღემდე იწვევს უაღრესად სასიამოვნო გაკვირვების პარალელურად, უბრალო, ადამიანურ აღტაცებას. და ვინმეს ეს შეფასება რომ არ გაუკვირდეს, აქვე ავხსნი: საბოლოო ჯამში გასაოცრად განსხვავებული მოღვაწეობის მრავალმხრივობა და ადეკვატური კომპეტენცია, პლუს უმაღლესი ადამიანური თვისებების შენარჩუნება და ამ მხრივ არცერთი უკანდახეული ნაბიჯი!

შეადარეთ განვლილი გზა და თავად განსაჯეთ, რამდენადაა შესაბამისი საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის განსაკუთრებით თბილი დამოკიდებულება იმ „მოხელის“ მიმართ, რომლის ბიოგრაფიაშიც ამოიკითხავთ:

- „ქალაქის პოლიციის უფროსი, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, პოლიციის გენერალი და...
- სახელმწიფოს მეთაურის თანაშემწე ეროვნული უშიშროების დარგში და ძალოვანი სტრუქტურების კოორდინატორი...
- საგადასახადო სამსახურის უფროსი, ფინანსთა მინისტრის მოადგილე და...
- საქართველოს პარლამენტის დარგობრივი კომიტეტის თავმჯდომარე და...

დიახ, თავისი თაობის, მამების პლეადის მოღვაწეების, ხელქვეითების უთბილესი, გულწრფელი პატივისცემით სარგებლობდა სახელმწიფო სტრუქტურების უაღრესად პრინციპული ხელმძღვანელი, სახელმწიფო ინტერესების უკომპრომისო დამცველი, კანონის ძალით და მისი ადეკვატური მეთოდებით, ხმალამოწვდილი რომ ებრძოდა დანაშაულს (და არა „დამნაშავეებს“, ანუ

ადამიანებს), სახელმწიფოს სასარგებლოდ რომ „ამოქაჩავდა“ (ანუ, წართმევდა) და ავსებდა ლატაკ ბიუჯეტს ყველაზე „გაჭირვებულ“ წლებში და...

დიახ, სალარიძის გუნდის მოქნილი, კომპეტენტური, დროის მოთხოვნებისა და ვითარების ადამიანური გაგებით სავსე საქმიანობა „აცოცხლებდა“ ისედაც მიზეზული ხელფასების მქონე რიგით მოხელეებს, ექიმებს, მასწავლებლებს და კიდევ უფრო უარეს დღეში მყოფ პენსიონერებს. და ეს იყო ცნობილი „ზევითაც“ და „ქვევითაც“. და როგორც ყოველთვის, ზემოთაც და ქვემოთაც მრავლად ყავდა მოყვარულიც და მოშურნე, დამფასებელიც და გამკვირავიც... ეს კლასიკა!

სწორედ ეს მოსაზრება იყო გადამწყვეტი ედუარდ შევარდნაძისთვის, როცა იგი რეკომენდაციას უწევდა დათო სალარიძეს საქართველოს სახალხო დამცველის პოსტზე.

ბევრს გაუკვირდა მაშინ ეს „სალტო-მორტალე“ და არც დაუფარავს ეჭვი იმის შესახებ თუ რამდენად შესაძლებელი იყო პოლიციის გენერლის და „გადასახადების უმაგრესი ამკრეფის“ ადამიანთა უფლებების დამცველად „გარდაქმნა“. შევარდნაძეს სჩვეოდა ასეთი „ორიგი-ნალური“ ნაბიჯები და, რაც დრო გადის, მით უფრო ვრწმუნდები ამ კონკრეტულ შემთხვევაში მისი გათვლის სისწორეში, რამეთუ სახალხო დამცველობა ჩვენში სრულიად ახალი ხილი იყო და პირველად გზის გამკვალავად, ანუ მოქალაქის უფლებების ყველაზე მთავარ დამრღვევებთან - ძალოვან და სასამართლო სტრუქტურებთან „ყალყზე დადგომას“ სუსტი, არაკომპეტენტური, მხდალი პერსონა ვერ შეძლებდა და ამისთვის საჭირო იყო სწორედ ისეთი მეზრდოლი, გონიერი ადამიანი, რომელმაც არა მარტო იცოდა „მუნჯის ენა“, არამედ მოყვლეყვლავე და ყოყლოჩინა ტიპაჟს საკუთარ ადგილს მიუჩენდა.

მიუჩინა კიდევ და ჩაუყარა საფუძველი ამ ინსტიტუტის ანგარიშგასაწევ ავტორიტეტს. და თუ ვინმეს ახლა პრეტენზია აქვს უჩა ნანუაშვილისადმი, ამაში სალარიძეს ბრალი ნამდვილად არ მიუძღვის.

ეს ხუმრობით, მაგრამ სერიოზულად ისიც გასახსენებელია, რომ სახალხო დამცველის ინსტიტუტს ფუნქციონირებისთვის პირველივე ნაბიჯებიდან სჭირდებოდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და, სწორედ სალარიძეს უნდა უმადლოდნენ მისი ამ პოსტზე მემკვიდრენი იმ „კომფორტს“, რომელიც მათ მაჩაბლის ქუჩაზე დახვდათ, ბერიასა და კომკავშირის ყოფილ სასახლეში და რომლის გამოხსნაც მწერალთა კავშირის თავკაცის თამაზ წიგწივამის „კლანჭებიდან“ არც ისე ადვილი გახლდათ.

რადამც პირველ გზამკვლევის და „შენობის“ თემა ამოგვივარდა, ისიც გასახსენებელია, რომ ახლა არსებული საგადასახადო სისტემაც პირველად დათო სალარიძის თავკაცობით ჩამოყალიბდა და მისი მაშინდელ „შენობებში“ განთავსებაც დათოს „სინდისზე“ იყო, რამეთუ დედაქალაქს და რეგიონებს მასზე უკეთ, ალბათ, ცოტა ვინმე იცნობდა...

კი გამიგრძელდა სიტყვა, მაგრამ 70-წლიანი იუბილე არ არის სახუმარო საქმე და მეპატიება. მით უმეტეს, ორი უნიკალური შემთხვევა უნდა გავიხსენო, რომლის მსგავსი ზოგს ალბათ არც გაუგონია, ზოგისთვის კი იშვიათ გამონაკლისად რჩება:

არეული წლებია. ჯერ „პუტჩი“... სამოქალაქო ომი. უაღრესად დაპირისპირებული ვითარება... ძმათა სისხლი იღვრება... კანონიერი პრეზიდენტის მომხრეები პრაქტიკულად დასავლეთ საქართველოს აკონტროლებენ... ამ დროს სახელმწიფოს მეთაურის თანაშემწე ეროვნული უშიშროების საკითხებში რას უნდა აკეთებდეს, გარდა იმისა, რომ ცდილობს ამ უბედურებების თავიდან აცილებას და ამისთვის ერთადერთ გზად მოლაპარაკებები მიაჩნია. ასეც არის.

და ერთ მშვენიერ დღეს მას და მის რამდენიმე კოლეგას „აჯანყებულნი“ ატყვევებენ, მძევლად იტოვებენ და... არ მინდა დეტალებზე საუბარი, ამ ტყვეობამ კარგა ხანს გასტანა. ასე იყო თუ ისე, დამთავრდა და... გავიდა ხანი, იმ ოჯახს, რომელშიც ტყვე დათო სალარიძეს მალავდნენ, პრობლემები შეექმნა. და მას გამოუჩნდა ერთადერთი მფარველი... ტყვედნამყოფი დათო სალარიძე. ეს მფარველობა „ყველაფერს“ გულისხმობდა და... ახლაც გრძელდება.

და ერთიც: როცა ციხეში აღმოჩნდა ლოთი ქობალია, რომლის განკარგულებითაც (ალბათ) დაატყვევეს სალარიძე და მისი კოლეგები, ძალიან გაუჭირდა მის ოჯახს და... როგორ გგონიათ, ლოთიმ დახმარებისთვის მიმართა ვის?... გონიერებო, სწორად მიხვდით: კი, დათო სალარიძეს და... არც შემცდარა.

დეტალები სხვა დროს. აქ კომენტარები უადგილოა. ისევე, როგორც იმის შესახებ, თუ რა ზნეობრივი და ღირსეული პასუხი გასცა ერთ „ყოფილ ბოსს“, უსამართლოსა და ბოღმა-ჯერარგალეულს იმ არაკაცობისთვის, რომლითაც რამდენიმე წლით „დაამუხრუჭა“ სახელმწიფო აზროვნებითა და ქვეყნის სასიკეთო საქმეებით დატვირთული ახალგაზრდა კაცის ცხოვრება.

ანუ, დასკვნა ერთია: სახელმწიფო სამსახურს, პოლიტიკურ მოღვაწეობას, პრინციპულობას, სახელმწიფო ინტერესების დაცვას, მოქალაქეობრივ პოზიციაზე მუდმივ დგომას, ხელს სულ არ უშლის უბრალო, ჩვეულებრივი ადამიანურობა!

მხოლოდ ერთი პირობით: ეს ადამიანურობა უნდა გაგაჩნდეს! ისევე, როგორც ღირსება!!! ეს ზნეუკეთილობა ოჯახიშვილობიდან მოდის, სინდისი, წესიერება, პასუხისმგებლობის გრძნობა, უანგარო მეგობრობა, უღალატობ, ქვეყნის ერთგულება, პატრიოტიზმი ისეთივე მუდმივი ზნეობრივი კატეგორიებია, როგორიც დედაშვილობა.. მამაშვილობა.. დედამამიშვილობა!!!

როცა ეს თვისებები გაქვს გათავისებული, როცა ღირსეული კაცის ამ პრინციპებით ცხოვრობ, არაფერი(!!!) შეგეშლება (!!!) არც ოჯახთან, არც სამეგობროსთან, არც საქმესთან, არც ქვეყანასთან.

დიახ, არ შეგეშლება! არასოდეს!..

ჰოდა, ამ პრინციპების შემხედვარე, 45-წლოვანი დაკვირვების შედეგად შეუმცდარად მისული ვარ ერთ საბოლოო, ურყევ დასკვნამდე: არაერთ ადამიანთან (მათ შორის ჩემთან) კოლეგი-ალური ურთიერთობიდან დაუფარავ ახლობლობასა და მეგობრობაში გადაზრდილი ურთი-ერთობის სულის შემბერი კაცი, ჩემი უმცროსი ძმა, 70 წლის დათო სალარიძე შეუშლელი კაცია. აბსოლუტურად!

ნუგზარ ფოფხაძე

ცნობილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე,
პროფესორი

პ.ს. დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრი და ჟურნალ „კრიმინოლოგის“ სარედაქციო კოლეგია გულითადად ულოცავს:

ცნობილ სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეს, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ყოფილ პირველ მოადგილეს, საქართველოს პირველ სახალხო დამცველს, არაერთი სახე-ლმწიფო ჯილდოს კავალერს, პოლიციის გენერალ – მაიორს **დავით სალარიძეს** დაბადებიდან 70 წლის იუბილეს, უსურვებს ჯანმრთელობას, წარმატებებს და კეთილდღეობას!

სარედაქციო კოლეგია

„კაცი საქმითა იცნობის“ – ჯემალ გაბელია 65



დღევანდელი დღესავით მახსოვს, უნივერსიტეტი ახალი დამთავრებული მაქვს, გამოცდილება დამწყების, მაგრამ ამბიცია მოჭარბებული კორესპონდენტი ვარ და რედაქციაში სისტემატიურად შემომდის წერილები სამართლებრივ საკითხებზე, დანაშაულის პირუთვნელი შეფასებებით, რომელსაც ხელს (იმ დროისათვის გასაკვირი იყო) აწერს პოლიციის გაყოფილების უფროსის მოადგილე, ვინმე ჯემალ გაბელია! ვხედავდი, რომ ამ კაცს აშკარად არ ეშლებოდა წერა-კითხვა, მაგრამ მიკვირდა ასე თამამად, ასე უშიშრად სააშკარაოზე როგორ გამოქონდა კრიმინალური სამყაროს (და არა მხოლოდ) ბნელი საქმეები. არ დავმალავ, ძალიან მაინტერესებდა ხელფასიან-თანამდებობიანი ჩინოვნიკი ყურადღების მისაქცევად აკეთებდა ამ ყველაფერს თუ მართლა „წერასატანილი“ იყო.

საინტერესო გახლდათ ისიც, რომ პოლიციის ჩინოსანი არც სატელეფონო კონტაქტზე გამოდიოდა, არც რედაქციაში გვწვევია და არც ჩემ მიერ საგულდაგულოდ ჩასწორებული მასალები გაუპროტესტებია!.. მოგვიანებით მივხვდი, რომ მას ყველაფერი გაკითხული ჰქონდა ჩემ შესახებ, ისე არც მე ვიყავი ჯაბანი და მეც დავადგინე, რომ ჯემალ გაბელია ერთსა და იმავე დროს იყო ძალიან პრინციპული ხელმძღვანელი, თანამშრომლების საოცარი ქომაგი და მათი მეხამრიდიც. როცა მავანი ზემდგომი ფუნქციონერი მის სამსახურეობრივ საქმეებში ჩარევას გადაწყვეტდა ის სალი კლდესავით შეუპოვარი ხდებოდა. სწორედ პრინციპულობის გამო, სამსახურიდან დაუმსახურებლად დათხოვნილი საკავშირო შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით დააბრუნეს თავისსავე თანამდებობაზე! ეს მგონი შინაგან საქმეთა სისტემაში ერთადერთი შემთხვევა იყო!

მეხსიერებას შემორჩა ჩვენი გაცნობა. ახალი წელი შემოდიოდა, აფხაზეთიდან თბილისში საქმეზე ჩამოსულმა (წლების შემდგომ) რედაქციაში მოგვინახულა და როგორც გვითხრა, მის ეზოში, მისივე ხელით მოწეული მანდარინი მოგვიკითხა. ცეკას გაზეთის ახლადგამომცხვარმა ჟურნალისტმა არ მივიღე „ძღვენი“. მაშინ ეს საქციელი ალბათ ბევრის თვალში სასაცილოდ გამოჩნდა, მაგრამ მოგვიანებით ყველა მიხვდა რომ ეს ჩვენი, ორივეს ცხოვრების წესი იყო. ამიტომაც გადაიკვეთა ჩვენი გზები, ამიტომაც გავხდით გულით მონათესავენი, ამის მერე ხშირად მოვიკითხავდით ხოლმე ერთმანეთს, ეს იყო თბილი და მეგობრული ურთიერთობა, რომელიც ბოლოს ნათელ-მირონობაში გადავიდა.

მე და ჯემალი სხვადსხვა საკითხებზე ხშირად ვკამათობთ, მისადმი ჩემ განსაკუთრებულ პატივისცემასთან ერთად, ჩემი ნათლიობა მისი უფროსის ქალიშვილის, ჩემი მოსახელის, ჩემი ნანას მიმართ, უმთავრეს როლს თამაშობს ჩემგან გადაწყვეტილების მიღების სისწორეში. დარწმუნებული ვარ, ისიც ასეთივე პასუხისმგებლობით ეკიდება ამ ფაქტს!

არამართო ჩემთვის, ბევრი მაშინდელი ჩემი კოლეგა-მეგობარ-ახლობლისათვის ჯემალისთან ურთიერთობა იყო პატივი და დიდი სკოლა. ერთმანეთთან ჩასაბარებელი გამოცდები ყველამ ჩავაბარეთ, ვინმე რომ არ გამომრჩეს არავის დავასახელებ, რომ გამომრჩეს კიდეც მეპატიება, ვინაიდან მას მერე ოცდაათ წელზე მეტი გავიდა... ის წლები ჩვენთვისაც და ქვეყნისთვისაც ეპოქალური მნიშვნელობის წლები იყო. მემამაყება რომ იმ რთულ პერიოდში გარკვეულწილად

ჩვენც ვქმნიდით საზოგადოებრივ აზრს! შესაძლოა, დღევანდელი გადასახედიდან ბევრი რამის შეცვლა ვერ შეეძლებოდა მიზეზთა გამო, მაგრამ ჩვენ როგორც გვწამდა, როგორც გვჯეროდა და გული როგორც გვკარნახობდა, ისე ვიქცეოდით, სხვაგვარად, ალბათ, არ შეგვეძლო.

რამდენი რამის მოგონება შეიძლება, ცხოვრება ხომ ის არის, რაც გახსოვს, დანარჩენი არსებობაა, მოდით ბარემ ამასაც გავიხსენებ:

აფხაზეთის ომია, ჯემალი ბოლო წუთამდე არ კარგავს იმედს, არ ეთმობა მისი ოდაბადე, მაგრამ... სხვა რა გამოსავალი ჰქონდა შეურიგდა ბედს და ოთხი შვილის მამა იქცა დევნილად! ამბობენ შერიგებამ შეჩვევა იცისო, მაგრამ ის ვერ შეეგუა გაღმა ნაპირზე დარჩენილი მამის საძვალესთან მისვლის უფლება რომ წაართვეს, მამისა, რომელიც მისთვის წესიერების მეტრი იყო. იმას რომ დედა, ბოლო ამოსუნთქვამდე, იმ იმედით რომ მისი მონაგარი მალე დაბრუნდებოდა, სოფელ ოტობაიაში ელოლიავენოდა მათთვის ანდერძად დასატოვებელ ეზო-კარს. სიტყვა ვერ იტევს გადმოვცე ის განცდა, რაც ჯემალმა დედის დაკრძალვის დღეს განიცადა. ენგურის ხიდზე გახევებული იდგა კაცი და შორიდან დასტიროდა დიდებულ ქალბატონს - მოამაგე დედაბოძს!

თანამდებობა და რეგალიები არ სჭირდება იმას, რომ სამშობლოს ღირსეულად ემსახურო! ჯემალ გაბელიამ უკან მოიტოვა ბევრი რეგალია და, რაც მთავარია, დაიმკვიდრა გამორჩეული საჯარო მოხელის სახელი.

დისერტაციას რომ იცავდა სწორედ მაშინ მივხვდი, თუ ადამიანს მიზანი აქვს, ის სიცოცხლეზე მეტი უნდა იყოს. ეს მიზანიც წარმატებით დაავგირგვინა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭომ მას ერთხმად მიანიჭა დოქტორის ხარისხი. დღეს კი ჯემალ გაბელია ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანის მოადგილეა.

გამორჩეული თემაა ჯემალის დამოკიდებულება პედაგოგიკისადმი. უნდა ნახოთ როგორი სულგანაბულნი უსმენენ მის ყოველ სიტყვას სტუდენტები, რაოდენ მდიდარია მისი ლექციები გაჯერებული ცხოვრებისეული თუ პროფესიული მაგალითებით. სადღაც წამიკითხავს მოვალეობა მხეციაო, მოვალეობის გრძნობა თავმოყვარე ადამიანს განსაკუთრებული სიმძაფრით აწუხებს. მოვალეობის ასეთი შეგრძნება წუთითაც არ ტოვებს მისაბამ შვილს, შესაშურ დედ-მამიშვილს, შესანიშნავ მეუღლეს, მოამაგე მამას, განსაკუთრებულ ბაბუას, ერთგულ მეგობარს, მაღალი კლასის პროფესიონალს!

დიდი ძალა აქვს წესიერი კაცის სახელს, ვთვლი რომ დღეს მეტი გულისყურით უნდა გაიცნონ და გააცნონ საზოგადოებასაც ჯემალ გაბელიას დამსახურება! ეს მას არ სჭირდება, ეს ჩვენ, ადამიანებს გვჭირდება ამქვეყნიური სინათლისათვის. დრომ ყველაფერი შეაჯამა, მათ შორის წლებიც, ერთმა კაცმა შესაძლებელზე მეტი გააკეთა, დამნახავმა დაინახა, მაღლობა მათ, მაგრამ მაინც ვფიქრობ, რომ მოვა დრო როცა უფრო სათანადოდ დაფასდება ჯემალ გაბელიას მოღვაწეობა.

ყველა კაცი თავისი ჯვარით იზადება, ჯვრით, რომელიც მუხლჩაუხრელად უნდა ატაროს. კაცი ცხოვრობს და არ იცის, როგორი წარმატებით ან წარუმატებლად ატარა ეს ჯვარი, გარშემო მყოფებმა იციან, იციან მაგრამ დუმან, არა და არ აღირსებენ ადამიანს მის მიერ განვლილი გზის შეფასებას. ცოტა მეგულება დღეს, რომელიც ცხოვრებით ცხოვრების არსს ამართლებდეს, ცოტა თუ ვიცი ისეთნი, რომლებიც ისე აზრიანად ცხოვრობენ როგორც ის ცხოვრობს, ამიტომ ვარდევ ტრადიციას და ჯემალ გაბელიას საჯაროდ ვუბნები- შენი ჯვარი, სხვა მოკვდავთა

ჯვართან შედარებით, მძიმეც იყო და რთული სატარებელიც. ყოჩაღ შენ, რომ ღირსეულად ატარე და ატარებ დღესაც!

ნანა ლომია

დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების
ცენტრის თანადამფუძნებელი,
ჟურნალისტი, იურისტი

პ.ს. დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრი და ჟურნალ „კრიმინოლოგი“-ს სარედაქციო კოლეგია გულითადად ულოცავს:

ცენტრის თანადამფუძნებელს, ჟურნალ „კრიმინოლოგი“-ს სარედაქციო კოლეგიის წევრს, პოლიციის პოლკოვნიკს, საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოების დამსახურებულ მუშაკს, არაერთი სახელმწიფო ჯილდოს კავალერს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანის მოადგილეს, სამართლის დოქტორს, პროფესორს **ჯემალ გაბელიას** დაბადებიდან 65 წლის იუბილეს, უსურვებს ჯანმრთელობას, წარმატებებს და კეთილდღეობას!

სარედაქციო კოლეგია

„სახალხო გენერალი“ – თემურ მურღულია 60 წლისაა



პროფესორმა რომან შენგელიამ საზოგადოების ერთ-ერთ შეკრებაზე პოლიციის გენერალ-მაიორ თემურ მურღულიას განვლილი გზის გათვალისწინებით „სახალხო გენერალი“ უწოდა. ეს შეფასება საზოგადოების მნიშვნელოვანმა ნაწილმა დადებითად მიიღო. წელს მას 60 წელი შეუსრულდა.

ბატონი თემური დაიბადა 1957 წელს ქ. სოხუმში, პედაგოგების ოჯახში. სკოლის დამთავრების შემდეგ იმსახურა სავალდებულო სამხედრო სამსახურში. დაამთავრა ჯერ კალინინგრადის ოპერატიულ მუშაკთა სპეციალური, ხოლო შემდეგ საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს უმაღლესი სკოლა. მან განვლო ოპერატიული მუშაკის საინტერესო და რთული გზა, რიგითი ოპერარწმუნებულისა და გენერლობამდე, რესპუბლიკის ოპერატიული სამსახურების ხელმძღვანელობამდე. იგი წლების მანძილზე იყო ქალაქ თბილისის სისხლის სამართლის

სამძებრო სამმართველოს, ხოლო შემდეგ ორგანიზებული დანაშაულისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის თბილისის რეგიონალური სამმართველოს უფროსი.

1995 წლის იანვრიდან თემურ მურღულია საქმიანობდა შინაგან საქმეთა სამინისტროში შექმნილ ორგანიზებული დანაშაულის, რეკეტისა და ეკონომიკური დივერსიის წინააღმდეგ ბრძოლის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილედ. ხოლო, 1995 წლის დეკემბრიდან იყო რესპუბლიკის კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თავმჯდომარე, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ოპერატიულ დარგში.

მისი ხელმძღვანელობითა და მონაწილეობით განხორციელდა 90-იან წლებში მოქმედი უკანონო შეიარაღებული ფორმირებების განიარაღება და მხილება კონკრეტულ დანაშაულობებში. გაიხსნა რეზონანსული ტერორისტული აქტები: გაიგულუასთან, გაიჭანტურიასთან, სულიკო ხაბეიშვილთან, ედუარდ შევარდნაძესთან დაკავშირებით. წინა წლებში ჩადენილი განზრახ მკვლელობის, ბანდიტიზმის, ადამიანთა გატაცების, ყაჩაღობისა და სხვა მძიმე კატეგორიის მრავალი დანაშაული. ასევე განხორციელდა ყოფილი პრეზიდენტის მომხრეების შეიარაღებული ფორმირებების განიარაღება და შემორიგება. 1995 წელს სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის აღკვეთა და დამნაშავე პირების განიარაღება და პასუხისგებაში მიცემა და სხვ.

მის მიერ ზემოთ აღნიშნული საქმიანობა ღირსეულად იქნა შეფასებული. მას 37 წლის ასაკში მიენიჭა პოლიციის გენერალ-მაიორის უმაღლესი სპეციალური წოდება. დაჯილდოვებულია ვახტანგ გორგასლის მესამე ხარისხის ორდენით და სხვა სახელმწიფო ჯილდოებით. ხოლო, საერთაშორისო ორგანიზაცია „ინტერპოლის“ გენერალური სამდივნოს მიერ 1998 წელს დაჯილდოვდა საპატიო მედლით.

ბატონი თემური პრაქტიკულ საქმიანობას კარგად უთავსებს სამეცნიერო-კვლევით მუშაობას. იგი გახლავთ სამართლის დარგში რამოდენიმე სამეცნიერო კვლევის ავტორი და წიგნის რედაქტორი. მან 1999 წელს ქალაქ მინსკის საერთაშორისო აკადემიაში დაიცვა სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხი.

ბატონ თემურს ჰყავს გამორჩეული ოჯახი. მეუღლე, ყოფილი საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატი, მრავალი სახელმწიფო ჯილდოს კავალერი, იურისტი ლია რაზმაძე და სასახელო შვილები - ომარ და ანა მურღულიები.

დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრი და ჟურნალ „კრიმინოლოგის“ სარედაქციო კოლეგია გულითადად ულოცავს:

ცენტრის მთავარ კონსულტანტს, ჟურნალ „კრიმინოლოგის“ სარედაქციო კოლეგიის წევრს, საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოების დამსახურებულ მუშაკს, არაერთი სახელმწიფო ჯილდოს კავალერს, პოლიციის გენერალ-მაიორს, სამართლის დოქტორს **თემურ მურდულიას** დაბადებიდან 60 წლის იუბილეს, უსურვებს ჯანმრთელობას, წარმატებებს და კეთილდღეობას!

სარედაქციო კოლეგია

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს,
პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს,
საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს

ზურაბ ხონელიძეს

ბატონო ზურაბ,

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის კრიმინოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის, დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრის და ჟურნალ „კრიმინოლოგიის“ სარედაქციო კოლეგიის სახელით, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა თაობის მეცნიერ-პრაქტიკოს იურისტებს გულითადად გილოცავთ ქვეყნისათვის მნიშვნელოვან, დევნილობაში მყოფი უმაღლეს სასწავლებლის, – სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის საპატიო და საპასუხისმგებლო თანამდებობაზე თქვენს არჩევას, მით უფრო, რომ თქვენ ბრძანდებით გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი, მრავალი სამეცნიერო კვლევის, მათ შორის ცენტრისა და ჟურნალ „კრიმინოლოგი“-ს ორგანიზებით განხილული პროექტის „**სამხრეთ კავკასია - გეოპოლიტიკური სივრცე**“ ავტორი.

გისურვებთ წარმატებებს პირად ცხოვრებასა და უნივერსიტეტის მართვაში, აკადემიურ და სამეცნიერო საქმიანობაში.

საზოგადოებისათვის ცნობილია, რომ ქვეყანაში ჩამოსაყალიბებელია საუნივერსიტეტო დიპლომატიის, ქვეყნის საფრთხეების მეცნიერული კვლევის, სწავლების და პროგნოზირების სისტემა და ამ მიმართულებით საზოგადოების, სპეციალისტების, სამეცნიერო-აკადემიურ წრეების, არასამთავრობო სექტორის და ხელისუფლების თანამშრომლობა.

ვიმედოვნებთ, რომ ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით თქვენი ხედვის გათვალისწინებით და პირადი მხარდაჭერით ურთიერთთანამშრომლობა პერსპექტიული და შედეგიანი იქნება.

პატივისცემით,

ინსტიტუტისა და ცენტრის ხელმძღვანელი,

ჟურნალ „კრიმინოლოგიის“ მთავარი რედაქტორი

პროფესორი მალხაზ ბაძალუა

გამოსათხოვარი

ნუგზარ ფოფხაძე

ამ დღით გარდაიცვალა რომან გვენცაძე კაცი!



არა მგონია, საქართველოში იყოს საშუალო და უფროსი თაობის მოქალაქე, ვისაც სჭირდებოდეს იმის ახსნა, თუ ვინ იყო რომან გვენცაძე.

...ამ ორმოცი წლის წინ ტელერადიოკომიტეტში გადაწვევით "გამოგვეჩინა" ორი "მაგარი" ძალოვანი ოპერატული მუშაკი და გამომძიებელი. ორი თვე ვარჩევდით კანდიდატურებს, არ გვინდოდა შეცდომა მოგვსვლოდა. პროფესიონალიზმით და ზნეობით გამორჩეულნი უნდა ყოფილიყვნენ ერთი ლაქა არ უნდა ქონოდათ...

პირადად ვხვდებოდი მომავალ "ტელე-გმირებს", უამრავ ფილტრში გავატარეთ, ბევრს დავეკითხეთ...

ერთი სიტყვით, შევარჩიეთ (ცოტა დათოვ დამეხმარა, სალარიძე, რომლის პოზიციას და რჩევას მაშინაც სრულად ვენდობოდი): ერთი - რომან გვენცაძე, მეორე - ჯემალ გახოკიძე (ჯვარი წერია!). ტელეფილმების ეთერში გასვლის შემდეგ ერთ კაცსაც კი არ წამოცდენია აუგი...

მათი შემდგომი ცხოვრება, კარიერა იმის დასტური იყო რომ არათუ შეემცდარვართ, არამედ ზუსტად ამოვიცანით ამ ორ რიგით(!!!) თანამშრომელში მომავალი თვალსაჩინო სახელმწიფო მოღვაწეები.

რომანზე, როგორც ოპერატულ მუშაკზე, ლეგენდები დადიოდა. ის და ომარ ფოფხაძე ოპერაციაზე უიარაღოდ დადიოდნენ, რამეთუ კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდნენ სროლას და ამით თავიდან იცილებდნენ მსხვერპლს. ამ "სტილს" საყვედურობდნენ, მაგრამ აშკარა "პროფი" და რისკიანი ოპერი ჯიუტიც გახლდათ. ამ სიჯიუტის მკვებავი კი ადამიანის სიცოცხლის გაფრთხილება და მორწმუნეობა იყო. ისიც ცნობილია, როგორ ხელს უწყობდა მის მიერ დაპატიმრებულ და ციხიდან გამოსულ ყოფილ დამნაშავეს ადაპტირებულიყო ახალ ცხოვრებაში.

ურთულეს დროში მოუწია შინაგან საქმეთა მინისტრობა. არც რიგითს და არც გენერალს, არსად შეშლია პრინციპულად რამე.

დავით აღმაშენებლის საზოგადოება რომანის და ბაკურ გულუას საქმეა, ისევე, როგორც ნარიყალაზე აშენებული ტაძარი.

პატრიარქს ქონდა სურვილი, რომანისთვის ჩაებარებია იმ დროისთვის უმნიშვნელოვანესი მშენებლობა, მაგრამ რომანი ვერ დაითანხმეს... აქაც დიდი ტაქტი და სიბრძნე გამოიჩინა...

ბოლო წლებში ავადმყოფობა კი მოერია მის სხეულს, მაგრამ მის გულს და სულს ვერაფერი დააკლო.

ჩვენს ხსოვნაში რაინდად დარჩება და იმ ზეციურ ქვეყნასაც კაცად მოევლინება ძალიან წესიერი და ქვეყნისთვის თავდადებული თბილისელი ბიჭი, სახელად... რომან გვენცაძე!

ნუგზარ ფოფხაძე

ცნობილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე,
პროფესორი

პ.ს. დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრი და ჟურნალ „კრიმინოლოგის“ სარედაქციო კოლეგია მწუხარებით იუწყევა ცნობილი სახელმწიფო დასაზოგადო მოღვაწის, არაერთი სახელმწიფო ჯილდოს კავალერის, საქართველოს შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრის, პოლიციის გენერალ-მაიორის **რომან გვენცაძის** გარდაცვალებას.

ანზორ მაისურაძის ხსოვნა



ჟურნალის ამ ნომერში სარედაქციო კოლეგიას განზრახული ჰქონდა ცნობილი სახელმწიფო, საზოგადო მოღვაწისათვის, საქართველოს უშიშროების ყოფილი მინისტრისათვის, გენერალ-მაიორ ანზორ მაისურაძისათვის მიელოცა 80 წლის იუბილე.

ჟურნალი უკვე გამოსაცემად მზად იყო, როდესაც შევიტყვეთ სამწუხარო ამბავი ბატონი ანზორის გარდაცვალების შესახებ, რამაც გამოიწვია ჟურნალში ცვლილებების შეტანა.

ვაქვეყნებთ მისი მეგობრის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის, აკადემიკოს როინ მეტრეველის მოსაგონარ წერილს ბატონ ანზორ მაისურაძის შესახებ.

სარედაქციო კოლეგია

როინ მეტრეველი

ის ქვეყნის ისტორიაზე ფიქრობდა

ანზორ მაისურაძე ჩვენს თაობაში მრავალმხრივ იყო გამორჩეული; გამორჩეული წარჩინებული სწავლით, გონიერებით, იგი ტოლსწორებში ყოველთვის ლიდერი იყო.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, ერთ-ერთი ახალგაზრდული ორგანიზაციის ხელმძღვანელი (აქაც ლიდერი) იყო. შემდგომ მუშაობა მოუხდა სახელმწიფო უშიშროების ორგანოებში. აქვე მინდა ვთქვა, რომ ეს სამსახური 60-80-იან წლებში გამორჩეული იყო თავისი სისუფთავით, სახელმწიფოსადმი ერთგულებით. სწორედ სახელმწიფოს სიძლიერეს ემსახურებოდნენ აქ მომუშავენი. ამ სტრუქტურაში ანზორმა დიდი გზა განვლო რიგითი თანამშრომლიდან-ლეიტენანტობიდან გენერლობამდე. ერთი პერიოდი საქართველოს სახელმწიფო უშიშროების მინისტრიც იყო. მან აქაც არაჩვეულებრივი თვისებები გამოავლინა. იგი ჭეშმარიტი პატრიოტი იყო და ეს მის მიერ შესრულებულ ყველა დავალებასა და საქმეში ჩანდა.

მინდა ერთი ფაქტი გავიხსენო. ერთხანს ანზორ მაისურაძე (ეს გასული საუკუნის 70-იან წლებში ხდებოდა) მივლენილ იქნა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის წარმომადგენლად იორდანიაში.

მოგეხსენებათ, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი დახურული სამსახური იყო და ჩემთვის ძნელია, ანზორის სახელმწიფოებრივ საქმიანობაზე მსჯელობა. ვიტყვი მხოლოდ ერთს. ანზორი, პროფესიით ისტორიკოსი, იქაც თავისი ქვეყნის - საქართველოს, მისი ისტორიის ერთგული დარჩა და, ძირითადი საქმის შესრულებასთან ერთად, საქართველოს ისტორიის ნაკვალევსაც ეძებდა. და აი, სასწაული. იორდანიაში, შორეულ შიჰანის უდაბნოში ანზორ მაისურაძემ ქართულ მონასტერს მიაკვლია.

ეს მნიშვნელოვანი მოვლენა იყო. ცნობილია, რომ საქართველოს სახელმწიფო თავისი ძლიერების დროს, განსაკუთრებით XI – XII საუკუნეებში არა მარტო საქართველოში, არამედ მთელს წინა აზიაში აგებდა ტაძრებს და ქართული სული აქაც ტრიალებდა. ბევრ ქვეყანაში დღემდე შემორჩა ძველი დიდების ნაკვალევი. სწორედ ამგვარი იყო შიჰანის უდაბნოს ქართული ტაძარი.

ანზორ მაისურაძის დახმარებით ამ ძეგლის შესასწავლად იორდანიაში აკადემიკოსი ელენე მეტრეველი ჩავიდა. ქალბატონმა ელენემ შემდგომში არაერთგზის აღნიშნა ანზორ მაისურაძის დამსახურება საქართველოს ისტორიის კვლევის საქმეში.

ანზორ მაისურაძე სიცოცხლის ბოლო წუთამდე ბევრ საინტერესო საქმეს აკეთებდა. ეხმარებოდა ქვეყანას თავისი გამოცდილებით. მისი პუბლიკაციები პრესაში გამოირჩეოდა მაღალი პროფესიონალიზმით, საქმეში ღრმად ჩახედულობით, სიბრძნით. ვფიქრობ, მისი განვლილი ცხოვრების გზა, კარგი მაგალითია ქართული საზოგადოების, მომავალი თაობის სახელმწიფოებრივი აზროვნების ჩამოსაყალიბებლად.

როინ მეტრეველი

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი,
აკადემიკოსი

საქართველოს ყველა საგამომიებო უწყებაში რეგისტრირებული დანაშაულის სტატისტიკა (2016 წლის იანვარ-დეკემბერი)

საგამომიებო უწყებები:

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო
2. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
3. მთავარი პროკურატურა
4. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური
5. საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო
6. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
7. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო

2016 წელს საქართველოში რეგისტრირებული დანაშაული

სულ: 35997 მათ შორის: გახსნილი - 20661 (57.4%)

2016 წელს საქართველოში რეგისტრირებული დანაშაული ტერიტორიული განაწილების მიხედვით

- თბილისი - 40.5%
- აჭარა - 10.8%
- იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო სვანეთი - 10.5%
- სამეგრელო - ზემო სვანეთი - 8.9%
- ქვემო ქართლი - 8.3%
- კახეთი - 6.5%
- შიდა ქართლი - 5.4%
- სამცხე-ჯავახეთი - 3.2%
- გურია - 3.1%
- მცხეთა-მთიანეთი - 2.7%
- აფხაზეთი - 0.1%

რეგისტრირებული და გახსნილი დანაშაული თვეების მიხედვით 2016 წელი

	იან.	თებ.	მარ.	აპრ.	მაი.	ივნ.	ივლ.	აგვ.	სექ.	ოქტ.	ნოვ.	დეკ.
რეგისტრირებულია	3183	3337	3652	3512	3179	3344	3610	3583	3221	3060	3296	3671
გახსნილია	1211	1262	1636	1547	1251	1291	1479	1366	1213	947	1239	1210

რეგისტრირებული დანაშაული სსსკ მუხლების მიხედვით

1. დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ (მუხლი 177-189) – 37%
2. ნარკოტიკული დანაშაული (მ. 260-274) -14%
3. დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ (მ.117-126 1)- 13%
4. სატრანსპორტო დანაშაული (მ. 275-283) – 9%
5. დანაშაული მმართველობის წესის წინააღმდეგ (მ. 343-363) – 6%
6. დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ (მ. 222-239) – 5%
7. დანაშაული სიცოცხლის წინააღმდეგ (მ. 108-116) -3%
8. დანაშაული სასამართლო აქტების აღსრულების წინააღმდეგ (მ. 377 -3812) -2%

- 9. დანაშაული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ (მ.142-170) -2%
- 10.კომპიუტერული დანაშაული (მ. 284-286) – 2%
- 11.დანაშაული ფულადსაკრედიტო სისტემაში (მ. 208-213) -1%
- 12.სამოხელეო დანაშაული (მ. 332-3421)-1%
- 13.სხვა დანარჩენი - 5%

რეგისტრირებული დანაშაულის კლების მაჩვენებლები 2015 წელთან მიმართებაში

ყაჩაღობა მ. 179 -100

საერთო რაოდენობა	326	405	287	367	267
წელი	2012	2013	2014	2015	2016

ძარცვა მ.178 -70

საერთო რაოდენობა	502	555	471	437	367
წელი	2012	2013	2014	2015	2016

ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება მ.118 -62

საერთო რაოდენობა	746	373	312	250
წელი	2013	2014	2015	2016

ცეცხლსასროლი იარაღის, მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარება, დამზადება, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება მ. 236 -76

საერთო რაოდენობა	1362	1446	1604	1528
წელი	2013	2014	2015	2016

ხულიგნობა მ. 239 -33

საერთო რაოდენობა	385	200	167	132	99
წელი	2012	2013	2014	2015	2016

მკვლელობის მცდელობა მ. 19-108, 19-109 -37

საერთო რაოდენობა	255	173	95	124	87
წელი	2012	2013	2014	2015	2016

რეგისტრირებული დანაშაულის მატების მაჩვენებლები 2015 წელთან მიმართებაში

ქურდობა მ. 177 +418

საერთო რაოდენობა	13742	12119	9588	9228	9646
წელი	2012	2013	2014	2015	2016

ოჯახური ძალადობა მ. 126¹ +393

საერთო რაოდენობა	477	642	287	963	1356
წელი	2012	2013	2014	2015	2016

ნარკოტიკების შეძენა, შენახვა ან გასაღება მ. 260 +361

საერთო რაოდენობა	1217	3538	2737	2112	2473
წელი	2012	2013	2014	2015	2016

კომპიუტერულ სისტემაში უნებართვო შეღწევა მ.284 +260

საერთო რაოდენობა	116	168	240	500
წელი	2013	2014	2015	2016

ცივი იარაღის ტარება სსკ მ. 238¹ +112

საერთო რაოდენობა	1151	246	159	216
წელი	2013	2014	2015	2016

მკვლელობა სსკ მ. 108, სსკ მ. 109 +3

საერთო რაოდენობა	106	120	108	111	114
წელი	2012	2013	2014	2015	2016

**საქართველოს ყველა საგამოძიებო უწყების რეგისტრირებული დანაშაული წლების მიხედვით
(კუმულატიური)**

რაოდენობა	62283	54746	44644	35949	34741	32261	38736	43028	36526	35096	35997
წელი	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016

გახსნილი დანაშაული წლების მიხედვით

წელი	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016
საერთო რაოდენობა	62283	54746	44644	35949	34741	32261	38736	43028	36526	35096	35997
გაუხსნელი	44076	34000	23710	18290	17638	17820	28845	19087	14355	13920	15336
გახსნილი	18207	20746	20934	17659	17101	14441	9891	23941	22171	21176	20661
გახსნის%	29.2%	37.9%	46.9%	49.1%	49.2%	44.8%	25.53%	55.64%	60.7%	60.34%	57.4%

2012-2016 წლებში საქართველოს ტერიტორიაზე დანაშაულის ჩადენაში მხილებულ უცხო ქვეყნის მოქალაქეთა რაოდენობა

რაოდენობა	321	577	622	943	611
წელი	2012	2013	2014	2015	2016

2016 წელს საქართველოს ტერიტორიაზე დანაშაულის ჩადენაში მხილებული უცხო ქვეყნის მოქალაქეები

- თურქეთი 25%
- რუსეთი 16%
- აზერბაიჯანი 15%
- სომხეთი 14%
- ირანი 5%
- უზბეკეთი 4%
- უკრაინა 3%
- ჩინეთი 2%
- ნიგერია 2%
- ბანგლადეში 1%
- სხვა 13%

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო - ანალიტიკური დეპარტამენტი